სახსოვრად

მოგონება

სტეფანე კონსტანტინეს ძე

ზუბალაშვილისა

„ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა“.

აკაკი.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

თბილისი

ელექტრობეჭდავი თავ. გრ. დიასამიძისა, სასახლის ქ.

1905

სასოვრად

მოგონება

სტეფანე კონსტანტინეს ძე

ზუბალაშვილისა

„ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა“.

აკაკი.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

საქართველოს აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г

თბილისი
ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. დისსმიძისა, სასახლის ქ.
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го марта 1905 г.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

1860 $\frac{14}{IX}$ 1904

მოგონება

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა.

„ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა“.

აკაკი.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს დროში, შეძლებული ხალხი, მუშა და ხელოსან ხალხს ერთობ ეჯავრებათ. მდიდრის სახელსა და ცხოვრებაში იგინი ხედავენ თავიანთ მტანჯველთ, მცარცვავთ და მჩაგვრელთ. მდიდრის დანახვა თითქოს მათთვის მათი ცხოვრების სარკეა. შეხედვენ თუ არა მდიდარ კაცს, მათ მაშინვე თვალთ წინ ეხატებათ: მცარცვავი, მტაცებელი და სხვანი.

თუ ასეთ ხელოსნებს და მუშებს კაცი ეტყვის რამეს და კითხვებს მისცემს, იგინი მაშინათვე ასეთ პასუხს მისცემენ:—თუ ავი კაცი არ არის და მტაცებელი, მაშ რითი გამდიდრდა, ვინ მისცა ამდენი შეძლება, საიდამ შეიძინა თუ არ ტაციობით. ესა და ეს მდიდარი არ იყო, რომ მან ამა და ამ დროს ესა და ეს საწყალი ხალხი როგორ დაარბია. სულ ასეთის ტაციობით მდიდრდებიან ეგენი. მუშა და ხელოსნების საჩივარი რომ ავწონ-დავწონოთ და გავარჩიოთ, ერთის მხრით მართალიც გამოვა. მართალია და ჩვენში ხშირად მომხდარა და შესრულებულა ასე. ბევრის შემძლებელის პირის წყალობით აღგვიღია საწყალთა ოჯახი. ბევრს შეუძენია ასე თავის სიმდიდრე და მით ხალხის თვალში დიდი სიმძულვარეც დაუმსახურებია. მას ბოროტებით უვლია თავის ცხოვრებაში და მიტომ ხალხსაც დიდი ზიზღი და მტრობა ჰქონია მისი.

ასეთი პირნი მუშა და ხელოსანთ წინაშე მტრობის მოსასპობათ სულ არ ცდილან. სულ არ ჰქონიათ მისი სიფრთხილე, რომ მათ ეს მშრომელი ხალხი გადაკიდებული არ ჰყოლოდათ. მათ სძულ-

დათ მუშა და ხელოსნები, მიტომ მათ სასარგებლოდ არც არაფერს სთესავდენ სიცოცხლის დროს და არც სიკვდილის შემდეგ. იგინი მკვდრები იყვნენ საწყალი ხალხისთვის, მათის გაჭირებისთვის და მიტომაც საწყალ ხალხსაც სძულდათ იგინი და სძულთ დღესაც. ეგეთ კუთხიდამ და ეხრიდამ გვესმის ასეთი ხმები, რომ ამა და ამ ალაგას მუშა და ხელოსნებმა ეს ქარხანა და მდიდარი კაცი აიკლეს და ისაო, ასეთს ცხობებს რიცხვი არა აქვს, თითქმის ყოველ დღე ხდება ეს და ყოველს მხარეს. ამაზეა ნათქვამი:—„ნუ ხარ ავი და ნუ გეშინიან ავისაო“.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილში კი საამისოს ვერას ვნახავთ, მის და მის ძმების ცხოვრებაში ასეთი არაფერია. როგორც სტეფანე ისევე მთელი მათი ოჯახი ძველადგანვე კაცთმოყვარეობით იყვნენ დაჯილდოებულნი. ეს ჯილდო მათს სამკვიდრო მცნებას შეადგენს. მათგან ძველადგანვე არას დროს და არსად ერთი ბოროტი საქმეც არ დათესილა. არსად არავინ დასჯილა, არავის რა წართმევია, ამას ვერც ერთი მუშა დაასახელებს და ვერც ხელოსანი. შეუძლებელია, რასაკვირველია მუშა და ხელოსანმა ხალხმაც კარგად იცის ამათი ასეთი მნიშვნელობა და მიტომაც გახლავთ, რომ იგინიც ამათ წინადმდეგ სიტყვას, კრინტსაც არ სძრავენ. სჩანს ამაშიაც მუშები და ხელოსნები მართლ მსაჯულები არიან და იგინი უმი'ხეზოთ არავის შეიძულებენ და არც არავის შეიყვარებენ.

ერთს მაგალითსაც კი ვერ ვნახავთ, რომ სადმე მუშას სტეფანეს და მის ძმებთაგან რამე სწყენოდესთ, ვინმე დაჩაგრულიყოს, ნამუშავარი წართმეოდათ, ან სხვა რამ ხერხით და ღონით საბრალო მშრომელი დაეჯაბნათ. ნაცვლად ამის რაც ამ ბერებისაგან დარიბთა და შეუძლოთა სასარგებლოთ ფულები დარიგებულა, იმას კაცი ვერ ანუსხავს, ვერ ვინ აღნიშნავს. ეს შეუძლებელია, რადგანაც სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს ჩვეულება აქვნდა ეთქვა: რომ გთხოვთ გეთაყვა გაზეთებში არაფერი ჩასწეროთ.

სახარების მსგავსად მარცხენა ხელმა არ იცოდა რასაც მარჯვენა ხელი სიკეთეს თესდა. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი იქამდე აღვსილი იყო შეუძლოთა სიბრალულით, რომ ღარიბებს, შეუძლოთა და სნეულებს თვით ეძებდა, თვით იკვლევდა

მათს ვითარებას და ყოველს დღესასწაულებში თვითვე უგზავნიდა პაკეტით აქეთ იქით დახმარებას. იგი იტყოდა ხოლმე.

— ყოველი ჩვენგანი მოვალეა, რომ თვით მანვე მიაქციოს ღატაკთ ცხოვრებას ყურადღება, ვისაც კი მისწვდება სადმე დასახმარად იმ ღატაკ გაჭირებულს თვითვე დაეხმაროს, ღატაკს ნუ ათხოვნინებს, თორემ თუ ითხოვა და მოწყალებაც ისე მიეცა, მაშინ იმას მადლი ადარ ექმნება.

ეს სიტყვები ნამდვილ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სიტყვებია და ვისაც ყურნი და სმენა აქვსთ, ისმინონ ესე დარიგება თვის ვალდებულების სამცნებლად. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დროში, შეძლებულო შორის, ასეთი პირების მოპოვება ერთობ იშვიათია, სამთლით საძებარი და სწორეთ ესეც მიტომ გახლავსთ ასე, რომ ღარიბ ხალხს ჭირივით სძულთ მდიდარი ხალხი. წვრილშან დახმარებაოა ცნობებს იქით გადავდებთ და დავასახელებთ მხოლოდ დიდს შემთხვევებს, დიდს საყურადღებო მაგალითებს:

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა თავის ძმებით ლევან, პეტრე და იაკობით ადაშენეს თფილისში სახალხო კარგი თეატრი ს

იკობი, რომელიც თავის ადამიანურს ვალს ჩინებულის მიდრეკილებითაც ასრულებს. მათ წინაპართა მსგავსად მათაც უყვართ შეუძლო ხალხი, უყვართ მათი დახმარება, ამათთვის იგინი არას იშურებენ და ამიტომ ხალხსაც უყვართ ეს პირები.

მაგალითიც არ მომხდარა, რომ სადმე მუშას ამათ ოჯახის წინააღმდეგ რამე ეთქვათ. ამათ პატივს სცემს საერთოდ ყველანი: რუსი, ქართველი, თათარი, სომეხი და სხვანი, ეს ევე გარემოება კარგად დასაბუთდა თვით დასაფლავების დღესაც, სადაც ხალხი განურჩევლად სარწმუნოების და ერთის შეთანხმებულის მგლოვიარობით სწუხდენ თავიანთ საყვარელის მფარველის სტეფანეს დაკარგვას. ასეთი გლოვნა და ასეთი გოდება ღარიბ ხალხთაგან თეფლისში არას დროს არ ეოფილა, ეს პირველი მაგალითი იყო. ამათის მწუხარების შესახებ ქვეყიო ნახავთ ცნობებს.

ჭეშმარიტად, უნდა ითქვას, რომ ამათ ხალხის თვალში დიდი სიყვარული დაიმსახურეს, დიდი ძეგლი დაიდგეს. ეს ძეგლი მათ იმითაც დაიმსახურეს და დაამტკიცეს, რომ იგინი წინეთ და დღესაც უხვად ეხმარებიან ქართულ მწიგნობრობასაც. დღეს, იაკობ კონსტანტინეს ძე „ივერიის“ განახლებით სწორედ დიდ მფარველად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენის ცნობებიდამ და თვით მათგან ნამოქმედრის საქმეებიდანაც კარგად სჩანს, რომ ამათ შეუძლო, ანუ მუშა ხელოსანი ხალხი საკმარისად ებრალებათ, შეძლების და გვარად მათ მფარველობასაც უწევდენ და ამიტომ ამის სანაცვლოდ მუშა ხელოსანთაც ეს პირნი უყვართ და პატივს სცემენ.

შეძლებულ პირთა წინაშე მუშა და ხელოსანთა ასეთს სიყვარულს დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, იგი ყველაფერს მადლობასა და პატივისცემაზედ მაღლა სდგას. ასეთი სიყვარულის დამსახურება სწორედ უკვდავების ჯილდო უნდა იყოს, რა უნდა იყოს იმაზედ მეტი და ძვირფასი, რომ შეძლებული პირი შეუძლო ხალხმა შეიყვაროს, ისიც ჩვენს დროში, როცა შეძლებულთა სიმძულვარე ყველგან მძვინვარებს. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ პირთაგანი მხოლოდ ამას უნდა ნატრობდეს და ელტოდეს, ასეთ სიბრალულის თვისი დაუფასებელია და უმაგალითო.

ჩვენც სწორედ ამ მადლიან ღირსებასთან გახლავართ, ამასთანა

გვაქვს საქმე და კავშირი იმ მცნებასთან, რომ როგორც სტეფანეს ისევე მის ძმების და იაკობსაც არ ავიწყდებათ კეთილობის წინაშე დევიზათ გამხდარი უძღურთ მფარველობა, პატივისცემა და იგინი ეოველთვის მზათ არიან, რომ თავიანთის შეძლების და გვარად დატაკთ მუშა ხალხს სრული ძმური ადამიანური ამხანაგობა გაუწიოს, ასევე სხვებიც მოიქცენ და სხვა შეძლებულთაც ამათ მიჰბაძონ.

ამიტომ ჩვენ სანატრელად და საქებათ მიგვაჩნია, რომ ასეთი კარგი ქველმოქმედი შვილები გვეავს. თუმც მცირედ, თუმცა სტეფანეც უდროოდ დავკარგეთ, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მის მაგიერობას მისი ძმები და მათთან იაკობ კონსტანტინეს ძეც სწევს. ესეც ერთი ბედნიერება არის ჩვენი და სრულიად არ დავიწყებთ დიადის ადამიანურის მცნების. ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენთ შეძლებულთა და მუშათა შორის ის ურთიერთ პატივისცემა და სიყვარული დაარსებულიყოს, რაც კი იაკობ ზუბალაშვილის გულში არსებობს უძღურთ სასარგებლოდ.

ჩვენ აქ ამის შესახებ მეტს არას ვიტყვით. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი რომ ღირსია ხსენების და მოგონების, ამას ეჭვი არ უნდა. როგორც ზემოთაც ვსთქვით, ასეთი კეთმოყვარე პირებით ერთობ დარიბია ჩვენი ქვეყანა, აქ ეს თითქმის სამოლით საძებარია და საპოვნი. ამიტომაც ჩვენ შევკრიბეთ ეველა ის წერილები და ცნობები, რაც კი სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის შესახებ დაიწერა და დაიბეჭდა გაზეთებში. ეხლა ეველა ამას ცალკე წიგნად ვბეჭდავთ და მიუძღვნით სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ხსენებას და მოგონებას.

თვით მუშა და ხელოსნებიც მოვალენი არიან, რომ კეთილისა და ავის გარჩევა იცოდნეს, დარწმუნებული ვარ, რომ ძმათა ზუბალაშვილვების მსგავსად, შეძლებულ პირებში სხვებიც იქნებიან ისეთი პირები, რომელთაც მუშა და ხელოსანთა სიყვარული ჭეშმარიტებით ექმნებათ გულში გაღვიებული. ამიტომ მოვალეა ეოველი მუშა და ღატაკი ხელოსანიც, რომ კარგის და ავის გარჩევა და მის გაგებაც იცოდეს. უამისობა მათგან დიდი უკანონობა იქმნება და მით თავიანთ პატივისცემასაც ბევრს შეაძულებენ. სამწუხარო იქმნება მათგან ის საქციელი, რომ მათ მტრობით მოექცესენ ისეთ პირებს,

როგორიც სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი გახლდათ და ან დღეს მისი ძმა იკობი. ამაზედ საუბარი აქ მე მიტომ მოვიყვანე, რადგანაც ერთმა პირმა მოჯორებით ბრძანა, რომ ვითომც ბაქოში ზუბალაშვილებს ქართველი მუშები ჰყვანდაო. ესენი მას კამათს უწყებდენ, ამიტომ მათ იგინი დაითხოვეს და მათ მაგიერ თათრები და ლეკები დაიჭირეს და დღემდეც ამუშავებენო. შევიტყეთ, რომ ეოველიეე ეს ჭორი ეოფილა და მტრობით მოგონებული.

თავის დღეში ზუბალაშვილების სამუშაოში ქართველი ფეხი არ შეუდგამთ. ამგვარი იქ თავის დღეში არა მომხდარა-რა. ამას ბაქოს უცხო ტომის მუშებიც დასაბუთებენ. ასე და ამგვარად, არ არის კარგი, რომ ხშირად ვინმე შეუძლო პირმა მტრობით და შურით ვინმე შეძლებულ პატიოსან პირთ რამე მტრობა და ცილი მოუგონოს, ბოროტება დასწამოს. ვისიმე პიროვნების შელახვა არ არის კარგი საქები და ისიც ისეთის პირისა, ვისაც გული პატიოსანის მიდრეკილებით აქვს სავსე და ხალხის კეთილდღეობისათვის არას დაიშურებს. ვიტყვით, რომ ძმათა ზუბალაშვილებმა თეთილისის საწყალი ხალხის წინაშე კარგი პატივი დაიმსახურეს და ამიტომ ჩვენც მოვალენი ვართ, რომ ასეთ პირთა ამაგსაც სამართლიანის თვალით უმზირეთ. ჭეშმარიტება და სინდისი მოითხოვს ამას და ნამეტურ მეშათა და ხელოსანთა ზნეობრივი მოვალეობაც. რაც ამათ საქმენი უკეთებიათ, შემდეგ კიდევ ბევრს გააკეთებენ საწყალთა სასარგებლოდ. ამისთვის მხოლოდ დავცადოთ, ნურავინ იფიქრებს, რომ ამათი სიმდერე ღარიბების ძვლებიდამ იყოს გამოხაწყური. ასეთს ბოროტებას მათთან კავშირი არა აქვს.

ზ. ჭ.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

(ნეკროლოგი)

„ვინც თვისი მამულზე მარად ფიქრობდა
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე
იყოს მაღალი და კურთხეული“

აკაკი.

სამწუხარო ამბავი მოგვივიდა პარიჟიდან ქართველობას 14 სექტემბერს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზდა. სიცოცხლით სავსე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. ამ საზარელმა ამბავმა მთელი ქართველობა დააღონა, დააღონა მით უმეტეს, რომ სტეფანეს ასეთს უდროვო სიკვდილს არავინ მოელოდა. მისი ასე ადრე და მალე დაკარგვა წარმოსადგენადაც-კი ძნელი იყო

ყოველივე ჩვენა გვღალატობს, თითქოს ცის რისხვამ ჩვენზედ მოიცალაო. ესეთი კაცი ჰყავდეს ქართველს, კაცი თავ-მოსაწონებელი მთელის ერისთვის, თავგამოდებული მისთვის, ღრმად წყურვიელი მისის სიკეთისა და ბედნიერებისა, ორის ხელით, თითქმის კალთით შემწირველი საქვეყნოდ სასარგებლო საქმეთათვის და უცებ-კი ხელიდან გამოეცალოს, სიკვდილმა უდროვოდ მოსტაცოს! განა ეს უბედურება არ არის? განა ეს სანაღვლელი არ არის ყველასათვის, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენის ქვეყნისა და მის საზოგადო საქმისათვის?! გული გვწყდება და გონებას არ სჯერა, ვერ წარმოუდგენია, რომ ჩვენი ძვირფასი სტეფანე აღარა გვყავს.

ქართველი ერი დაობლდა საუკეთესო მამულიშვილის დაკარგვით. დღეს სტეფანე გულ-ხელ-დაკრეფილია, მისი ენა და ბაგე დადუმებულია, ჩვენი ჭირი და ვარამი აღარ აწუხებს

ნაცვლად ამისა, ჩვენა ვართ ახლა გულ-ჩათუთქულნი, სულ-შეწუხებულნი: დაობლებულთ. ვინ ვიტიროთ და ვიდარდოთ: სტეფანე თუ ჩვენი საქმენი. მის თანაგრძობასა და უხვ დახმარებას მოკლებული? ერთიც დავკარგეთ და მეორეცა.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1860 წ. ქ. ტფილისს. დედა სტეფანესი. ელისაბედ იყო თავ. თუმანიშვილის ასული, წარჩინებული მანდილოსანი და დიდად სათნო ადამიანი. სხვა შვილებთან ერთად სტეფანეც მისის გავლენის ქვეშ იზდებოდა.

სტეფანე პირველად შინ სწავლობდა და მერე გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც დამთავრა სწავლა. მოწაფეში ითვლებოდა ერთს უწარჩინებულეს შეგირდათ. მისნი ტოლ-ამხანაგნი დაადამოწმებენ, რა საოცარი კარგი ამხანაგი იყო სტეფანე, რა თავაზიანი და მოსიყვარულე. მაღალი ადამიანური სიბრალული და მამულიშვილობა მაშინვე ემჩნეოდა თურმე.

შეგირდობაშივე იჩენდა სათნო თვისებას და ეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო, გაჭვირებულსა და უქონელს ამხანაგს, გული ვერ მოუთმენდა, რომ ასე თუ ისე არ შესწევნოდა, დახმარება არ აღმოეჩინა, ისეთის მადლიანის ბუნებისა იყო და ეს ბუნება აღარ შესცვლია სიკვდილამდე.

სწავლის დამთავრების შემდეგ, სტეფანეს მამის, კონსტანტინე იაკობის ძის, საქმეები ისე მოეწყო და ბაქოში ნავთის წყაროების გარემოება ისე დატრიალდა, რომ სტეფანე, როგორც შინ მყოფი და საჭირო, მამამ პირდაპირ ბაქოში წაიყვანა და თავის ნავთის საქმეებში ჩააყენა. იმ დღიდან სტეფანე ბაქოს დარჩა. ოც წელიწადზე მეტი ხანი იცხოვრა იქ და განაგემდა ნავთის წყაროების საქმეებს.

სტეფანე კონსტანტინეს ძის მოქმედება ნავთის წყაროების საქმეში სამაგალითო და საყურადღებოა. ჩინებულად მოაწყო და მოაწესრიგა ეს საქმეები. მუშების მდგომარეობასაც დიდს ყურადღებას აქცევდა და მთელი ჯარი მათი მადლობელი და მომადლიერებული ჰყავდა. ისე კარგად, ისე ადამიანურად ექცეოდა, რომ იმ დროს, როცა ბაქოში არ დარჩა

არც ერთი ქარხანა, სადაც უწესოება არ მომხდარიყო, დავა არ აეტეხათ პატრონთათვის, მის ქარხანაში სიტყვაც არავის დაუძრავს, ასეთი სიბრალული ჰქონდა მუშებისა და ასეთის ყურადღებით ეკიდებოდა.

თუმცა დიდის შეძლების პატრონი იყო, მაგრამ ცოლშვილიანობას არ მოჰკიდებია. ალბად, გარემოებამ არ მისცა ნება და ხელი არ მოუმართა. ერთხელა სთქვა:

— რა უყოთ, რომ ასე დავშთიო. როცა დრო მქონდა, სხვა და სხვა გარემოებამ შემიშალა ხელი. დედა-ჩემს კი ძრიელ სურდა ჩემი დაცოლშვილიანება; მერე რაკი დედაც გარდამეცვალა (1896 წ.), მეც დავუტოვე ეს ზრუნვა და დავრჩი მარტო-ხელიო.

ცხოვრებაში განსვენებული სამაგალითო კაცი იყო, ყოვლად სათნოიანი და ღვთის მოსავი. მისი ტკბილი ლაპარაკი, მისი უზაკველი სული და გული კაცს აღტაცებაში მოიყვანდა. მისი ყოველი ნაბიჯი და ყოველი სიტყვაკაკი ადამიანურის ღირსებით იყო სავსე. ისეთი უწყინარი კაცი იყო, რომ, არა გვგონია, ვისმე გული სტკენოდეს რითიმე მისგანა.

თუ ეხმარებოდა ვისმე, შემწეობას აძლევდა, სცდილობდა არავის გაეგო. ამ შემთხვევაში სწორედ სახარების სიტყვებს ასრულებდა: არ იცოდეს მარცხენმან, რასაც გასცემდეს მარჯვენაო. თვითონვე უთქვამს ჩემთვის: „ყოველი კაცი მოვალეა თავის ძმათა, მეგობართა და გაჭირვებულთ დაეხმაროს, გამუღავნება რა საჭიროა. სამთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს. კაცმა კაცს სიკეთე იმიტომ კი არ უნდა უყოს, რომ მერე აქონ და ადიდონ. არა, ქება საჭირო არ არის. ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ, უშველოთ და ამიტომ მოხარული ვიქნები, თუ ჩემ შესახებ გაზეთებში არა იქმნებარა დაწერილი ქების სახითაო.

ბევრს კეთილ საქმეს აკეთებდა განსვენებული, დიდს მადლს სთესავდა ჩუმად, საიდუმლოდ, ბუკისა და ნაღარის დაუკვრელიად და უფრო ბევრის სიკეთის დათესა ედო გულში, რომ პატარა მეტი ეცოცხლა. 1902 წ. მისის ცხოვრების შე-

სახებ დავბეჭდე ერთი წიგნი, რომელიც ეხლა მეორედ იბეჭდება. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მითხრა:

—ცოტა მოითმინეთ, ამ წიგნს ბევრის ცნობებით შეავსებთ; ჯერ მე რა გამიკეთებია? არაფერი. შემდეგ იქნება ყოველივე ის, რის მოვალეცა ვარ, რომ ჩემ წილად ჩემის ქვეყნის წინაშე გავაკეთო. ყოველს ჩვენთაგანს ვალად აძევს თავის სამშობლო ქვეყნის შენობაზედ თითო აგური მაინც დასდოს. ჩემს წილს აგურს მეც მოვიტან და ჩემს ვალს გადავიხდი.

საქართველოსა და ქართველ ერის სიყვარულით უძგერდა გული. ქართველ ერის ყოველი ბედნიერება ენატრებოდა. წელს აღტაცებული იყო ბაქოში ქრთულად „ღალატის“ წარმოდგენით, დიდად ემადლიერებოდა სუმბათაშვილს. ბაქოში იყო ამის წინად და საყვედური ვუთხარით, მასაო, რომ ქართველის ერის ცხოვრების შესახებ არაფერს სწერო. სუმბათაშვილი დამპირდა, ახლა ვწერო და შემდეგაც დავსწერო. იმ დროს თურმე «ღალატი» დაწერილიც ჰქონოდა. ამ წარმოდგენამ ისე ასიამოვნა, რომ იმავე ღამეს ქართველ მსახიობთ 506 მან. გაუგზავნა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსვენებული არ არჩევდა არავის ტომობასა და ჩამომავლობას. განურჩევლად აძლევდა დახმარებას: რუსს, სომეხს, თათარს და ქართველს. შეუძლებელია, მიემართნა ვისმე დახმარებისათვის და ხელცარეილი წასულიყო. შარშან ერთი ქართველი მოღვაწე მისულიყო და მიღება ეთხოვა, მაგრამ სტეფანეს ავადმყოფობის გამო ვერ მიელო. ამაზედ შემდეგ სტეფანემ ბოდიში მოიხადა, ავადმყოფობის გამო ვერ მივიღე, მომიტევოსო.

აქ აღარას ვამბობთ იმისას, რაც ქვეყანამ იცის. მისი შეწირულება სათავადაზნაურო სკოლისათვის სწორედ მეფეური შეწირულება იყო და ამისთანა უხვი გაღება ქონებისა ჩვენში ჯერ არ მომხდარა. უხვი და სწორედ სასახელო საბოძვარი იყო აგრედვე შეწირულება წერა-კითხვის საზოგადოებისათვის და სხვა მრავალი, რაც მან გასცა თავის ძმებთან

ერთად საქვეყნო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. ასეთია, მაგალითად გაცემა უხვებისა საერო სახლის ასაგებად ტფილისში მამის კონსტანტინე იაკობის ძის სახსოვრად, კათოლიკეთა ეკკლესიის ასაგებად ბათუმში და სხვ.

დაკარგვა ასეთი კაცისა ჭეშმარიტად დიდი დასაკლისია ჩვენისთანა პატარა, ღარიბ და უკან ჩამორჩენილ ერისთავის, თიდი საერთო, ნაციონალური უბედურებაა, ყველასათვის საგლოვი და სატირელი.

საუკუნოდ იყოს ხსენება იმასთანა გულწრფელ, გულ-მართალ და გულ-უხვ ადამიანისა და მამულიშვილისა, როგორიც იყო განსვენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი! („ივერია“ 1904 წ.) ზ. ჯ.

აზრი სტ. კ.-ძის ზუბალაშვილისა ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაზედ.

როცა კი შემთხვევა გვქონდა, სიამოვნებით ვადევნებდით თვალ-ყურს აწ განსვენებულ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის აზრსა და მსჯელობას ჩვენის საზოგადო ცხოვრების და მწერლობის შესახებ. ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს, ვგონებ, მკითხველთათვის, განუზიაროთ, თუ როდის და რა აზრი წარმოუთქვამს ამ კეთილშობილს კაცსა და ჭეშმარიტს მამულიშვილსა.

ერთ ქართულ დრო-გამოშვებით გამოცემას მცირედი გაჭირვება ჰქონდა. მიმართეს სტეფანე კონსტანტინეს ძეს და დახმარება სთხოვეს. შეიწყნარა თხოვნა და სთქვა:

მზადა ვარ, არამც თუ ერთხნობით დავეხმარო, არამედ მუდამ, ვიდრე ეგ ორგანო ფეხზედ დადგება. დიდად პატივსა ვსცემ ქართველთა თუ სხვა ტომის მუშათა და ხელოსანათ განათლების საქმეს, ოღონდ ასწავლონ რამე, ოღონდ გონება განუვითარონ ამ მუშებს და ხელოსნებს და მე ყოველთვის მზადა ვარ ამისთანა საქმეს გულითა და სულით თანაუგრძნო.

რა უფრო კარგია, მუშა და ხელოსანი უმეცარი და გაუგონარი იყოს, თუ გაგებული და პატიოსანი? რასაკვირველია, კარგია, როცა მუშა თუ ხელოსანი გაგებულია, გონება განვითარებული. ამისთანა საქმისათვის როგორ დავიშურებ რასმე? თუ ჩვენ არ შევიდგებთ თავს ამ საქმეში, სხვა უფრო რას შეგვეწევა. ეცადონ, კარგი წერილები სწერონ, ხალხი მოამზადონ ცოდნით, ერთმანერთის სიყვარული გაუღვიძონ და ვინ იქმნება ისეთი, რომ ამ კეთილ საქმისათვის დახმარება არ მისცეს. მოგახსენებთ, რომ მუშებისა და ხელოსნების გაადამიანებისათვის არას დავიშურებ და, არამც თუ ერთ ხნობით, არამედ ყოველთვის აღმოუჩენ შემწეობას.

მეორე გამოცემასაც აღმოუჩინა შემწეობა, რაკი გაიგო მისი ნივთიერი ხელმოკლეობა. როცა მადლობა გადაეხადნათ, სტეფანეს ეთქვა პასუხად: მეც მადლობელი ვარ, რომ ჩვენს მამა-პაპათა შესახებ ცნობებს აგროვებთ და ამზევებთ. მოგეხსენებად კარგად, რომ დიდის გულგრილობის დრო დადგა. ქართველთა ძველი ამბავი და გარემოება საინტერესოდ არ მიგვაჩნია, ეივიწყებთ, უგულებულ ვყოფთ. მზრუნველი, პატრონი და შემკრებნი ცოტანი არიან. აი, ქართველ კათოლიკეებზედ სულ დაიკარგებოდა ამბები, რომ არ შეკრებილიყო. მე მზადა ვარ, საქართველოს ისტორიულ წიგნების დასაბეჭდათ, ძველ ამბების და ხელნაწერების აღსადგენად ყოველთვის გავიღო ხარჯი. ამის მეტი რაღა დავგრჩენია, რომ ისტორიულის წიგნების დასაბეჭდათ დახმარება არ მოგცეთ. გთხოვთ ასეთის საქმეების დასახმარებლად ყოველთვის მომმართოთ.

ერთხელ, როცა ამ სულით განკარგებულმა და გულმხურვალე ქართველმა გაიგო თურმე ნივთიერი ხელხ-მოკლეობა ერთის ქართული გამოცემისა, გაიკვირვა დიდად, მაგას ვერ წარმოვიდგენდიო *), ძალიან ვართ ჩამორჩენილი და ნაკლებათ

*) გაზეთ „ივერია“-ს 1903 წ. დეკემბერში 2000 მ. გამოუგზავნა, შემდეგისთვისაც დაჰპირდა დახმარებას. 1904 წ. 3000 მ. უნდა გამოეგზავნა, ეს დაპირება სტეფანეს ძმამ იაკობ კონსტანტინეს ძემ შეასრულა. დღეს „ივერია“ ამათის დახმარებით განახლდა და არსებობს.

გვაქვს განვითარებული ხალისი კითხვისა. არას დროს არ დავივიწყებ მაგ გამოცემის ამაგს და მნიშვნელობას; მეც ვკითხულობ სიამოვნებით. ყოველ ერისათვის აუცილებლად საჭიროა სკოლასთანა და ეკლესიასთან ერთად განვითარებული, ფხიზელი მწერლობა. წინად ეს უბრალო საქმედ მიაჩნდათ, მოცლილი ხალხის გასართობად, ახლა მწერლობას დიდი ძალა და მნიშვნელობა აქვს და მის გაძლიერებისათვის, არა თუ საზოგადოება, მთავრობაც ჰზრუნავს სხვა ქვეყნებში. სახლს რომ ფანჯრები არა ჰქონდეს, მზის სინათლე როგორ შევა, როგორ გაანათებს, ბნელს სახლში ვინ რას დაინახავს?! მწერლობაც იგივე ფანჯარაა, ივივე მზეა, სინათლისაცა და სითბოს მომცემიც. ამისათვის ქართული ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ უნდა გვქონდეს. მე თანაუგრძნობ არა მარტო ქართულს მწერლობას, არამედ ყველა სხვა ტომის მწერლობასაც: რუსულს, სომხურს და თათრულს. ყველას სად გავსწვდებით და იმის მოვალენი კი ვართ, რომ ჩვენს მწერლობას თანავუგრძნობდეთ და მის აღორძინებას ვსცდილობდეთ, ვეხმარებოდეთ ზნეობრივაცა და, თუ საჭიროა, ნივთიერადაც.

როდესაც სათავად აზნაურო სკოლას ისეთი ეხვი დახმარება გაუწიეს და სწორედ მეფური შეწირულება უძღვნეს ძმათა ზუბალაშვილთა, იმ ხანებში ვნახეთ საუკუნოდ დაუვიწყარი სტეფანე და ჩვენის მხრით დიდი მადლობა მოვახსენეთ. ნეტარად მოსაგონებელმა ამაზედ სთქვა: მეტად დიდი შენობა დაუწყვია ბ-ნ ნ. ცხვედაძეს. ამისთანა შენობას მილიონი უნდა. კარგი საქმე კია. იქმნება ამ სკოლით მაინც ეშველოს რამე ჩვენის თავად-აზნაურის შვილებს და იქ კარგად გამოიზარდონ. ძალიან მეთაკილება, როცა გაზეთებში ვკითხულობ: ამა და ამ ქართველ თავადისა, თუ აზნაურის შვილმა ესა და ეს ავი საქმე, ქურდობა და კაცის კვლა მოიქმედაო. ნეტა ამისთანა საქმე-კი შემცირდეს მათ შორის, ნეტავი კარგი, სასარგებლო კაცები გამრავლდეს მათ შორის და მოისპოს ავის კაცების რიცხვი, თორემ სირცხვილია სწორედ ჩვენთვის. კარ-

გი არ არის, რომ თითო ოროლასაგან მთელი თავად-აზნაურობა რცხვება უცხო ხალხის წინაშე.

ამიტომ მეც მოვალეობად მიმაჩნია რითაც-კი შეძლებანებას მომცემს, დახმარება არ მოვაკლო.

სახალხო თეატრის შენობის აგების გამო სთქვა ერთხელ შემდეგი:

თეატრიც იგივეა, რაც ეკლესია და სკოლა. საჭიროა, რომ საწყალ ხალხისათვისაც კარგი თეატრი იყოს, კარგი თამაშობა. იქ მარტო თეატრი არ იქმნება, იქ ბიბლიოთეკაც იქმნება და უსასყიდლო საჩაიეც. ზოგი ერთი მღვდელი მესაყვედურება, თეატრს რათ აკეთებთ, ეკლესიებს დაეხმარეთო. მე ვუთხარი: აკი ჯერ ბათუმში და სხვაგანაც ეკლესიები ავაგეთ-მეთქი. სულ ხომ ეკლესიებს არ გავაკეთებთ, ახლა თეატრს ვაკეთებთ და მერე სასწავლებლებს გავაკეთებთ. სულ ხომ ერთს საქმეს არ უნდა მოვახმაროთ ძალ-ღონე.

ერთხელ ვსთქვი როგორღაც, კარგი იქნებოდა, რომ ნ. ზუბალაშვილს იმოდენი ქონება ქალაქის გამგეობისათვის კი არ გადაეცა, არამედ ახალციხეში, ქართველ კათოლიკეთათვის შეეწირა, რათა იქ სკოლები დაემართათ. სტეფანე კონსტანტინეს ძემ მოისმინა ესა და ასე მიპასუხა:

არა, ეგეც საჭიროა, ქალაქში ბევრია საწყალი, მოხუცებული ქალი, თუ კაცი, შეუძლონი, ღარიბნი, სნეულნი უპატრონონი. ესეც საჭიროა, ისინიც ცოდონი არიან, რომ არავინ შეიბრალოს. კარგი, გინდ რომ ასე არ იყოს და, როგორც შენ ამბობ, ისე ყოფილიყოს, მერე, აბა, მითხარი იქ ვისთვის და სად უნდა გადაეცა ეს ამოდენი ქონება?! ვინ მოუვლიდა და ვინ შეინახავდა? არავინ, ღმერთმანი. ნახევარი არ მოხმარდებოდა დანიშნულს საქმეს, სულ სხვები გაათავებდნენ.

1904 წ. აპრილის 13 ვნახე, მივართვი მათის გვარის ისტორია და სხვა წიგნებიც, თან ვსთხოვე: თქვენი ბიოგრაფია მეორედ უნდა დავბეჭდოთ და, თუ შეიძლება, ცნობები გვი-

ბოძოთ, რომ შევავსოთ-მეთქი. მან მადლობა მითხრა და შემდეგ განაგრძო:

გამადლობთ ჩემი ბიოგრაფის დაბეჭდვისთვის. პარიჟიდამ რომ დავბრუნდები, მაშინ გადმოგცემთ და შეავსეთ. მხოლოდ გთხოვთ, გეთაყვა, რომ ქებას თავი დაანებოთ, შენ გეთაყვა, ეს არ დაივიწყოთ. მე სიკეთეს იმიტომ კი არ ვშვრები, რომ გაზეთებში მაქონ, არამედ იმიტომ რომ მოვალედ მიმაჩნია ჩემი თავი და თუ ვიცოცხლე დიდხანს, დაგარწმუნებთ, ეს სიცოცხლე მენატრება მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემს ქვეყანას და ხალხს ვემსახურო, სიკეთე რამ დავთესო, ამის მეტი მე არაფერი წამყვება. სიკეთე დაუკარგავია.

ზუბალაანთ გვარის ისტორიისათვის დიდი მადლობელი იყო. ზოგიერთ საგნისა და პავლე შაჰყულიანის გამო სიტყვა ჩამოვარდა და მერე ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე ასე დაიწყო მსჯელობა: მტრობის და შურის გავრცელებას ერთმანერთში თავი უნდა გავანებოთ. ეს არც სომხებს შეჰფერით და არც ქართველებს. აბა, როგორ შეიძლება ჩვენი მტრობა და შური? ისე ახლო ვინ არის ქართველთან როგორც სომეხი? ძველადგანვე და ყოველთვის ერთად გვიცხოვრია მეზობლად, სარწმუნოებაც და, ვგონებ, ენაც და შთამომავლობაც ერთი და იგივე გვქონდა ძველად. და, აბა, ეს როგორ შეიძლება, რომ ერთმანეთზედ გადაკიდებულნი ვიყვნეთ. გაზეთებში როცა ასეთ წერილებს ვკითხულობ, ერთობ მწყინს და გული მტკივა. არ არის კარგი.

ჩვენც, ზუბალაშვილებს. ყოველთვის მათი პატივისცემა და სიყვარული გვქონია: მამაჩემს, პაპაჩემს და მთლად ჩვენს საგვარეულო შთამომავლობას, ყოველთვის მათ ახლოს გვიცხოვრია და სომხებთან ნათესაობაც გვქონია, გვაქვს დღესაც და ამიტომ კარგი იქნება არაფერი ცუდი და სამტრო არა ვავრცელოთ-რა. გეფიცებით ღმერთს, რომ სიყვარული ვარდსა ჰგავს და მისი სუნი კიდევ ჩვენთვის საჭირო არის. ისევე ჩვენც, სომხებსაც, რუსებსაც და თათრებსაც ერთმანეთში სიყვარული უნდა გვქონდეს. მტრობა კაცისადმი ცუდი გრძ-

ნობაა და ამისთანა გრძნობაზედ კეთილი არა აღმოსცენდე-
ბა-რა.

მეტად გახარებული იყო განსვენებული სტეფანე ყვი-
რილაში ქართულ თეატრის აგების გამო და პარიჟიდამ დაბ-
რუნების შემდეგ წევრად აპირებდა ჩაწერას, იმ ამხანაგობაში,
რომელმაც ეს თეატრი ააშენა. ასევე გვკითხა ახალციხის მაზ-
რის სოფ. უდეს ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის მაშენე-
ბელთა კომიტეტის ადრესი. ეს გარემოება კომიტეტს ვაც-
ნობე და იმას კაცებიც გაუგზავნეს ბაქოს, მაგრამ იმ დროს,
სტეფანე იქ აღარ იყო, პარიჟს წასულიყო.

აი ასეთი იყო იმ კაცის აზრი და ფიქრი, რომელიც ასე
უდროოდ დავკარგეთ.

აღარ განვაგრძობთ განსვენებულის დახასიათებას მისისა-
ვე სიტყვებისი და ნალაპარაკევის მოყვანით. დღეს, როდესაც
სტეფანე კონსტანტინეს ძე ჩვენს წინაშე გულ-ხელ დაკრე-
ფილი მდებარებს, დღეს, როდესაც მთელი ქართველობა ესალ-
მება თავის საყვარელს შვილს, თავის მომაგე და მოჭირნახუ-
ლე გულ-შემატკივარს, ვგონებთ, მის მაღალ და ადამიანურ
თვისებათა გასაცნობად ესეც კმარა. სტეფანე კონსტანტინეს
ძე ისეთის თვისების ადამიანი იყო, რომ გაჭირებულთ დახმა-
რება თვითონვე იცოდა, თხოვნა არ იყო საჭირო. მადლი არა
აქვს მაგნაირ დახმარებასო. თვით სძებნიდა გაჭირებულთ და
თვითვე იცოდა, რა დროს ვის და როგორ დახმარებოდა.
„წერა-კითხვის საზოგადოების“ 25 წლის დღესასწაულის შე-
სახებ სთქვა, ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იყო, რომ ამ საზო-
გადოებას მცირედი შეწირულება მივაწოდე ჩემითვე. როგორც
კი წავიკითხე გაზეთებში იუბილეის ამბავი, მაშინვე 10,000
მ. გაუგზავნეო.

აი თვით ის წერილი, რომელიც მიეწერა განსვენებულს
წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის.

„ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-
ზოგადოების გამგეობას.

პატივისცემით ვაუწყებ გამგეობას, რომ ჩვენის საზო-

გადოების 25 წლის ფრიად თვალ-საჩინო და განუწყვეტლის შრომის აღსაბეჭდათ მე განვიზრახე შეძლებისდა გვარად დავეხმარო საზოგადოებას. ამასთანავე გიგზავნით 10,000 მან, და გთხოვთ მიიღოთ ეს წვლილი ჩემგან, როგორც ერთის გულშემატკივარის ქართველისაგან.

„ღრმად პატივსცემით დავშთები სტეფანე ზუბალაშვილი. ბაქო“.

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველობამ მეტად საგრძნობელი დასაკარგი დაჰკარგა სტეფანეს სახით. ნუგეშად ის ღა გვრჩება, რომ სტეფანეს დარჩნენ ისეთივე ღირსეული ძმები, ისეთივე ქართველნი გულით და მოყვარულნი თვისის მამულისა, როგორიც განსვენებული სტეფანე იყო. თუ რამ დაშთა გაუკეთებელი და დაუმთავრებელი სტეფანეს, ისინი გააკეთებენ და დამთავრებენ თავიანთ და თვით სტეფანეს სასახელოდა და საუკუნო სახსოვრად. ვაი, რომ სტეფანე ალარა გვყავს ცოცხალი, ის მოშორდა წუთი-სოფელს და სინათლის ხილვას, თორემ იმის ქველობის საქმენი სამუდამოდ დაუვიწყარი იქნება და ღრმად დამარხული ქართველთა გულში. („ივერია“). ზ. ჭ.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

ხვალ, 27 სექტემბერს, მიაბარებენ მიწას უდროოდ გარდაცვალებულ სტეფანე ზუბალაშვილის გვამს. განსვენებული მკვიდრი ტფილისელი იყო, ტფილისში დაიბადა, აქ სწავლობდა, სცხოვრობდა და აქვე ჩაესვენა საფლავში. დაიბადა განსვენებული 1860 წელს. პირველი სწავლა ოჯახში მიიღო, მერე ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. დაამთავრა გიმნაზია 1880 წელს. ამის შემდეგ ცოტა ხანს ტფილისში იმყოფებოდა, მერე მამამ, კონსტანტინემ იაკობის ძემ, ბაქოს წაიყვანა და ნავთის წარმოების საქმეში ჩააყენა. ამ საქმეში სტეფანე ზუბალაშვილმა დიდი გამჭრიახობა, შნო, და მხნეობა გამოიჩინა და საქმეების წარმოება საუკეთესოდ, ჩინებულად მოაწყო.

ჯერ ისევ სკოლაშივე, განსვენებული, მოწაფეთა შორის, საუკეთესო ამხანაგად ირიცხებოდა. სტეფანე დიდის გავლენის ქვეშ იზრდებოდა; ხოლო დედა მათი ელისაბედი მიხეილის ასული ქ. ტფილისში ცნობილი იყო, როგორიც მეტად გულ კეთილი და შემბრალებელი ადამიანი, საზოგადოდ ზუბალაშვილების გვარის წევრთ, აქვნდათ ქველ მოქმედების სიყვარული და პატივისცემა, ეს მათს საგნად იყო იმ თავითვე და ამ მადლიანს მცნებას და წინაპირთა ადამიანურს ვალს არც სტეფანე კონსტანტინეს ძე ჩამორჩა, მან ბევრად გადააჭარბა წინა-პირთა.

დახმარების სათხოვნელად მიდიოდნენ მასთან როგორც ქართველნი, ისე სხვა ტომის ხალხნი. ყველაზე მეტად სტეფანეს დაკარგვა საგრძნობელია ქართველთათვის. განსვენებულს ეყვარდ ქართველები და გულით ნატრობდა ჩვენის ერის წარმატებას, მარტოდ ჩამოთვლაც კი ძნელია ყველა იმ სიკეთისა, რაც განსვენებულმა დასთესა: სხვათა შორის, სტეფანე ზუბალაშვილმა და იმისმა ძმებმა 200 ათასი მანათი შესწირეს ბათუმში კათოლიკეთა ეკლესიის ასაგებად. ამდენივე ტფილისის სახალხო თეატრის აშენებისთვის, რომელიც ამ ჟამად უკვე მზად არის. ამას გარდა განსვენებულმა სათავად-აზნაურო სკოლის შენობისათვის შესწირაა 30 ათასი მანეთი, „წერა-კითხვის საზოგადოებასა“ — 10 ათასი მანეთი, ტფილისის სამუსიკო სკოლას 10 ათასი მანეთი, დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ — 15 ათასი მანეთი, დრამატიულ საზოგადოებას — 1000 მანეთი, ხიზაბავრის ქალთა სკოლას — 1000 მანეთი, უსინათლოთა სკოლას — 2,000 მანეთი, ქუთაისის კათოლიკეთა სკოლას — 2,000 მანეთი, გორის კათოლიკეთა სკოლას — 2,000 მანეთი და მრავალ სხვას. დიდ შემწეობას უწევდა ტფილისის კათოლიკეთა სკოლასა და ეკლესიას. ეწეოდა განსვენებული ღარიბ ოჯახებს, მოწაფეებს, სტუდენებს, მუშებს და სკოლებს. დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე განსვენებული ქართულ მწიგნობრობას. აძლევდა „ჯეჯილი-ს“ რედაქციას „მოგზაურის“ რედაქციას, მისის ფულით იბეჭდებოდა

ქართული სახალხო საჭირო სამეცნიერო წიგნები იაფ-ფასიანი. მ. თამარაშვილს მისცა დახმარება და მისი წიგნიც ამის ფულით დაიბეჭდა. „ივერიას“ გამოუგზავნა დახმარება 1903 წ. დეკემბერში 2000 მ. და მეორე წელს, ე. ი. 1904 წელს უნდა მიეცა 3000 მან., მაგრამ ეს ველარ მოასწრო, სიკვდილმა უსწრო. „კვალს“ გასახლებისას თვეში დაუნიშნა 250 მ. ვიდრე დაიხურებოდა ეს გაზეთი, სამი თვის განმავლობაში მისცა 750 მან. არც შემდეგ დასტოვებდა ამ გაზეთს, რომ არ დახურულიყო. თვეში 250 მანეთი უნდა ეძლია, ვიდრე გაზეთი ფეხზედ დადგებოდა— და ბევრიც სხვათა: ყველას ჩამოთვლა აქ ძნელია. ბევრი კეთილი საქმე გააკეთა მან. თვით, იყო სამაგალითოს თვისების და დიდი კაცთ მოყვარე, დიდი სიბრალულის მექონი. როგორც ადამიანი დიდი დანაკლისია ჩვენის და სხვათა ტომისთვისაც, რადგანაც იგი განურჩევლად ეხმარებოდა როგორც ქართველს, ისევე სომეხს, რუსს, თათარს და სხვათაც. დიდი მოსიყვარულე გულის პატრონი იყო.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ადამიანო!.

(„ცნობის-ფურცელი“). ზ. ჭ.

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ანუ შენიშვნები და ჭაზრები სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილზედ.

ჩვენმა მგოსანმა აკაკიმ სტეფანე ზუბალაშვილის დასაფლავებაზედ სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა შემდეგი:, „რომ კაცის ღირსების პატივსაცემად საქმე გულია და არა ფულია“. ჭეშმარიტად ეს ასეც უნდა გახლდესთ; საქმე ადამიანის ღირსება და სამაგალითო საქმეები უნდა იყოს და არა ქონებრივი დიდი შეძლება. ეს რომ ასე არ გახლდესთ, მაშინ თქვენ მტერს და მოყვარეს თუ კაცთა შორის ცხოვრების ასპარზედ რა გვარი უკანონობა არ გამეფდებოდა, ბევრს ალაგას,

დიდის შეძლების პატრონები, სიკვდილის დროს, ან შემდეგ მრავალთაგან საქებნი გახდებოდენ და მის საშუალებით ვინ იცის რამდენი გულის დასაწყვეტი ბოროტება არ დაიფარებოდა ჩვენთ შორის. ბევრი ბოროტი პირი დაფასდებოდა ფულით. ჭეშმარიტად ჩვენის აკაკის სიტყვისამებრ საქმე გულია და არა ფული. ეს რომ ასეა და მთელმა ქართველობამ სტეფანე კონსტანტინეს გულს აგო პატივი და არა დიდს შეძლებას, იგი ცხადათ მტკიცდება ყველას წინაშე, რომ ქართველობას კარგად შეეგნო თავის საყვარელის მეჭირნახულეს ღირსება, მნიშვნელობა და თუ ვინმემ პატივი სცა და მოვიდა, ყველა იმ გრძნობით იყო სავსე, რომ სტეფანეს მადლიანის ღირსებისათვის ეცა პატივი, უკანასკნელად გამოსალმებოდა ისეთ კაცს, რომელსაც ამ ჩვენს გათახსირებულს დროში თავის ქვეყნის და ერის სიყვარული გულში ბრწყინვალედ უდუღდა. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის დასაფლავება მოხდე დიდის და საერთოს პატივსცემით. დაესწრა მთელი თფილისის ქართველობა, მთელი განათლებული საზოგადოება. იყვნენ დეპუტაციები ბათუმიდამ, ბაქოდამ, გორიდამ, ქუთაისიდამ, ახალციხიდამ და სხ. სამღვდელოთაგან კათოლიკების მოსული იყვნენ ბათუმიდამ, ბაქო, ახალციხე და რამდენიმეც სოფელიდამ, წირვაზედ მწირველნი და საფლავის კარამდე თორმეტმა მღვდელმა მიაცილა თავის სასულიერო უფროსის პირით. ამათ გვერდზედვე იდგნენ ქართველთ სამღვდელონიც და არქიმანდრიტი გიორგიც ნიშნად უღრმესის პატივისცემის და თანაგრძნობისა.

დასაფლავების წირვა (27 სექტ.) დიდის დიდებით იქმნა შესრულებული და სიტყვები წარმოთქმელი ქართულად, რუსულად და ფრანგულად. ქართულად სთქვეს აკაკიმ, მღ. ვინმე მეახმა, ანს. მღებრიშვილმა, როსტომაშვილმა, ვ. ყიფიანმა, პატრმა ნუღაშოვმა ფრანგულად და თფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ რუსულად. ყოველი სიტყვა და ჰაზრი ნათლად ხატვენ სტეფანე კონსტანტინის ძის მადლიანს მნიშვნელობას, მის იშვიათობას ჩვენს დროში და მასთანვე მწუხარებას

თუ რამდენად ძნელია ასეთი პირის დაკარგვა საზოგადოებისათვის განურჩევლად სარწმუნოების და ეროვნების, ვინაიდგან იგი ყოველ ტომის კაცს ერთ ნაირის თვალით ეუბნერდა, ერთ ნაირად უყურებდა. ყველას პატივი და სიყვარული განურჩევლად სწამდა, რაც ერთობ იშვიათია ჩვენს გათახსირებულს დროში.

მოვიხსენებთ, რომ ქართველ განათლებულ საზოგადოების გარეშე უცხო ტომის პირნიც დაესწრენ. ადგილობრივ გაზეთებმაც დიდის პატივისცემით მოიხსენეს განსვენებულის სახელი და ღირსება, რამდენიმე შესამჩნევი მოგონებაც მიუძღვნეს. დასაფლავების დღეს ნათლად გამოსჩნდა, რომ ქართველობას კარგად ჰქონია შეგნებული თავის მოვალეობა, სოდნია მნიშვნელობა კაცად კაცურის კაცისა და მიტომაც ყოველი ქართველი მწარედ გლოვობდა თაკის საყვარელს „სამაგალითო ადამიანს“. დიდი, პატარა, შინაური, თუ უცხო ყველა მის ქებით მოგონებაში იყო, ყველა ცხონებას და ქებას უთვლიდა. ბაქოს მუშათა გლოვნასაც თავის მხვედრი ემოსა. ამათში სტეფანეს სახელი დიდხანს დაშთება უკვდავათ. დასაფლავება იყო გრძნობიერი და დასანანი ყველასთვის, სამი ამფუანი იყო, სამივ გვირგვინებით შემკული და მორთულ მოქარგულები. გვირგვინებთ შორის იყო ვერცხლის გვირგვინებიც, სულ რიცხვით სამოცამდე, მათში მოიპოვებოდა ყველა წრის და დარგის, ქალთა საზოგადოებისაგან, მუშებთაგან, სასულიერო წოდებათაგან, სასწავლებლის მოსწავლეთა მზრუნველთაგან, სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათაგან და ზოგიც სხვა და სხვა სამეცნიერო წრეებთაგან.

დასაფლავების შემდეგ აღაპის მაგიერ შეუძლოთ დაურიგეს 4000 მ. ზოგს 1 მ. შეხვდა და ზოგს 3 და 5 მ. შეუძლოთა შორის დიდი მადლობა გაისმოდა, ყველა, აქებდა სტეფანეს სახელს და მადლობას უძღვნიდენ მის ძმებს. ხალხში ხმა მალლა განისმოდა ისეთი სიტყვები რომელნიც ნათლად აღნიშნავდენ შემდეგს: მე საწყალს და უბედურს, ლუკმა პურის მნატვრელს ძლივს მეღირსა და ხელში მანათი და სამი მანა-

თი დავიკავეო. შეუძლოთა ამ სასიხარულო წუთებს კაცი ვერ ანუსხავს, იგი გამოუთქმელია, ვინც არ ნახა ეს წუთები საწყალი ერისა ის მას ვერც წარმოიდგენს. საქებია ის კაციო, ამბობდენ, რომელიც სიკვდილითაც კი ხდება შეუძლოთა მაგალითიო. თფილისში მეტად ბევრი მდიდარი ხალხი დახოცილან, დიდი შეძლების პატრონები, მაგრამ ასეთი რიცხვის ფულის დარიგება კი არავის ახსოვს, დაურიგებიათ შაურობით ან ორ შაურობით და არა ასე უხვად. ცხადი საქმეა რომ ესეც სანაქებო და მეტად ქებული დარგია სტეფანეს ჭირისუფლეფის. ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენმამე მოხუცებულთა გოდებამ, ამბობდენ ოხვრით, განა მოიფიქრებდა ვინმე, რომ ჩვენი გულ მოწყალე სტეფანე, ჩვენი კეთილის მდომი, ჩვენი დამხმარე ესე მალე, ესე უდროვოდ გარდაიცვლებოდა, ეს რა მოხდა ჩვენს თავზედ, ეს რა ბოძი წაგვექცა, რა მეხი დაგვეცა. ვილას ვნახავთ მისებრ თავ-მომწონეს და შემბრალებელს, მისებრ დამხმარეს, ერთი რუსი ამბობდა: რომ დღეის შემდეგ ასეთი პირი, ასეთი სული არ დაიბადებაო. დიდ დახმარებას აძლევდა საწყლებს და ღარიბებსაო. მეორე რუსი: რომელიც თფილისის რკინის გზის პირველ კლასის შვეიცარია, სტიროდა თითქმის და ამბობდა: მე მისგან დახმარებას არ ვიღებდი, რადგანაც მე ამის არა მიჭირს რა, მაგრამ იმას კი ვეურ დავიწყებ, თუ იგი ჩემს თვალთ წინ როგორ ეხმარებოდა ღარიბებს. ბაქოში მე თვით მინახავს, თუ რა დახმარებას აძლევდა ღარიბ რუსის მუშებს, სომხებს და თათრებსაც. ასეთ სიტყვები მრავალთაგან განისმოდა აქეთ იქით.

ასეთი მწარე იყო, ასეთი საგლოველია სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დაკარგვა და ასეთს სუფთა სამგლოვიარო სულიერს გოდებისთან იყო მისი ხსენება დაკავშირებული. მისი გვამი დაპკურებელ იქმნა თვით ცხარე ცრემლებითაც კი სამარეში კუბოს ჩასვენების დროს. პავლე თუმანიშვილის სიტყვებმა ხომ ყველა ატირა.

„ჩვენო ძვირფასო მამულიშვილო სტეფანე, შენი სამშობლო გიყვარდა დიდათ და აი შენმა სამშობლობაც უნდ-

მიგისვენოს გულზედო“ აქ ტირილი მოუვიდა მას, ველარ შესძლო. და მასვე აჰყვა მთელი საზოგადოებაც. ასეთი იყო უკანასკნელი წუთები სტეფანეს მზესა და სოფელთან გამოსალმებისა და ასეთის სუფთა ულმენკოს, უზადოს ცრემლებით იქმნა მისი კაცთ მოყვარე გული და სხეული დაპკურებული. ჭეშმარიტად, რომ ერის ცრემლი და გოდება სტეფანეს შესახებ იყო წრფელი, უზაკველი და მჭიდროთ შეერთებული იმ ნათელ გარემოებასთანაც, რომ მოღვაწე აკაკიმაც ბრძანა „საქმე გულის და არა ფულიო“. საქმე სტეფანეს წმინდა გული იყო და მთელმა ქართველობამაც მიტომ აგო ისეთი შესაფერი წმინდა გადასახადი.

ასე დასრულდა ჩვენი ძვირფასი სტეფანეს სიცოცხლის ღღენი ჩვენთ თვალი წინ და ასეთის სამგლოვიაროს ძაძით მოსილთა მივაბარეთ იგი მიწას 27 სექტ. 1904 წ.

II

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მიმართლებას და ცხოვრების პირობებს პირდაპირ წმინდა, სუფთა საზოგადო ხასიათი აქვნდა, მისი გამცნებული კაცური ცხოვრების გეგმა პირდაპირ ამის სალაროს შეადგენდა, მისის ცხოვრების გასაცნობათ ჩვენ წინ მრავალი შესამჩნევი ცნობებია შეკრებილი. ყოველი ცნობა ნათლად ღალადებს სტეფანეს საზოგადო საქმეთა პატივსცემის უალრესობას, ამ პატივისცემის სამაგალითოდ შენახვას და თავის წინაშე კაცობრიობის ვალის გადახდასაც. ასეთი სიყვარული საზოგადო საქმეთა და კერძო გაჭირვებულთა პირთა პატივისცემისა მის გულში დაუშრეტელის სინათლით ენთო და ვისაც კი სტეფანეს პირადი ცნობა აქვნდა, ის ამაზედ ცხადათ დაგვეთანხმება. ჩვენს დროში, უნდა ითქვას რომ ასეთი კაცები მეტად იშვიათია, მათ ხშირად ბევრს ვერა ვნახავთ, ასეთის დიადის ბუნების იყო სტეფანე, ისეთის მაღალის ინერციის, რაისა გამო აქ მის დასახასიათებლად მოვიყვან ზოგს ისეთ ცნობებსაც, რაც განსვენე-

ბულის ძმამ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმაც გადმოგვცა.

„სტეფანე კონსტანტინეს ძეს დავაჟკაცებიდამვე უყვარდა საზოგადო საქმეთა პატივისცემა, მის გულში საზოგადო საქმეთა სიყვარული დიდათ იყო განლვიძებული, სტეფანეს გული საზოგადო საქმის სამსახურისთვის იყო დანიშნული, მთელი თავის არსება და სიცოცხლეც ამის მსხვერპლად მიაჩნდა, გარემოებას რომ ხელი შეეწყო, მაშინ იგი საზოგადო საქმეთა სამსახურის ველში შეებმებოდა და დღეს, საზოგადო საქმეთა მოქმედების ასპარეზედ ერთს შესამჩნევს მოღვაწედ ჩაითვლებოდა.

მაგრამ ეს ასე არ მოუხდა სტეფანე კონსტანტინეს ძეს, ცხოვრების პირობებმა მას თავიდგან ააცილეს პირდაპირ საზოგადო საქმეთა სამსახურს და იგი მიკედლებულ იქმნა მამისაგან დაწყობილ საქმეთაგან. ამის ცხოვრების გეგმის შეცვლას აუცილბლად ითხოვდა როგორც შინაური ცხოვრების გარემოება, ისევე ბაქოს წყაროების გარეგონ წარმოების საქმეებიც. სტეფანე კონსტანტინეს ძემ მთელი თავის საცოცხლე, მთელი თავის გულ-ღონე მამისაგან დააწყობილ. საქმეებს მოანდომა, მის მოწესრიგებას მრავალ ფეროვნად, მის განკარგვას და სხ. ამაში გაატარა მან თავისი დღენი.

რაკი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი საზოგადოების წინაშე პირდაპირ ველში შეჭმას ასცდა და სამსახურს განერინა, მიტომ მის მაგიერ მან განიძრახა საზოგადო საქმეთა პატივისცემა, მის სამსახური და ნივთიერად დახმარება, კაცობრიობის წინაშე მას ასეთის მხვედრით მიაჩნდა თავის ვალის გადახდა საჭიროდ და მიტომაც იგი ყოველს საზოგადო საქმის თუ კერძო დაწესებულებას, ანუ კერძო გაჭირებული პირის სასარგებლოდ არას იშურვებდა".

ჭეშმარიტად, რომ ეს სწორედ ასეც იყო და ყოველთვის იმას ამბობდა განსვენებული.

„ყოველი ჩვენთაგანი მოვალეა, რომ საზოგადო საქმეს პატივი სცეს, ყოველს გაჭირებულს შეძლების და გვარად

დაეხმაროს, მეც მოვალე ვარ ამისი. ყოველი კაცი მოვალეა, რომ საზოგადო საქმეთა შენობაზედ თითო აგური მიიტანოს და დადოს ასაშენებლად, მეც ასევე ვსთვლი ჩემს ვალად და ჩემის ძმების და მიტომაც მიგვაქვს აგურები დასაწყობად".

საზოგადოთ, საერთო საქმეთა მოვალეობაზედ ასეთი შეხედულება აქვნდა და კერძოთ ქართველობისკი ისეთი რაითაც, თავის თავს ქართველი ერის გულ შემატკივრად სთვლიდა და წერილის წერის დროს ასე აწერდა ბოლოს:—„როგორც ერთ გულ შემატკივარ ქართველთაგანი". ჩვენს „წერა-კითხვის სამართველოსაც" ასევე მოსწერა წერილის ბოლოს, როცა დახმარება გამოუგზავნა ბაქოდამ..

ჩვენს წერილებში სტეფანე კონსტანტინეს ძე ზღბალაშვლი მეტად შემბრალეთ დავხატეთ, ნამეტურ მას დიდი სიბრალული ემჩნეოდა მუშა და ხელოსან ხალხისა, ნამეტურ გაჭირებულთა და ღარიბთა. იგი გაჭირებულთ ისე ეხმარებოდა, რაც ძრიელ ბევრს უნდა ეუწყებოდეს. ეს მისი გული და სული სულ საწყალთაკენ იყო მიმართული, ძნელად რომ სტეფანეს სადმე გაჭირებული მუშა ენახა და მას მისთვის დახმარება არ მიეცა. ნამეტურ თავის მომუშავეთათვის. ეს ჩვენ მიტომ მოვიყანეთ, რადგანაც ჩვენს დროში შეძლებულ პირებთაგან ერთობ ხშირად და შეუსაბამოთ ირბევიან და იჩაგრებიან საწყალი და უილაჯო ხელოსნები და მუშები. ჩვენი წერილები „ივერია"ში სტეფანეს ძმას იაკობ კონსტანტინეს ძეს წაეკითხა და მუშათა 'ვესახებ აი რა გადმოგვცა სტეფანე კონსტანტინეს ძის დასახასიათებლად.

„მოგეხსენებათ, რომ ბაქოში სულ რავდენიმე სამრეწველო და სამუშავო ქარხნები არსებობს. იქ მუშათა და ხელოსანთა მუშაობაც დიდის ტანჯვით სწარმოებს, მათი შრომა სწორედ ჯოჯოხეთურია, აუტანელი, თუ არ გაჭირებული კაცი, თუ არ მეტად ღატაკი, ის უამისად იქ არ იმუშავებს. ხშირად ასეთ მუშებს აქა იქ სჩაგრავენ კიდეც, გარდა ჩაგვრის სხვა ბოროტებასაც უშვრებიან, ამიტომ იქ ხშირად მუშები ერთი კვირის ჯამაგირსაც არ სტოვებენ თავიანთ სამუშაოში,

გარდა ამის უსიამოვნება და ამბოხებაც ხომ ერთობ ხშირად ხდება“.

„სტეფანე კონსტანტინეს ძესთან კი ესეთი არას დროს არაფერი მომხდარა, მას დიდი სიყვარული და სიბრალული აქვნდა მუშების, ეს მუშებმაც კარგად იცოდნენ, მუშები მინდობილნი იყვნენ და მასთან არამც თუ ერთი კვირის და ორი კვირის ჯამაგირს სტოვებდენ არამედ მთელი თვის და ორი თვისასაც არ მიჰქონდათ. სტეფანე კი ყოველთვის აძლევდა თავიანთ მხვედრს დროზედ, მაგრამ მათ არ მიჰქონდათ და ამბობდენ, იყოს ერთი თვის და ორი თვისას ერთად წავიღებთ. რაც შეეხება ამბოხებას და უსიამოვნობა ხომ მუშათაგან მის სამუშავოში არას დროს არაფერი მომხდარა“.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სიტყვა და შენიშვნები მართალი გახლავსთ, ჭეშმარიტი, ამას მთელი ბაქო დაასაბუთებს. საზოგადოთ ჩვენის ქვეყნის და ერის და უცხოთა შესახებ განურჩეველი სიყვარულის შესახებ რაც ჩვენ ვახსენეთ, იაკობ მონსტანტინეს ძემ გადმოგვცა შეედეგი:

„დიახ, სტეფანე კონსტანტინეს ძეს დიდი სიყვარული აქვნდა როგორც საქართველოსი და ქართველის, ისევე რუსის, სომხის, თათრის და საზოგადოთ ყველასი, ყველას გაჭირება ერთნაირად მიაჩნდა, ხოლო ქართველებსკი, რასაკვირველია როგორც ქართველი უფრო ეთვისებოდა, ესიყვარულებოდა“.

ასეთი თვისების იყო სტეფანე კონსტანტინეს ძე და ასე აბრწყენდა მისი გული და საქმენი ჩვენს გონებას. მისი სამუშავო ქარხნის და მუშათა ნახვის დროს აღტაცებული იყო ჩვენი მწერალი ბ. ზურაბიშვილი და შარშან „ივერია“ში ქებით და თავმომწონეობით მოუთხრობდა მკითხველს როგორც სტეფანეს შეუდარებელს შნოს და ენერგიის შესახებ, ისევე მის თუ იგი თავის მუშებს რა სიყვარულს და რა მფარველობას უწევდა განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოების, რაისა გამო მის მუშებიც უაღრესად ესიყვარულებოდენ და ყოველ მის ნახვას ნატვრით და სიხარულით ელოდენ, სტე-

ფანეს ნახვა რომ მის მუშებს ყოველთვის რაღაცა განუსაზღვრელ სიხარულს ჰგვრიდა, ეს მე თვით გამიგონია, ამას სხვებიც დაასაბუთებენ ცნობებით.

მუშათა და სხვათა საზოგადო თუ კერძო პირთა ნაკლის შესახებ აი რა ჰაზრის იყო. ამ სამი წლის წინეთ, სტეფანე კონსტანტინეს ძე ბორჯომში გახლდათ, მე და ივ. როსტომაშვილი ვიყავით მასთან, ვნახეთ. სხვათა შორის ერთი პირის ნაკლის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, წარმოითქვა, რომ ეს ასეთი პირია. ამაზედ სტეფანემ წარმოსთქვა:

III

„დიახ, მეუბნებიან ხოლმე, რომ ეს ასეთია, ის ისეთია, ერთი სიტყვით, არ შეიძლება რომ ვისმეს ხმა გასცე, რამე სიკეთე უყო, ეს ნახოს, ან გაიგოს ვინმემ და მერე მასზედ ან ანბავი არ მოგიტანონ, ან წერილი არ მომწერონ და არ ეცადონ მის შეძულებას. ეს ასეთია, ის ისეთია. მერე ვინ არის უნაკლულო, ვნახავთ სადმე ისეთ კაცს, რომ მას ნაკლი არ აქვნდეს, ერთი რამე საქმის გულისთვის კაცი შეიძულეო. ეს როგორ იქნება. იქმნება კაცი ერთ საქმეშია უგვანი და დანარჩენში კარგი, ერთი საქმით კაცის მოძულება არ შეიძლება. ოქრო რომ ტალახში ჩავარდება, ის რასაკვირველია გატალახიანდება, იმას ამოღება უნდა, გარეცხა, მის შემდეგ ოქრო ისევ სუფთა ოქროდ დაშთება, მე ამ აზრისა ვარ და ნურავის აქვს იმედი, რომ მე ვინმე ვისმეს ჭორებით და მტრობით შევაძულო. გარდა ამის მე დიდად მძულს ჭორები და ერთმანერთის ცილი“.

ამ სიტყვის სინამდვილის მოწმად ვაღიარებ ივ. როსტომაშვილს. ვგონებთ ეს სიტყვა ნათლად და კარგად ხატავენ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის დიდს გონიერებას, ხალხთა ცხოვრების ღრმა ჯურღმულზედ, კაცთა შორის გაუტანლობას და თვით ძმათა და ერთ სახლიკაცთა შორის დიდს გაუტანლობას და მტრობას, რაც ჩვენსა და უცხოელებშიაც ოთხსავ კუთხით გართხმული. ვგონებთ, ამ სიტყვას

გარდა ამის უსიამოვნება და ამბოხებაც ხომ ერთობ ხშირად ხდება“.

„სტეფანე კონსტანტინეს ძესთან კი ესეთი არას დროს არაფერი მომხდარა, მას დიდი სიყვარული და სიბრალული აქვნდა მუშების, ეს მუშებმაც კარგად იცოდნენ, მუშები მინდობილნი იყვნენ და მასთან არამც თუ ერთი კვირის და ორი კვირის ჯამაგირს სტოვებდენ არამედ მთელი თვის და ორი თვისასაც არ მიჰქონდათ. სტეფანე კი ყოველთვის აძლევდა თავიანთ მხვედრს დროზედ, მაგრამ მათ არ მიჰქონდათ და ამბობდენ, იყოს ერთი თვის და ორი თვისას ერთად წავიღებთ. რაც შეეხება ამბოხებას და უსიამოვნობა ხომ მუშათაგან მის სამუშავოში არას დროს არაფერი მომხდარა“.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სიტყვა და შენიშვნები მართალი გახლავსთ, ჭეშმარიტი, ამას მთელი ბაქო დაასაბუთებს. საზოგადოთ ჩვენის ქვეყნის და ერის და უცხოთა შესახებ განურჩეველი სიყვარულის შესახებ რაც ჩვენ ვახსენეთ, იაკობ მონსტანტინეს ძემ გადმოგვცა შეედეგი:

„დიახ, სტეფანე კონსტანტინეს ძეს დიდი სიყვარული აქვნდა როგორც საქართველოსი და ქართველის, ისევე რუსის, სომხის, თათრის და საზოგადოთ ყველასი, ყველას გაჭირება ერთნაირად მიაჩნდა, ხოლო ქართველებსკი, რასაკვირველია როგორც ქართველი უფრო ეთვისებოდა, ესიყვარულებოდა“.

ასეთი თვისების იყო სტეფანე კონსტანტინეს ძე და ასე აბრწყენდა მისი გული და საქმენი ჩვენს გონებას. მისი სამუშავო ქარხნის და მუშათა ნახვის დროს აღტაცებული იყო ჩვენი მწერალი ბ. ზურაბიშვილი და შარშან „ივერია“ში ქებით და თავმომწონეობით მოუთხრობდა მკითხველს როგორც სტეფანეს შეუდარებელს შნოს და ენერგიის შესახებ, ისევე მის თუ იგი თავის მუშებს რა სიყვარულს და რა მფარველობას უწევდა განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოების, რაისა გამო მის მუშებიც უაღრესად ესიყვარულებოდენ და ყოველ მის ნახვას ნატვრით და სიხარულით ელოდენ, სტე-

ფანეს ნახვა რომ მის მუშებს ყოველთვის რაღაცა განუსაზღვრელ სიხარულს ჰგვრიდა, ეს მე თვით გამიგონია. ამას სხვებიც დაასაბუთებენ ცნობებით.

მუშათა და სხვათა საზოგადო თუ კერძო პირთა ნაკლის შესახებ აი რა ჰაზრის იყო. ამ სამი წლის წინეთ, სტეფანე კონსტანტინეს ძე ბორჯომში გახლდათ, მე და ივ. როსტომაშვილი ვიყავით მასთან, ვნახეთ. სხვათა შორის ერთი პირის ნაკლის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, წარმოითქვა, რომ ეს ასეთი პირია. ამაზედ სტეფანემ წარმოსთქვა:

III

„დიახ, მეუბნებიან ხოლმე, რომ ეს ასეთია, ის ისეთია, ერთი სიტყვით, არ შეიძლება რომ ვისმეს ხმა გასცე, რამე სიკეთე უყო, ეს ნახოს, ან გაიგოს ვინმემ და მერე მასზედ ან ანბავი არ მოგიტანონ, ან წერილი არ მომწერონ და არ ეცადონ მის შეძულებას. ეს ასეთია, ის ისეთიაო. მერე ვინ არის უნაკლულო, ვნახავთ სადმე ისეთ კაცს, რომ მას ნაკლი არ აქვნდეს, ერთი რამე საქმის გულისთვის კაცი შეიძულეო. ეს როგორ იქნება, იქმნება კაცი ერთ საქმეშია უგვანი და დანარჩენში კარგი, ერთი საქმით კაცის მოძულება არ შეიძლება. ოქრო რომ ტალახში ჩავარდება, ის რასაკვირველია გატალახიანდება, იმას ამოღება უნდა, გარეცხა, მის შემდეგ ოქრო ისევ სუფთა ოქროდ დაშთება, მე ამ აზრისა ვარ და ნურავის აქვს იმედი, რომ მე ვინმე ვისმეს ჭორებით და მტრობით შევაძულო. გარდა ამის მე დიდად მძულს ჭორები და ერთმანერთის ცილი“.

ამ სიტყვის სინამდვილის მოწმად ვაღიარებ ივ. როსტომაშვილს. ვგონებთ ეს სიტყვა ნათლად და კარგად ხატავენ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის დიდს გონიერებას, ხალხთა ცხოვრების ღრმა ჯურღმულზედ, კაცთა შორის გაუტანლობას და თვით ძმათა და ერთ სახლიკაცთა შორის დიდს გაუტანლობას და მტრობას, რაც ჩვენსა და უცხოელებშიაც ოთხსავ კუთხით გართხმული. ვგონებთ, ამ სიტყვას

ჩვენი კომენტარია აღარ დასჭირდეს, იგი კარგად აჩენს სტეფანეს ღრმა გონიერს შემძლებლობას, თუ მას კაცის სულიერ და ხორციელ მხარეზედ რა წარმოდგენა აქვნდა, რა კანონიერად ზედ მოწევნილი განსჯანი.

რამდენათაც სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი მოყვარე იყო საზოგადო საქმეთა პატივისცემით და შეუძლოთა სიბრალულით, იმდენათვე იგი შეწუხებული იყო საზოგადოების თუ კერძო პირთა მისვლით, წერილების მიწერით და ათას ნაირის თხოვნების დატვრთვის და დავალებით. ისეთ საქმეთაგან იგი დაღალული იყო და თითქმის მობეზრებულიცეს რომ ასეა ამას დაასაბუთებენ მის ახლოს მდგომი მცნობნი და ნათესავ მეგობრებიც. ამ გარემოების შესახება აი რა უთქვამს:

„წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება, რომ მე დიდათ მაწუხებენ სხვა და სხვა ადგილას წვრილმანის თხოვნებით. ნამეტურ შეწუხება იციან ქალებმა, ყმაწვილებს დაიჭერენ ხელში და მოვლენ სათხოვნელად, ტირილსაცკი დაიწყებენ, რასა იქმ, არ მისცე რამე, არ შეიძლება, მისცემ და მით რა უნდა გახდეს, ან ვინ იცის მას როგორ მოიხმარებს, რამდენ ქალს კი შევამჩნიე, რომ წინდის ქსოვა რა არის, ისიც კი არ უნდა იცოდეს, ვგონებ უბრალო მუშაობასაც არ კადრულობენ. ზოგს ხელზედ აუარებლი ბეჭდებიც აქვს, ისიც ძვირფასის. თხოვნა კი არ ერიდებათ. ასეთი ქალების რიცხვი უფრო დიდს ქალაქებშია, პატარა ქალაქებში იგი მცირეა და იქ ტყუილა თხოვნას ვერც არავინ გაბედავს. ქალაქში კი ხშირად ცულლუტობენ და ცრემლებით ატყუილებენ ხალხს. ნამდვილად გაჭირებული კი ვერ სარგებლობს შესაფერის დახმარებით“.

ასეთი ჰაზრის იყო ჩვენებურ მათხოვარ ქალთა შესახებ, ეს რომ ჭეშმარიტებაც გახლავსთ და გამოცდილის კაცის დასკვნა ამას ფიქრი არ უნდა. აქ არავის პიროვნება გახლავსთ შელახული. ძალიან ხშირად ხდება ჩვენში და ჩვენთ თვალთ წინ, რომ ნამდვილად საწყალი ქალი კი ვერ სარგებლობს

თავის გაჭირების დროს, არამედ უფრო გამოცდილი და არ გაჭირებული. ეს არის ჩვენი საწუხი და სავალალო, რომ საწყალი ქალის და დასტურ ნამდვილ საწყალი ქალის მდგომარეობა მეტად საბრალოა და საგრძნობი. მას ცალკე სიღარიბე აწუხებს და ცალკე კიდევ გამოუცდელობა, მორიდება, თხოვნის გაუბედავობა. რაღა ფიქრი უნდა, რომ ასეთ საბრალოთა გარემოება სტეფანე კონსტანტინეს ძეს კარგად ჰქონია შესწავლილი და მიტომაც მწუხარებდა სინანულით.

ჩვენი ძველი ქალების მოგონება ძრიელ უნდა ჰყვარებოდა. ქებით მოიგონა თავის დედის ელისაბედის სიტყვით ძველი ქართველი ქალები და სთქვა, რომ ადრინდებური ქალები ეხლა ჩვენში ძრიელ ცოტა არისო, როგორც მე აღარა მყავს ჩემი კარგი დედა, ისევ მრავალთაც სხვებსაო. ამ დროსვე გადმოგვცა თავის დედის სურათი, რომელიც იტალიაში იყო ნაბეჭდი. რომელიმე კაცის ცხოვრების და ისიც შეძლებული კაცის პიროვნების შესახებ მოვიყვანთ კიდევ შემდეგს სიტყვას, რომელიც უეჭველია უმნიშვნელო არ იქნება როგორც ჩვენთვის, ისევე მის თუ ხშირად რა გვარ უნდა იყვნენ მობეზრებულნი ზოგი ერთ შეძლების პატრონებიც კი. ამას გამოაჩენს შემდეგი:

„წარმოიდგინეთ შემდეგი: ზოგი ერთი პირისაგან მომდის წერილი, შიგ მისი პასპორტიც კი სძევს და სამსახურის ნიშნის ფურცელი, ანუ მოწმობა. არ იცი ვინ არის, რა ტომის, რა სახის, რა ენის, რა თვისების, რა ხასიათის და სიმართლის, ესეც არ იცი, ვინ იცის, იქმნება ნამდვილად გაჭირვებულიც არის, იქმნება არა, ამის გაგება ერთობ ძნელია. მოდის, დახმარებას აძლევ, მიდის ის, მის მერე მოდის მეორე, მესამე და მეოთხე, დასასრული არა აქვს. მთელი დღეები და თვეები სულ ასეთ პირთა მიღებას მოუნდება კაცი და ვერც გაათავებ. მთხოვნელთ შორის თვით დიდი ჩინის და ორდენების კაცებიც კი არიან. ერთმა დიდის ჩინების და ორდენების კაცმა საქმე გამიჭირა, გულზედ გაიმწკრივებს აუარებელ ჩინებს, მოვა, თავზედ დამადგება და დაიწყებს: მამე, მამე და

მასესხეო. სწორეთ უნდა მოგახსენოთ, ასეთ პირებმა ნერვები მომიშალეს, მომაბეზრეს, ეს არის შესაწუხი, თორემ საწყალ ლატაკს კაცსა თუ ქალზედ მე არას ვიტყვი, მათი დახმარება ყველას ვალია და ჩვენიც. ზოგი ერთი თავადისშვილი მოვა და იტყვის ბანკში მამული მეყიდება, მიშველე რამეო, შენ შედიხარ მის გარემოებაში, აძლევ დახმარებას და ის კი ვინ იცის რა ბოროტებაში არ ფლანგავს".

ასეთ პირებს ძრიელ მოებეზრებინათ 1901 წ. სწყინდა დიდათ მოტყუილება. ნუ კი ვინმე მომატყუებს და რაც უნდა ის მთხოვონო. ზოგი რომ მიმართამდა, თურმე პენსიის კნიშკასაც კი მიუტანდა, რომ დაიგირავეო, ზოგი მზა მზარეულს ვექსილს დასწერდა, წერილში სდებდა და სტეფანეს უგზავნიდა, რომ გაჭირებაში ვარ და ფული მასესხეო, აი ესეც ვექსილიო და ამა და ამ დროს გადაგიხდიო. ძრიელ ბევრისთვის სტეფანეს ვექსილიც დაუბრუნებია უკან და თან ფულიც გაუგზავნია. ერთის წერილის მიწერის შემდეგ სთქვა შემდეგი:

IV

„კარგი იქმნება, რომ შენი წერილის კონვერტს ქართულადაც დააწერო, რომ ვიცოდე ვისგან არის, თორემ წერილი ვეღარ გამიხსნია, ყოველ წერილის გახსნის და წაკითხვის დროს კაცი თითო ხიფათს უნდა ელოდეს, ზოგი წერილის წაკითხვის შემდეგ სიბრალულით აივსები, მერე დაიბარებ მას, იგი მოვა ისე ჩაცმულ დახურული, რომ კაცი შეხედვით გაკვირდება, იტყვით ასე ჩაცმულ დახურულები, ასე მორთული და გაჭირება, ამისთვის თხოვნაც კი, ვერაფერს ეტყვი, ინატრებ მხოლოდ იმის, რომ ნეტა ასეთ პირნი არა ტყუოდნენ, არავის ატყუილებდნენ და სილარიბეს რა დაეძრახება, რა უყოთ, მით არავინ დაიძრახება, ტანისამოსი ვერც სილარიბეს დაჰფარავს, არც ჩვენ უნდა შევცდეთ და ვისმეს მის გამთ ბოროტება დავწამოთ. ვინ იცის, იქმნება ტანისამოსი მას სუფთად აცვია და ლუკმა პური, ცალი ფულიც კი ენატრება".

უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაცა და სტეფანე ზუბალაშვილი შეწუხებული იყო სხვა და სხვა პირთა თხოვნებისაგან. მას ყველა აწუხებდა: ყოველ დღე მისდიოდა სხვა და სხვა წერილები, სხვა და სხვა მთხოვნელები, ისე ფეხს ვერ გადადგავდა სადმე, რომ გზაში რამდენიმე მთხოვნელი არ დახვედროდა. მთელი თავის სიცოცხლე, რომ სულ ასეთის საქმეებისათვის მოენდომებინა, იგი მათ შრომას და სამსახურს ვერ აუვიდოდა. ცხადი დასკვნა უნდა ვიქონიოთ, რომ მართლაცა და შეძლებულთაგანი ვინც კი ასეთი გულ მოწყალე იქმნებოდა, ის ყოველთვის ასე იქმნებოდა შეწუხებული, ვინც არა და იმას კიდევ არვინ მიეკარება. დიახ, ეს დღეს, ჩვენი თვალთ წინ ასეც გახლავსთ. ჩვენს გარდა სტეფანეს გულ მოწყალე ბნიშვნელობა და სამაგალითო თვისება რუსულ გაზეთებშიც დაწერეს და ნამეტურ „ახალ მიმოხილვაში“ იქაც იგივე იყო და ბაქოს რუსულ გაზეთებშიაც, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძეს საწყალი ხალხი ძრიელ უყვარდა, იგი მათ დიდს დახმარებას უჩენდა, გაჭირებული კაცი მისთვის სულ ერთი იყო ვინც უნდა ყოფილიყოს. ხალხის სამსახურისა და სიყვარულში დავაჟკაცდა და მათი ვალი ისე გადაიხადა თავის წილად, რომ ღმერთმა ქმნას მის მეასედი სხვა ჩვენმა შეძლებულმა პირებმა გადაიხადონ.

ვიტყვი თამამად, რომ ჩვენს დროში, სტეფანე კონსტანტინეს ძეს იმდენი დავალება აქვს დადებული საწყალ ხალხზედ, რომ ძნელად რომ ამით მას ვინმე შეედაროს. ესეც ერთი თავ მოწონება არის მთელის ქართველობის. ამ ჯერათ ამის ვიკმარებთ და შემდეგისთვის სხვას შევკრებთ უმეტესად ღარიბ მუშა ხელოსნებთაგან, ღარიბ მოხუცებულთ ქალთა თუ კაცთა ოჯახებიდამ და გაჭირებულ მოსწავლეთაგან. პირ ნათლად ვიტყვით, რომ ამათ ცნობებში ბევრი სულის ასამაღლებელი სამაგალითო საქმენი აღმოსჩნდება სტეფანეს შესახებ. ვიტყვით იმასაც, რომ ასედ გულ მოწყალე დარგს და ამაგს სტეფანეში მემკვიდრებითი გარდმოცემასაც უნდა აქვნდეს თავისი წილი, რადგანაც ქველ მოქმედებით ქებულნი იყვნენ მათი მამა პაპა-

ნიც და მთლად საგვარეულო ოჯახი, თვით სტეფანეს ძმებიც ამ დიადს საგვარეულო მამაპაპათა მცნებას ემორჩილებიან, ნამეტურ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რაც უკვე ცხადია ყველასთვის.

ზ. ჭ.

სამძიმრის სიტყვა

განსვენებულს კეთილ-სახსენებელს სტეფან კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილზედ.

«მოვედით თაყვანივცეთ და შეუვრდეთ ღმერთსა და ეს-ტიროდეთ წინაშე უფლისა, შემოქმედისა ჩვენისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჩვენი და ჩვენ ერი სამწყსოისა მისისა და ცხოვარნი ხელისა მისისანი». (ფსალმ. 94. 77.)

როცა ისრაელის მეფე სოლომონ ბრძენმან გადახედა თავის ყოფა-ცხოვრებასა, დაიძახა მწუხარებით: ამაოება ამაოებათა ყოველივე ამაო არსო (ეკკლესიასტე), ვითამც წუთის სოფლის ყოვლიფერი უბრალო და არა რაი არის.—მართლა რომ, რასაც ქვეყნის მოყვარულნი კაცნი და ქალნი დიდ ბედნიერებათ სთვლიან, სიამოვნებას, ლხინ-სიხარულსა, დიდებას, პატივსა, ჯანმრთელობასა, ტკბილ სიცოცხლეს და დღეგრძელობასა, სულ მთლად საეჭვო, მიუწდომელი და ჭკუის გარეთი რამ არის ჩვენთვის, ტყვილ-უბრალოდ ვსცდებით და ვკარგავთ ღვთის მოცემულ ჩვენს მადლიან დროებასა. ძნელათ თუ ვისმეს ასრულებოდეს ყოვლიფერში თავის სურვილი, ვინ იცის, იქმნება ასი ათასში ერთს როდისმე რომ ღირსებოდეს ეგრეთი იშვიათი ციური მოვლენა, დიდ სასწაულათ მისაღებია; მაგრამ მხოლოდ კი მარტო სიკვდილი უეჭველი არის და მიუცილებელი ნამდვილათ ჩვენთვის, ადრე და მალე, წამ-და-უწუმ მოსალოდნელ-მოსასვლელი, როგორც გვიბრძანა მაცხოვარმან: «რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს». (ლუკ. 12, 40). დიდი და პატარა ვერავინ გადაურჩება ვერაოდეს მის განძვინებულს მრისხანე ბრჭყალსა, მისგან ატირებულია მთელი ამ წუთისოფლის კაცობრიობა;

ქვეყნის დასაწყისის მოღმა არავინ არ გაუხარებია დღემდის და არც არა დღეის შემდგომ თვალს გაახელინებს ვისმეს უწყალოდ მმუსვრელი.

აგერ დღეს ჩვენ დიდ სატირელ-სავაგლახოთ ვხედავთ ჩვენს თვალ-წინ მის ერთს უწყალო მსხვერპლთაგანს, კუბი.ში მოსვენებულს კეთილ-სახსოვარსა სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სხეულსა, ისეთ ქვეყნის საქებ-სადიდებელ, მკვირცხლ, ცოცხალ ვაჟკაცისას, რომლის ბედნიერ ხელ-გაშლილ ქველ-მოქმედებას ქალაქ-სოფლამდის უკვე დიდს აღტაცებით წინ ვეგებებოდი სიხარულ, ფარფარუჭობით პირმღიმარენი: ვამბობდით, ეს არის ღმერთმან შეგვიბრალა, გარდმოგვხედა წყალობის თვალით, მოგვცა, მოგვანიჭა ერთად ერთი ძვირფასი კაცთ-მოყვარე, ქვეყნის შემბრალებელი კაცი, კურთხეული გვარიშვილი, გვარის ბატონი, დიდება, სიხარული, ეკლესიების მაშენებელი, კეთილ-მორწმუნე ქრისტიანი, ქალაქის განმანათლებელ-წარმამატებელი ძვირფასის მდიდრულის სამადლო შენობებითა, თეატრია, სათავად-აზნაურო სკოლაა, სახალხო სახლი თუ სხვანი, გლახაკთ გამკითხავი, გაჭირვებულთ შემწე მომხმარი, დავარდნილ დაცემულთ აღმადგინებელი, მუშა, მოსაქმური, დამჯილდოვებელი და გაურჩევლათ ყოველი კაცის დამაკმაყოფილებელი, სარწმუნოების მოსარჩლე-აღმამაღლებელი, მშვიდობისა, ერთობისა, სიყვარულისა და ყოველის სიკეთის მომფენელი უხვათ! და რა ვიცოდით, თუ ასე უეცრად ხელიდგან გამოგვეცლებოდა ჩვენის ცოდვითა და სიხარული და ფარფარუჭობა გლოვა-მწუხარებაზედ შეგვეცვლებოდა! საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი!

დიდი სიკეთე უყო, სხვათა-შორის, ბათუმში გადასახლებულ ახალციხელ კათოლიკეთა, რომ დიდებული ეკკლესია-ტაძარი აღუშენა: არ აკმარა მდიდრად მორთვა-მოწყობა მისი; მოიწვია ადგილობრივი ტირასპოლის ეპარქიის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო უ. ედუარდ დე ბარონ როპპი ეკკლესიის საკურთხევლათ თავის ხარჯით და გაგვაბედნიერა მთელი კავკასიის კათოლიკო-

ზა, რომ რამდენიმე საუკუნოების აქეთ კათოლიკე ეპისკოპოსი აღარ მოსულიყო ჩვენს ქვეყანას და არ გვენახა, ვნახეთ, ვემთხვიეთ მის მადლიან კურთხეულ მარჯვენასა და მივიღეთ უხვი ლოცვა-კურთხევა. ვისმინეთ მისი მწყემსებრივი მამაშვილური სწავლა დარიგება, ცვა-მფარველობა და გვენუგეშა დიდათ, მოვლო მთელი ქალაქ-სოფლები, განამტიკიცა და გააძლიერა წმიდა საიდუმლოებითა დიდით წვრილამდის მთელი ჩვენი კათოლიკობა. და ესრეთ ჩვენი კათოლიკობის განათლება გაბრწყინების მიზეზი გახდა უფლის მიერ განსვენებული სტეფანე კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილი. ნუ დაუკარგოს ღმერთმან და ერთის წილ, ათასკეცილი მიაგოს სუფევის დიდება!..

თუ საზოგადოდ ყოველი კაცის სიკვდილი დიდი დანაკლისია თავის ოჯახობისა და ნათესავთათვის, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სიკვდილი თანასწორეთ მის ძმებისა და ნათესავებთან ერთათ მთელი ჩვენ ქართველთ ტომ მდგომარეობისათვის უფრო დიდი დანაკლისი არის, კარვი ღვთის მოწყალება იქმნებოდა, რომ მაინც ერთ ხანს კიდევ ეცოცხლა, ჩვენ შემწე- მომხმაროთ და დიდ ნუგეშად, ამ ჩვენს გაჭირვებულ გაუკულმართებულ საუკუნის შინ თუ გარეთგან მოყენებულს ვაი-უბედურებაში, მაგრამ ამის თქმით უნდა ვსცდებოდე გატაცებით, რადგან უფალსა და დიდათ მოყვარე ღმერთსა ჩვენსა თავის წინასწარის მზრუნველობით ყოველიფერი ჩვენი სასიკეთო სახმარი უკვე განუგია, გაურიგებია და ახლაც განგვიგებს.—„უფალმან ზეცას განამზადა საყდარი მისი და სუფევა მისი ყოველთა ზედა ეუფლებისა“. ფსალ. 102,19. მით ხმა აღარ ამოგველება რა, თუ არ მარტო იობ მართლის სიტყვა გამოგვადგება აქ სათქმელათ“: უფალმან ღმერთმან მოგვცა და უფალმანაცა მიიღო, ვითარცა უნდა უფალსა, ეგრე იქმნა, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნასამდე“. იობ. ა. 11.

მაშ, ახლა, პატივცემულნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, საბოლოოდ გამოვესალმოთ ამ მარადის სახსოვარს

მიცვალებულსა, მხურვალე ლოცვით ვუსურვოთ ზეცას სასუფევლის დიდება ყოველ მართალთა და წმიდანთა თანა და ძმათა მისთა ნუგეშთა მის წილ კეთილი სიცოცხლე, დღეგრძელობა და ძლიერება. ხოლო ჩვენც, მინდობილთ ღვთის უზომო მოწყალებაზედ, ამით ვინუგეშოთ და მოვილოდინოთ უეჭველად, რომ დიდი იმედია, ფრიად პატივცემულნი განსვენებულის სტეფანეს ძმანი: ლევან, პეტრე და იაკობი თავიანთ კურხეულ მამა-პაპათა გვარეულ, ქველ-მოქმედების გზა—კვალს მტკიცედ დაადგებიან, თავიანთ დღენი ღვთის პატივისათვის, თავიანთ ჩამომავლობის დიდ სასახელოდ, ჩვენის ქვეყნისა სასარგებლოდ. ინებოს, მოწყალე ღმერთმან. ამინ.

მესხი ივ. მდვ. გვარამაძე.

ს ი ტ ყ ვ ა

პატრის სტეფანე დემუროვის წარმოთქმული 27 სექტ. 1904 წ. დასაფლავების დროს.

„დღენი კაცთანი ვითარცა ჩირდილი
და თვინიერ გამძლეობისა“.

ამ სიტყვებით საღმთო წერილი გვასწავის ჩვენ უძლურებას კაცთა ცხოვრებისა, რასაც საკმარისად გვიმტკიცებს ჩვენ, ეს დღევანდელი შეთხვევა. დღეს ჩვენ დაღონებულნი გარეშემორტყმულვართ ძმასა ჩვენსა, მოსილსა ახალის ღრმა სიბნელით სიკვდილისათა. თუმცა რომელსაც ცოტა ხნით ადრე მთლად დაშორებული ეგონა თავი თავისი სიკვდილისაგან. სულ ცოტა ხნის წინეთ ეგონა მას თავის თავი გაკურნული, ამიტომ აპირებდა კიდევაც დაბრუნებას საზღვარ გარეთიდამ. ღმერთმა უწყის, თუ რა კეთილი აზრებით, მაგრამ ამ მის კეთილ იმედებში, მთლად მოულოდნელად მისწვდება მას სიკვდილი და დაშლის ყველა მის კეთილ იმედებს და მოქმედებებს.

ძმანო, დიდათ შესაწუხებელია ეს შემდეგი მოვლენა, რომ სიკვდილი სწორედ მათ ეტანება, რომელნიც უმეტესად

შეერთებულნი არიან ქვეყნიერებასთან. როგორ არ სურვილობს, მაგალითად, ვინმე ავადმყოფი და უბედური თავის სიკვდილსა, ან რა სასიამოვნოდ არ მიაჩნია იგი მარტო მყოფს და დატოვებულს ყველასაგან, და დევნილს ბოროტთაგან, ხოლო სიკვდილი სწორედ ამ შემთხვევებში უშორდებათ მათ, როდესაც რომ, სადაც იგი სრულებით სასურველი არ არის, აჩენს თვის უფლებასა.

მაგალითად, რა აკლდა ჩვენ მიცვალებულს თავისი საკეთილოდ, ან რამდენს არ გააბედნიერებდა იგი თავისი გულკეთილობით, ვითარცა მოწმობენ ბაქოს გაზეთები, ან რა გულ მოდგინებით ამშვენებდა მეორე ტაძარს უფლისა; ხოლო მიუწვდენელმა ჩვენთვის—განგებამან უფლისა სხვაფრივ გაარიგა, რომელ განკარგულებას, რასაკვირველია, ვითარცა ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, ყველა პატივით ვექვემდებარებით, განმეორებით: „იყავნ უფალო ნება შენი“.

ამასთანავე გვწამს, რომ კეთილთ საიქიოს უცდის უდიდესი ჯილდო, რაც უარი არ ეთქმის ამ ჩვენ მიცვალებულსა, მიზეზით მისი განსაკუთრებით პატივისცემისა ღვთის მშობლისა მიმართ, მიზეზით მისი განუსაზღვრელი სიყვარულისა მოყვასთა თანა. ჩვენთვის დაფარული არ არის, რომ მან უმშვენიერესი ტრაპეზი დადგა ქ. ლურდში, (ფრანცია) უძვირფასესი ეკკლესია ააშენა ქ. ბათუმში. ეგრეთვე ჩვენთვის ცნობილია მისი აუარებელი სიყვარული მოყვასთან და ურიცხვნი დახმარებანი გაჭირვებულთა ზედა, რისათვის ახლა მაშ ღვთის მშობელი ჰკარგავს სააქაოს მასში თავის მხურვალე შვილსა, ღარიბნი და უძლურნი ჰკარგავენ მასში უხვს და დაუზარებელ შემწესა და მამასა, მეგობარნი მისნი ძვირფას ამხანაგსა და თანა მშრომელსა, ხოლო ქვეშევრდომნი მისნი ტკბილს, მშვიდობიანს და თავმდაბალს უმფროსსა თვისა, რის გამო და დასამშვიდებლად უკანასკნელთა, ვსთხოვთ ყველასა, რათა აკურთხოს ძმანი და დანი მისნი, რომელნიც, რათა რომ შეასრულებდნენ ყველა მის სურვილსა ღირსეულად.

და შენ ძმაო და მეგობარო ჩვენო სტეფანე კონსტან-

ტინეს ძე, ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ქანწულმა მარიამმა მიგიწოდა შენ, ვითარცა განსაკუთრებითი პატივცემელისა მისი უმანკო ჩასახებისა, ამ მისი იუბილეის დროს, ღირსეულად დაგასაჩუქრა შენ ზეციერსა მამულსა შინა; რისათვისაც დამშვიდებული და გულითადი გისურვებთ და ვსთხოვ უფალსა შენს განსვენებისა შენ ამორჩეულ საფლავსა შინა, რომელიც გეკუთნა შენ, ჩვენდა სამწუხაროდ, უდროვოოდ. შენი სიყვარული ძმაო, იქნება ჩვენთვის მუდამ სახსოვრად და შენი არსება ჩვენ ხსობაში, მანამდისინ აღგვადგენს ჩვენ უფალი ღმერთი მკვდრეთით შესვლად და მიღებად ზეციერი სუფევისა.

წინამძღვარი ბაქოსი პატრი სტეფანე.

ს ი ტ ყ ვ ა

პატრი ანსელმო შღებრიშვილისა.

(მხოლოდ სიტყვის შინარსი გალავთ ეს)

დღეს, 27 სექტემბერს, მიწას უნდა მივაბაროთ ისეთი ძვირფასი კაცი, რომელმაც მრავალნაირი კეთილი საქმე დასთესა. სტეფანესაგან დანათესი საქმეთა რიცხვი ერთობ დიდია, უხვი და სამაგალითო. იგი სათნო ადამიანი იყო და დიდად კაცთმოყვარე. ამის ფულით აღშენდა ჩვენი ეკკლესია. იყო კაცად კაცი და ძვირფასის ხასიათებისა. ასეთი ძვირფასი პირის დაკარგვა ჩვენ ცხადს საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ყოველივე ამაოება ყოფილა ქვეყანაზედ. არაფერს ჰქონია მნიშვნელობა: არც სიმდიდრეს, არც დიდს შეძლებას და არც არა სხვას. ყოველივე ამაოება ყოფილა ამაოებასა ზედა თვინიერ კაცთმოყვარეობისა, მღვთისადმი პატივისცემისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სამაგალითოდ უკვდავ საქმეთა კეთების, რასაც განსვენებული ადგა და აკეთებდა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო სტეფანე კონსტანტინეს ძევ ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა

პატრის დომინიკე ნუდაშოვის წარმოთქმული.

(მხოლოდ შინაარსი გახლავთ ეს)

დღეს, ჩვენის წირვა-ლოცვით ვიგონებთ და ვიხსენიებთ ისეთ კაცს, ისეთ პატიოსან მამულიშვილის და ქრისტიანის ხსენებას, რომელმაც თავის ადამიანურის და ქრისტიანულის საქმით თავის სამშობლო ქვეყანაში, საქართველოს კათოლიკეთათვის მრავალი კეთილი საქმენი გააკეთა. დღეს ამ წირვა-ლოცვით ვიგონებთ ისეთ ძვირფას ქართველის მამულისშვილის ხსენებას, ვისაც თავის თვალი და გული საქართველოს საზოგადოებისაკენ ჰქონდა მიქცეული. ესეთი ძვირფასი ადამიანის ხსენება ჩვენმა საზოგადოებამაც არას დროს არ უნდა დაივიწყოს, მის საქმეთა ხსოვნა ყოველთვის უნდა სახსოვრად დაშთეს და მის შესაფერი პატივი აგონ. განსვენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე იყო დიდი მღვთის მოსავი, ეკკლესიათა მაშენებელი და დამხმარე, საწყალი ხალხის ქომაგი და ნამდვილი ადამიანი. ღმერთმა განუსვენოს და საუკუნოდ ჰყოს ხსენება მისი, ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა

თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილისა სტეფანე კონსტანტინეს ძის დასაფლავების დროს სასაფლაოზედ უკანასკნელად.

ჩვენო ძვირასო მამულის შვილო სტეფანე, ჩვენგან ასე უდროოდ დაკარგულო და მოშორებულო, ვიგლოვს ჩვენი ქვეყანა და ერი, გიყვარდა დიდათ შენი სამშობლო ქვეყანა და ერი და აგერ შენმა სამშობლოს მიწამაც მიგიკრა და მიგისვენა გულზედ.

თავ. პავლე თუმანიშვილის სიტყვა იყო პატარა, მაგრამ ბეტად გრძნობით სამსე და კილოიანი, მთელი იქ მდგომნი ატირდენ და ცრემლები დაღვარეს ამ სიტყვის გამო უკანასკნელად სტეფანეს საფლავზედ.

ხალხის ხმები და სიტყვები:

ეს სიტყვები და ხმები საერთოდ გამოისმოდა დასაფლავების დროს იქ მყოფი და დამსწრე პირებთაგან:

„მდიდარი კაცი ბევრი მომკვდარა თფილისში, ბევრის სინანული მოგვისმენია ხალხის გულადამ, მაგრამ ასეთიკი არას დროს არ ყოფილა. ეს პირველი მაგალითია რომ თფილისის ღარიბ ხალხს სტეფანე ზუბალაშვილი ასე ენანება. ღმეთმა აცხონოს, ღმერთმა აცხონოს. აფსუს, აფსუს, განა ასეთი კაცი, ასეთი გულ მოწყალე და ღარიბი ხალხის შემბრალე ასე უდროვოთ უნდა მომკვდარაყოს. დალოცვილი ღმერთიც თვითქოს ასეთ კაცებზედ იცლის“. და სხვანი.

უნდა ითქვას, რომ დასაფლავების დღეს, ხალხში, სტეფანეს შესახებ ბევრ ნაირს ცნობებს ლაპარაკობდენ ის პირნი, რომელთაც ოდესმე მასთან რამე საქმე ჰქონიყოთ, ყველას საუბარი და ცნობები გარემოცული იყო მაღალის ადამიანურის თვისების დახატვით, სამწუხაროდ დრო არ იყო, რომ ყველას ლაპარაკისთვის ყური გვეთხოვებინა და ცნობები შეგვეკრიბა, თორემ ბევრი შესამჩნევი ცნობა შეიკრიბებოდა რომელნიც ნათლად გამოაჩენდენ სტეფანეს ადამიანურს პიროვნებას. დასაფლავების დროს:

სიტყვებს ამბობდენ და აქებდენ რუსები.

სიტყვებს ამბობდენ და აქებდენ ლეკები და თათრები.

სიტყვებს ამბობდენ ქართველები და სომხები,

ყველა სწუხდა ძვირფასი კაცის დაკარგვას. მწუხარება მათ ერთნაირის თვისებით და სიყვარულით აერთებდა და ისე ამწუხარებდა. სტეფანეს მწუხარება იყო მათი ერთობის კავშირი და პატივისცემა. ესეც კაი გზა და ხიდია სტეფანეს გარდაცვალების წყალობით.

ს ი ტ ყ ვ ა.

თქმული აკაკის მიერ ს. კ. ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს.

მის დღეში არ მინახავს, მაგრამ ხშირად თვალ-წინ მედგა. არავითარი დამოკიდებულობა არა მქონია, მაგრამ გულით მაინც მიყვარდა, როგორც ღირსეული ქართველი, რაიცა დღეს ჩვენში სანთლით საძებარია. აქ ბევრი მხურვალე სიტყვები წარმოითქვა მაგის ქველ-მოქმედებასა და დიდს შეწირულებაზე, მე კი სულ სხვასა ვგრძნობ: ვაფასებ გულს და არა მარტო ფულს... სხვა ბედნიერ ქვეყნებში, სადაც ხალხი თავასუფალია, ქველ-მოქმედებაც უთვალავია და უსაზღვრო. ევროპა და ამერიკა რომ არ მოვიხსენიოთ, საკმაოა რუსეთიც, სადაც თვით გაუნათლებელი ვაჭრებიც მილიონებს სწირავენ საქველ-მოქმედოდ. ჩვენში კი, ამ საცოდავ საქართველოში, დიდებულთა ჩამომავალნი გვარიშვილები, წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულს და, გაურჩევლად წოდებისა, ქართველთა ძველებით გაპოხიერებულ საერისთავო მამულებს გულგრილად ჰხრავენ გარეშეებთან ერთად და აქედან მცირე წვლილსაც არ სდებენ საეროვნო ტრაპეზზე. აღარ აგონდებათ აღარც წარსული და აღარც მომავალი. და თუ აგონდებათ, ალბათ, ეთაკილებათ და ან ერიდებათ ვისიმე და თვით ისე ექცევიან სამშობლოს, როგორც ონავარი პეპელები მუშათ: ფუტკრებს, უკანასკნელს საზრდოს რომ სტაცებენ და საფუთკრეთს აოხრებენ. ეს სენი ჩვენში დღეს საზოგადოა და ამისთანა დროს გამოსვლა ვისიმე საქველ-მოქმედო ასპარეზზე სამაგალითო გმირობაა! ამ გმირთაგანი იყო განსვენებული ს. კ. ზუბალაშვილი და სწორედ ამან მომიყვანა მეც შორეულ იმერეთიდან, როგორც ჩემის, ისე ჩემ თანამოაზრეთა მხრითაც, რომ გულდათუთქულმა მეც მის ჭირისუფლებთან ერთად თაყვანი ვსცე მის კუბო-სამარეს და ვუსურვო საუკუნო განსვენება. დაუვიწყარი იყოს მაგის სახელი ერთად ჩვენ სამშობლოსთან უკუნისამდე!

„მოგზაურიდამ“.

დიდი სამწუხარო ამბავი მოგვიტანა ტელეგრამამ: „პარიზში 14 ეკენისთვეს, გარდაიცვალა სტეფანე კ.-ძე ზუბალაშვილი“.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი იყო უდიდესი ქველ-მოქმედი ჩვენს საუკუნეში. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ განსვენებულს ბადალი არა ჰყავდა ჩვენში. ამ მხრით და თვით მისი ქველ-მოქმედებაც სულ განსხვავებული იყო სხვა გვარ ქველ-მოქმედებათაგან. ზოგიერთ შეძლებულს ჰგონია, რომ კაცმა ქველ-მოქმედება მარტოოდენ საზოგადო საქმეში უნდა გამოიჩინოს, რომ კერძო პირის დახმარება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ პირიქით, შეიძლება კიდევაც ავცინცლოთ მას რამე, ოღონდ საზოგადო საქმეს მოვახმაროთ; მაგრამ ასეთი ქველ-მოქმედება აღარ არის, რადგანაც აშენებულია მოყვასის ცარცვაზედ. სულ წინააღმდეგის შეხედულებისა იყო განსვენებული სტეფანე: ქველ-მოქმედება მისი არ არჩევდა კერძო და საზოგადო საქმესა, კერძო პირსა თუ საზოგადო დაწესებულებასა, იგი ერთგვარად ეხმარებოდა ორივეს და ამით, თქმა არ უნდა, ერთგვარადვე ხელს უწყობდა ხალხის საერთო სიკეთეს, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ კერძო პირის კეთილ-მდგომარეობის გაუკეთესება იგივე საზოგადოებისა და ხალხის კეთილ-მდგომარეობის გაუმჯობესობაა. ერთი სიტყვით, სტეფანე ქველ-მოქმედება იყო ნამდვილი ქრისტიანული ქველ-მოქმედება და ვგონებთ, კიდევაც მისი ასეთი თვისების ქველ მოქმედება იყო მიზეზი იმისა, რომ მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ასე დიდად დაამგლოვიარა მთლათ ჩვენი მხარე.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი მამულით თბილისელი იყო. დაიბადა 1860 წელს. დაამთავრა სწავლა აქაურს პირველს გიმნაზიაში თუ არა, მამა მისმა მაშინვე ბაკოში წაიყვანა იგი და ჩაბა თვისს სანავთო საქმეებში. მას აქეთ განსვენებული აღარ მოჰშორებია ამ საქმეს და ისე ჩინებუ-

ლათაც აწარმოვა და მოაწყო იგი, რომ დიდი შეძლება შეიძინა. ცოლ-შვილი არი ჰყავდა, თუმცა დედას ძლიერ ჰსურვებია მისი დაცოლშვილიანება. თითონვე იტყოდა ხოლმე:— „სანამ დრო მქონდა, სხვა და სხვა გარემოებამ შემიშალა ხელიო, და მერე, რაკი დედაც გარდაიცვალა)1896 წ.), მეც სრულიად დაუტევე ზრუნვა ამაზედ და დავრჩი მარტო-ხელიო“.

ხასიათით განსვენებული დიდად კაცთ-მოყვარე და სათნოიანი იყო, ბევრს კეთილს საქმეს აკეთებდა. დიდს მადლსა სთესავდა, მაგრამ სულ ჩუმად. იგი, მაგალითად, დიდს დახმარებას აძლევდა ჩვენს ჟურნალს და ქართულ სახალხო-საყმაწვილო წიგნების გამოცემის საქმეს, მაგრამ მარად იმას იხვეწებოდა, ნუ გამამჟღავნებთო, სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო.. დაკარგვა ასეთის ადამიანისა მით უფრო სამძიმოა ჩვენის ქვეყნისათვის, რომ იგი ერთად-ერთი ქველმომქმედი. რომელიც უხვს დახმარებას აძლევდა ჩვენს მწერლობა-მწიგნობრობას და არც სხვადასხვა საზოგადო და კერძო საქმეებს სტოვებდა უყურადღებოთ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. სასიქადულო მამულიშვილო და სამაგალითო კაცო!..

ივ. როსტომაშვილი.

ს ი ტ ყ ვ ა.

თქმული ივანე როსტომაშვილის-მიერ 27 ენკენისთვეს, 1904 წ. სტეფანე კონსტანტინის-ძის ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს.

— პიროვნება ადამიანისა ჩემთვის უმაღლესია ყოველ ისტორიაზედ, საზოგადოებაზედ და თვით მთელ კაცობრიობაზედაც,—სთქვა ბელინსკიმ. ამ დიდებულის სიტყვებით ბელინსკიმ ცხადად და მკაფიოთ გამოსოქვა თავისი უაღრესი პატივისცემა საზოგადოთ ყოველი ადამიანის პიროვნებისადმი, დიდია იგი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, გამოჩენილი თუ უჩინო... მაშ რაღა უნდა ვსთქვათ ისეთის იშვიათის პიროვნების შესახებ, როგორსაც წარმოადგენდა პიროვნება აწ

ჩვენს წინაშე მდუმარედ მდებარის, უდროვოდ გარდაცვალებულის და ყველასათვის ძვირფასის სტეფანე კონსტანტინესძისა!? რაღა და—ჭეშმარიტად რომ თაყვანის საცემია იგი, როგორც თაყვანის-საცემია თვით ბელინსკის სიტყვები, თქმული იმათ წინააღმდეგ, რომელთაც ხშირად ჩხირათაც არ მიაჩნიათ ესა თუ ის ადამიანი და ზიზღითაც უყურებენ მათ...

ბელინსკის მოყვანილი სიტყვები რამოდენადმე ემსგავსება ძველი ბერძნების ათინის ერთის ტაძრის კარების თავზედ ამოჭრილ სიტყვას—„იცან თავი შენიო“! ბევრი გამოჩენილი მკითხველი ეცადა ამ წარწერის მნიშვნელობის ახსნას, მაგრამ იგი მხოლოდ ცნობილმა ფილოსოფოსმა სოკრატიმ ახსნა.

ერთხნლ სოკრატი ჩვეულებისამებრ ესაუბრებოდა ხალხს მოედანზედ და ჰკითხა:

—ჩვენის ტაძრის კარების თავზედ სწერია: „იცან თავი შენიო!“ რას ნიშნავს ესა? ყველა გაჩუმდა, არ იცოდნენ რა ეთქვათ. სოკრატმა განაგრძო:

— რა ძნელია მაგის პასუხი, მითხარით, ვის რა გინდათ, რა გენატრებათ? ახლა კი ყველა ალაპარაკდა და ერთმა ახლო მდგომმა უთხრა:-მე ბევრი რამ მენატრება, მაგრამ ყველაზედ უფრო სიმდიდრე მინდა, თუ სიმდიდრე მექნება, ყველაფერიც მექნებაო.

— არა, მე რო მკითხოთ, ხელის-უფლება ყველას მირჩევნიაო. ხელის-უფლება თუ მექნება, სიმდიდრეც მექნებაო, —სთქვა მეორემ.

— მე კი უფრო იმას ვირჩევდი, რომ გაუჭირვებლად ვცხოვრობდე და შემეძლოს მეცნიერებათა ტრფობაო,—სთქვა მესამემ.

— მე კი მარტო ის მინდა, რომ ქებული და დიდებული ვიყო და ყველა პატივსა მცემდესო,—სთქვა მეოთხემ.

— ეს რა ამბავია,—მიმართა ხალხს სოკრატმა:—კითხვა ერთი იყო და პასუხი კი სულ სხვადასხვა ნაირი; ცხადია; რომ ჩვენ ჩვენი თავი ვერ გვიცვნია, არ ვიცით, ვის რა გვინდა, თორემ ყველანი ხომ ერთს ვიტყოდით. ყვე-

ლაზე ახლო კი ჩემს კითხვაზე და ყველაზედ მართალიც მეოთხისაა, რომელმაც სთქვა: მე კი მარტო ის მინდა, რომ ქებული და დიდებული ვიყო და ყველა პატივსა მცემდესო, რადგანაც ესევე ყველასა გვსურს. შენ გწადიან, რომ მე შენ პატივსა გცემდე, მეც მოწადინებული ვარ, რომ შენც პ ტივსა მცემდე მე. მაგრამ, საქმე იმაშია, რით ვაიძულოთ, რომ ყველანი პატივსა გვცემდნენ? რითა და კეთილი საქმითა, კეთილი მოქმედებითა, რადგანაც მხოლოდ კეთილმა საქმემ იცის პატივისცემის აღძვრა ადამიანში,—დააბოლოვა სოკრატმა.

ჩვენ კვლავ მოვედით ჩვენს ძვირფას სტეფანესთან. ამან ზედ-მიწევნით „იცნა თავი თვისი", იცნა, რომ იგი განხორციელებული კეთილი ანგელოზი უნდა იყოს ყოველთა დავრდომილთა, გაჭირვებულთა და სწორედ ასეც იქცეოდა...

ამერიკის გამოჩენილი ფსიხოლოგი ჯემსი ამბობს: ჰენიოსობა უსაზღვრო, მოუღალავი ყურადღება არისო! და მართლაც: იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამა თუ იმ მოვლენას, ჰენიოსი ყველაფერს გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურსა, ყველაფერს აპყრობს თვისს ყურადღებასა.

ჩვენი საყვარელი სტეფანეც ასეთის იშვიათის ყურადღების პატრონი იყო: იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი ქვეყნის მაჯის-ცემასა, მის ჭირსა და ლხინსა; მწუხარებდა, როცა ჭირისუფლად გვხედავდა და ხარობდა, როცა სიხარულს შეგვამჩნევდა; ხარობდა და ამ თავისს თანაზიარობას ჩვენთან იგი ხშირად უხვის შემოწირულებით აგვირგვინებდა. ამის მაგალითები ყველას თვალწინა გვაქვს: გაიხსენეთ მისი უხვი დახმარებანი ჩვენი ღარიბი ჟურნალ-გაზეთებისა და მწიგნობრობისა, გაიხსენეთ სათავად-აზნაურო სკოლის შენობისა, სახალხო სახლისა, ბათუმის ეკლესიისა და წერა-კითხვის საზოგადოებისათვის მისი სწორეთ რომ მეფური შემოწირულებანი, გაიხსენეთ მისი სხვა ათასი კეთილ-მოქმედებანიც და მიბრძანებთ—რის ნაყოფი იყო ყველა ეს, თუ არ განსვენე-

ბულის იშვიათის გულისა, მის გამთბარის ნიჭიერებისა, ყურადღებისა... დიახ, იშვიათის ნიჭისა და გულის პატრონი, იშვიათი მოტრფიალე ჩვენის ქვეყნისა დავკარგეთ დღეს ჩვენ და კიდევაც ეს არის მიზეზი, რომ ასე საგრძნობლად დამგლოვიარდა მთელი ჩვენი მხარე!

სტაქანი რომ გაიბზარება, მას ველარაფერი ძალა და ხელოვნება ისე ველარ გაამთელებს, რომ ბზარი არ უჩანდეს; მაგრამ ტყუილად არ ეძახიან ადამიანსა ყოვლად შემძლებელის ღვთის ნაკვთსა!

სტაქნის ბზარის სრულიად გამთელება თუ არ შეუძლიან, ის ხომ შეუძლიან, რომ სტაქანი ხელ-ახლად გააკეთოს!? ის ბეჯითად მოაგროვებს გატეხილის სტაქნის ყოველს ნაწილსა, გადაადნოს, გადაახალისებს მათ და სრულიად ახალს და უფრო უკეთესს სტაქანს გააკეთებს, რომელსაც აღარავითარი ბზარი და ბრწკალიც არ ექნება... ასევეა დღეს ჩვენი ქვეყანა. დღეს იგი იგივე გატეხილი სტაქანია; ბევრსა ჰგონია, რომ მისი გამრთელება, ისე, რომ განატეხი არ უჩანდეს, ყოვლად შეუძლებელია; მაგრამ ჩვენ არც გვინდა ისეთი გამრთელება, რომ ბაზარს მარტო დამალავდეს: ჩვენ გვინდა მისი სრულიად ახალ ქვეყნად, ახალ სპეტაკ ხალხად გადაქმნა. და როგორც გატეხილის სტაქნის ნაწილების გადაღუღებით და გადახალისებით სრულიად ახალი სტაქნის გაკეთება შეგვიძლიან, სწორედ ასევე ახლის სწავლით, ახლის საქმით, ჩვენ სრულიად უზადო ხალხის შექმნაც შეგვიძლიან. ბევრი გზა მიდის ამ სასწაულისაკენ, მაგრამ უმთავრესი კი მწერლობა და მწიგნობრობაა. ეს ძალა უკვე უეჭვოა და გვრწამს, რომ ახლო მომავალში მწერლობა და მწიგნობრობა ნამდვილს სასწაულებს მოახდენენ ყველგან. განსვენებულის სტეფანეს გამოსვლით საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ, მოულოდნელად სრულიად ახალი ხანა, ახალი ერა დაუდგა ჩვენს მწერლობას და მწიგნობრობას! მას საკვლევით ჰქონდა შეგნებული —რა არის სახალხო წიგნი, რა არის ჭკვიანურად დაწერილი შაურიანი წიგნაკი, რომელიც ორი და სამი ათასობით იფი-

ნება ხალხ'ში და დღეს-ხვალიობით აწვეთებს მის გულში საუ-
კეთესო ცოდნასა და იდეალებსა... დიახ, შეგნებული ჰქონ-
და ყველა ეს და აკი სრულიად მოულოდნელად აამდინარა
კიდეც ჩვენში სახალხო იაფ-ფასიანი წიგნების გამოცემის სა-
ქმე... მართალია წინათაც იყო ჩვენში ცოტ ცოტა ცდა—
შეექმნათ ეს ყოვლად შემძლებელი ძალა ხალხის ამაღლები-
სა; ამის მაგალითი თვით თქვენი უმორჩილესი მონა გახლა-
ვართ: მეც პირველმა, მეორემ თუ მესამემ ვცადე ამ საქმისა-
თვის მტკიცე საძირკველი ჩამეყარა. ამ ათიოდე წლის წინათ;
ახალი მიმართულების წიგნების გამოცემა დავიწყე, მაგრამ სა-
ქმემ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგანაც... რა გითხრათ... თვითო-
ნაც კარგათ მიხვდებით... ჩვენ ღარიბნი ვიყავით და ის რამ-
დენიმე ათი თუანი, რომელიც ჩვენ ასეთის დიადის საქმის
დასაწყობად გვქონდა, ათიოდევე წიგნის გამოცემით დაგვეშ-
რიტა და საქმე შეგვიდგა... მაგრამ მხოლოდ შედგა, არ
მოკვდა... საძირკველი ჩაყრილი იყო, მხოლოდ კედლებს ვე-
ღარ ვაშენებდით... შენი დიადი დამსახურება ხალხის წინა-
შე, ჩვენო უდროვოდ დაკარგულო სტეფანე, აი აქ არის: შენ
შეგვაძლებინე ამ საძირკველზედ კედლების აშენების განგრ-
ძობა. გამხნევებულნი შენით ჩვენ კვლავ დავიწყეთ მთელი
ათი წლის განმავლობაში მიძინებული საქმე და ბედმა თუმ-
ცა არ გვაცალა საქმის სრულიად დაგვირგვინება, ფონს მა-
ინც ხომ გაგვიყვანე!? არ დამავიწყდება შენი ციური სიტყვე-
ბი: „როცა კი დაგჭირდეთ, ნუ დამზოგავთო, ახლო ვიყო—
პირადად მითხარითო, შორს ვიყო—წერილით მაცნობეთო,
მე მზათა ვარ ვემსახურო მაგ საქმესაო". ეს ისეთი სიტყვებია,
რომ არა თუ ჩემისთანა მოუსვენარს კაცს, სულ უსაქმურსაც
ააღებინებდა წერაქვს ხელში... ეჰ, საყვარელო სტეფანე კონს-
ტანტინეს ძევ! მე რომ შენზედ ვილაპარბკო, მთელს საათებს
და დღეებს ვილაპარაკებ, იმდენად ღირს-შესანიშნავი პიროვ-
ნება ბრძანდი ჩვენთვის, მაგრამ რა ვქნა, რომ ხელები გულ-
ზედ დაგიკრეფია, თვალები დაგხშვია და ბაგენი დაგიდუმ-
ნია!.. სჯობს მეც დავდუმდენ, მაგრამ ორი სიტყვაც: სასოკვე-

თებას მაინც ნუ მივცემთ თავსა; სტეფანემ აქაც უნუგეშოთ არ დაგვტოვა: მან დაგვიტოვა საწინამძღვოდ საქმენი სამაგალითონი და მემკვიდრედ ძმები, სრულიად თანაზიარნი მისნი, შვილები იმავე დედ-მამისა, რომლებმაც გამოზარდეს თვით სტეფანე. იმედი ვიქონიოთ, რომ ესენი არ შეგვამჩნევინებენ დღეს ჩვენს თავზე მოვლენილს მწუხარებას... მშვიდობით საყვარელო სტეფანე, საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ხალხის მადლიანს ხსოვნაში!...

ს ი ტ ყ ვ ა.

წარმოთქმული თფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის სკოლის მასწავლებლის ბ. გერ. ქიქოძის მიერ.

დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მთელს ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოება არც ერთი ადამიანი, რომელიც არ ჰგრძნობდეს მძიმე მწუხარებას მხედველი ამა კუბოისა და მას შინა მდებარის მიცვალებულისაგან; არა თუ მისი ნათესავნი და მეგობარნი, არამედ ყველანი, რომელთაც გაგონილი ჰქონდა ვინ იყო იგი და რა კაცი იყო, დღეს არიან განუსაზღვრელად შეწუხებულნი მისი ასე უდროოდ დაკარგვისაგან. მართლაც ვინ არ შეწუხდება, მხედველი ასე უდროოდ მისი გადაცვალებით.—ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ყოვლად ღარიბია იმისთანა პირებით, როგორიც იყო განსვენებული. არა თუ ღარიბნი ვართ, თითქმის ერთი ან ორი თუ მოიძებნება ჩვენ შორის ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს მთელი საზოგადოების ყურადღების და მინდობილობის მიზიდვა. განსვენებული კი იყო აღჭურვილი განუსაზღვრელი პატიოსნებით, გულ-კეთილობით, თავ-მდაბლობით, ერთი სიტყვით მასში იყო ყოველივე ის ღირსებანი, რითაც ყველა ადამიანს შეუძლიან თამამად სთქვას: „მე ადამიანი ვარ და მის დანიშნულებას უკლისად ვასრულებ“.—დიაღ განსვენე-

ბულის ცხოვრება და მისი საქმენი ყოველთვის იყო ყოვლად სასარგებლო ქვეყნისათვის. მან ძალიან ბევრი სიკეთე მოუტანა თავის სამშობლოს მისი ყოვლად უხვი შეწირულებით. და აჰა ეს ძვირფასი ადამიანი გარდაიცვალა უცბათ, უდროოდ და ვერ მოასწრო მან თავისი განზრახული საქმის სისრულეში მოყვანა, თუმცაღა კი გააკეთა იმდენი, რაც ერთი ადამიანისაგან შესაძლებელი იყო.—ვინ არ შესწუხდება, ვინ არ აცრემლდება, ვინ არ დაღონდება და არ დაჰფიქრდება, მხედველი ესე უდროოდ მისი გადაცვალებისაგან.—თუმცაღა იგი მართლა უდროოდ გადაიცვალა, თუმცაღა მას კიდევ მრავალი სიკეთე და სარგებლობის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან თავი ვინუგეშოთ მით, რომ მან მაინც მრავალი სიკეთე და სარგებლობა მოუტანა თავის სამშობლოს; მაინც დიდი პატიოსანი სახელი და ქება დასტოვა; მაინც ბევრი კარგი მაგალითი უჩვენა იმათ, რომლებსაც გარდა საკუთარი პირადი ინტერესებისა, არავითარი დევიზი არ აქვთ ცხოვრებაში.—არ ვიტყვი და საჭიროც არ არის აქ ვახსენო რავდენი სარგებლობა და სიკეთე მოუტანა მან მის დაბეჩავებულ სამშობლოს მისი უხვი შეწირულებით, რადგან ეს გარემოება ყველასათვის თვალსაჩინოა.—მისი ლმობიერი და უმანკო თვისებანი აღბეჭდილი არის ყველა ადამიანთან გულში, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია.—მე თვითონ პირადათ არა ერთხელ ვყოფილვარ მოწამე იმისა, რომ მას გარს ეხვევნენ მრავალნი ღარიბნი და საწყალნი, რომელთაც თვისი ხელით უხვად ურიგებდა მოწყალებასა და ყველას ესაუბრებოდა და ანუგეშებდა.— იგი იყო ნამდვილი მამა ყოველთა გაჭირვებულთა, იგი იყო მკვიდრი ბოძი ყოველთა სიმპატიურ დაწესებულებათა, იგი იყო ნამდვილი ადამიანი, ის ადამიანი, რომელიც მუდამ იმასა ჰფიქრობს რაიმე გააკეთოს კაცობრიობის სასარგებლოთ. და აი ეს ძვირფასი კაცი და ნამდვილი თვალსაჩინო შვილი სამშობლოისა ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდგან, მან მისი სიკვდილით დაობლა და დაამწუხრა მრავალი დაწესებულებანი, მრავალნი ახალ-გაზდობანი,

რომლებიც განსვენებულის საშვალებით სწავლობდენ სხვა და სხვა დაბალ, საშვალო და უმაღლეს სასწავლებლებში, მრავალნი ღარიბნი და გაჭივრებულნი, რომლებიც განსვენებულის საშვალებით ცხოვრობდენ.

შენს უმანკო ცხედარს, სხვათა მრავალთა პირთა შორის, დასტირის რომის ქარ. კათოლიკეთა სკოლის მოწაფენი, რო. მელთაც დიდ დახმარებას და შემწეობას აძლევდი.

განისვენე ძვირფასო ადამიანო, აღჭურვლო ყოველივე ადამიანური სიკეთით და უანდერძე შენს მემკვდრეთა, რათა იმათ განაგრძონ შენ მიერ დაწყებული საშშობლოისათვის სასარგებლო საქმენი.—

სტეფანე ზუბალაშვილს.

(წაკითხული 27 სექტემბერს დასაფლავების დროს)

კაცი ის არის ვინც მამულს
ეტრფის და ემუდარება,
ვინც თავის მოძმეს რითიმე
შველის და დაეხმარება.
ის არის კაცის, ის არის
ღირს სახსოვრად საქები;
ხალხისაგან დაუვიწყარი,
ღმერთია ამის თავდები....
საშვილიშვილოდ გადადის
მისი ხსოვნა და სახელი,
ვისც მოძმის დასახმარებლად
მზად აქვს გაწვდილი ხელი.

მიხ. გორდაძე.

სტეფანე კ. ზუბალაშვილის ხსოვნას!

ახ! უმადურო წუთი სოფელო,
იცი რისათვის მეხშება გული?
რომ იმას გვტაცებ ვინც მოღვაწეა,
ქველმოქმედი და ხალხის ერთგული...

ქველ მოქმედებით ღვაწლ შემოსილო,
შოჭირნახულე ჩვენო სტეფანე!
ღმერთს ვევედრები ჩვენს გარდა სხვებსაც
ბევრი ეყოლოს კიდევ თქვენ მგვანე.

—

რად დაგვაობლე ასე უდროოდ
ამას ველოდით განა თქვენგანა?
ბარემ არ გსურდათ, მაგრამ რას იქდით
უნდო სიკვდლმა არ გაგიტანა—

—

იმას არ გეტყვით რისთვის მოკვდით-თქო,
არვის დაინდობს წუთი-სოფელი,
მაგრამ მას ვწუხვართ რომ უდრეო დროს
ვიქმნით თქვენგან განაყოფელი.

—

დიახ! უდროოდ, მოულოდნელად
საუბედუროდ შეგვექენ მკვდარი,
მაგრამ ნეტარ ხარ, მით რომ უვიწყს გჭყოფს
თქვენი კეთილი ნამოქმედარი.—

—

ნეტარ ხარ ნეტარ არ დაგივიწყებს
აწმყო, ნამყო და მყოობადია,
რადგანაც კაცმა კაცური ვალი
შეძლებისამებრ მოიხადეა....

ვარდენ ყიფიანი.

27 სექტ. 1904 წ.

სტეფანე ზუბალაშვილი

„ჯეჯილდიდამ“

პატარა მკითხველებო! თუ არ იცით, სახელი რას ჰქვიან, გთხოვთ, ცოტა ხანს ყური მათხოვოთ.

ყოველი ადამიანი უსახელო იბადება, მაგრამ-კი კვდება ისე, რომ ორი სახელი რჩება: ერთი სახელი, რომელიც ნათლობის დროს დაურქმევიათ მისთვის და გამხდარა სახსოვრად მის ნათესავთა შორის, ხოლო მეორე სახელი თვითონ მას შეუძენია და სახსოვრად, ნათესავებს გარდა, სხვებისთვისაც გამხდარა, ხან რომელისამე საზოგადოებისთვის, ხანაც ქვეყნისთვის, მაგრამ ეს სახელი ისეთი როდია, დასაძახებლათ გამოდგეს, როგორც მაგ. ივანე, მათე და სხვა. არა, ეს სახელი ადამიანს გამოაჩენს თვითონ ან კეთილად, ან ბოროტად, ასე რომ ადამიანს ზოგს კეთილი კაცის სახელი აქვს, ზოგს კიდევ ბოროტისა, ზოგი სულ უსახელოა.

კეთილი ადამიანი იქნება, ვინც თავისს გონებას, თავისს ქონებას კეთილად ხმარობს, ესე იგი, ვინც ამ ორთავ ნიჭს, როგორც სულიერს, ისე ნივთიერს სიმართლის სამსახურს ჰწირავს, სიმართლის სიყვარულით გამსჭვალული. სიმართლის სიყვარული-კი ისეთი რამ არის, რომ მისი პატრონი, გონებიანი იქნება, თუ ქონებიანი, შეუძლებელია, დაჩაგრულ, გაჭირვებულ მოძმეს არ დაეხმაროს, ხელი არ გაუმართოს. კეთილი ადამიანი გონებიანი და ქონებიანიც ორნივ მოღვაწედ ითვლებიან, ერთი მწერლობით, თუ ხელოვნობით, ხოლო მეორე კეთილ მყოფელობით, ანუ ქველმოქმედობით.

სტეფანე ზუბალაშვილიც, რომელიც ქართველობამ გასულს ენკენისთვის ოცდა-შვიდს მიაბარა შავ მიწას და საუკუნოდ გამოეთხოვა, ქველმოქმედებით იყო გათქმული, ესე იგი მოყვარული იყო კეთილის საქმისა და ასეთი საქმე სწავლისა დაკეთილზნეობის გავრცელება იქნებოდა, თუ ღარიბის, გაჭირვებულის დახმარება, თავის ქონებას უხვად ჰსწირავდა,

მაგრამ იმიტომ-კი არა, ექოთ და მადლობა გადაეხადათ, არა-მედ იმიტომ, რომ მისი ბუნება მოითხოვდა, კარგად მცოდნე მისი, რომ ღვთის ბოძებული ქონება მოძმის სასარგებელოც უნდა ყოფილიყო.

სტეფ. ზუბალაშვილი ქართლელი მოქალაქის შვილი იყო, კარგი ოჯახიშვილი. მათი გვარი ძველათგანვე სოვდაგრობით იყო განთქმული და მამა მისმა კონსტანტინემ ხომ სოვდაგ-რობა რომ აღარ იკმარა, ნავთის მრეწველობას მოჰკიდა ხე-ლი. ნავთის მრეწველობა იგივე ნავთის შოვნაა და ჩვენს ქვე-ყანაში ნავთი მხოლოთ ბაქოში იშოვება, დედამიწის გულ-შია და თუ მარჯვე ადგილს ღრმად ჩადგულმა ბურღმა უწია, მაშინვე ამოხეთქს შადრევანად, რომელიც დღეში ამოისვრის რამდენსამე ათას ფუთსა, რასაც ათასობით მუშები დიდრონ აუზებში აგროვებენ, ასეთი ნავთის შადრევნები განსვენებულ სტეფანეს ბევრი ჰქონდა და კიდევ უფრო ბევრი ჰყავდა მუშა.

მისი გულკეთილობა პირველად ამ მუშებმა იგრძნეს. არა თუ გადაჭრილი სამუშაო ფასის მიმცემი იყო ქველი სტეფანე, არამედ ნამდვილი მფარველი და შემწე თავის მუშებისა, რაკი იცოდა, რომ მისი აუარებელი ქონების შემძინებელი მუშე-ბიც იყვნენ აგრეთვე. ამიტომ გულში ჩაუვარდა საერთოდ მუშების გონებრივ და ზნეობრივ განვითარების აზრი, რომ-ლის განხორციელება საუმჯობესოდ დაინახა ჩვენს დედა-ქა-ლაქს ტფილისში და კიდეც ააგო სახალხო სახლი, სადაც საკითხავი, წარმოდგენები და სიმღერები სახალხოდ იქნება გამართული. სტეფანე გულ-კეთილი და მოწყალე მამა იყო საწყალი ხალხისა, რომელიც მხოლოდ მისი ნამოწყალებით ირჩენდა თავსა, ხელს უმართავდა გაჭირვებულ ახალგაზდობას, რომ სწავლა მიეღოთ რუსეთში, თუ სამზღვარ გარეთ. გან-საკუთრებით ეფიქრებოდა ბედი იმ დიდი სასწავლო შენობისა, რომელიც ტფილისში ვერაზე კეთდება თავად-აზნაურთა შვი-ლებისთვის და რომელსაც შესწირა დიდ ძალი ფული, ეფიქ-რებოდა ბედი აგრეთვე ქართული წიგნების და ჟურნალ გა-ზეთების გამოცემისა, რომელთა შორის ჩვენ ჯეჯილსაც მია-

ქცია ყურადღება და ყოველ წლივ აწოდებდა ფულს, რომ ღარიბ სკოლებს და თვით ოჯახებსაც მისვლოდათ მუქთად ჟურნალი. ქართული წარმოდგენების გამართვისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საქმეც არ დააგდო უნუგეშოდ, რისთვისაც გაიღო საკმაო ფული, რაკი იცოდა, რომ თეატრი ადამიანის სიკეთეს, ზნეობის სიწმინდეს, ხოლო წერა-კითხვის გავრცელება და ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოცემა გონების განვითარებას ემსახურება.

მაგრამ საუკუნო ძეგლი, რომელიც განსვენებული სტეფანეს სახსენებელს უკვდავსა ჰყოფს, ის ტაძარია, რომელიც მან აღაშენა ქართველ კათოლიკეთათვის დასავლეთ საქართველოს ქალაქ ბათომსა. აშენა არა თავის სადიდებლად, არამედ ჭეშმარიტის სარწმუნოებით აღძრულმა, რა-კი უწყოდა, რომ მორწმუნე ადამიანის სულისთვის უშიშარი საყუდელი ამ შფოთიანსა და მღელვარე ცხოვრებაში წმინდა ტაძარია. ამ ძეგლის ამართვით თითქო სურდა ეთქვა, თუ ბათომი ნავთ საყუდელია, მისი ტაძარი, ჩემი აშენებული მორწმუნე სულთ საყუდელი შეიქმნესო.

რა იყო უმთავრესი მიზეზი მის, რომ განსვენებული სტეფანე ასე უზომოდ გულ-კეთილი და ქველ-მოქმედი იყო? ქველობა მას უანდერძა განსვენებულმა დედა მისმა თავად თუმანიანმა ქალმა ელისაბედმა, რომელიც თურმე ღარიბს ხელ ცალიერს არ გაუშვებდა და თანაც ეტყოდა, წადი არავინ გინახოსო. მაცხოვრის მცნება—გიყვარდეს მოყვასი, როგორც თავი შენიო, დიახ გასაგები და ადვილ შესასრულებელი შეიქმნება, თუ ადამიანს სათნოებიანი და ქველი დედა ეყოლა და ქველი ელისაბედის გაზრდილი სტეფანეც ხომ მოყვასთა სიყვარულისთვის არაფერს იშურებდა და აკი იმდენიც გაიმეტა, თუმცა ჯერ კიდევ შუა ხნის კაციც არ იყო.

სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი მაშინ მოკვდა, როცა ქველმოქმედების გრძნობა სრულიად არ ჰქონდა ჯერ გაფურჩქნული, აყვავებული. სწორედ მისთვის ითქმის, დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე შენისთანაო.

განსვენებული სტეფანე უშვილო იყო და არც ეძებდა მამობის გვირგვინსა, რადგანაც ყოველი გაჭირვებული და ობოლი ახალგაზდა მას შვილად მიაჩნდა, მისმა პატიოსანმა ძმებმა ლევანმა, იაკობმა და პეტრემ განსვენებული სტეფანეს სახსოვრად ამ პატარა საწყლების საავადმყოფოს ასაშენებლად დიდძალი ფული შესწირეს ქალაქსა.

სამაგიეროდ, თითქოს სახელის გასამართლებლადო, რადგანაც სტეფანე ბრძნულად გვირგვინს ჰნიშნავს, ქველმა სტეფანემ თავს დაიდგა გვირგვინი, მაგრამ ქორწინებისა-კი არა, არამედ უკვდავებისა, ისიც თავის ადამიანობით, მორწმუნეობით, და მით ყველას დაგვიგდო ანდერძად უკვდავი შოთა რუსთაველის ბრძნული თქმულება:

სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა.

კლდია.

„ნაკადულიდან“:

ძლივს ერთი ოჯახი აღმოჩნდა, რომელმაც დიდ სიმდიდრეშიაც-კი არ დაივიწყა თავის პატარა სამშობლო და ამ ოჯახსაც აკი დიდი უბედურება დაატყდა! სიკვდილმა გამოჰგლიჯა ხელიდან ჯერედ ახალგაზდა კაცი სტეფანე ზუბალაშვილი.

იქნება სხვაგან, სხვა ერში, არაფერი საკვირველი და სამაგალითო იყოს, რომ მილიონების პატრონი კაცი თავის საერო საჭირ-ბოროტო საქმეებს ჭირისუფლად გაუხდეს. ქართველებში-კი იშვიათი მოვლენაა, რომ ქართველ კაცს ასე გონიერად მოეხმაროს თავის სიმდიდრე, როგორც სტეფანე ზუბალაშვილი ხმარობდა.

„მე თუ ვიცოცხლე დიდხანს, დამერწმუნეთ, რომ ეს სიცოცხლე მენატრება მხოლოდ იმისთვის, ჩემს ქვეყანას და ხალხს ვემსახურო, სიკეთე დავთესო. ამის მეტი, ღმერთმანი,

მე არაფერი წამყვებაო“, ამბობდა ხოლმე ნეტარ ხსენებული ტეფანე.

ეს მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც სჩანს, თბილისში ზუბალაშვილების საფასით „სახალხო სახლი*)“ შენდება, რომელიც 200 ათასი მან. მეტი ჯდება. ამ ბოლო წლებში თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთობა და ზოგიერთა წიგნებიც სტეფანეს შემწეობით გამოდიოდა. სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოებას 30 ათასი მანეთით დაეხმარა სკოლის შენობის დასამთავრებლად. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ 25 წლის იუბილეის გამო 10 ათასი მან. შესწირა. „ამასთანავე გიგზავნით 10.000 მან. და გთხოვთ მიიღოთ ეს წვლილი ჩემგან, როგორც ერთის გულ-შემატკივარ ქართველისაგან“-აო, ბაქოდან სწერდა „საზოგადოებას“ სასიქადულო ქართველი სტეფანე ზუბალაშვილი.

საუბედუროდ არ დასცალდა ამ ღვთისნიერ კაცს კიდევ ბევრი საქმის გარიგება, დიდიხნის მოღვაწეობა მშობელ-ქვეყნის სასარგებლოდ. ჯერ 43 წლის არც-კი იყო სტეფანე ზუბალაშვილი, რომ წელს, 14 სექტემბერს, პარიზში გარდაიცვალა. სტეფანეს ძვირფასი გვამი 27 სექტემბერს თფილისში მოასვენეს და შავ-მიწას მიაბარა გულ დაწყვეტილმა ქართველობამ.

სტეფანეს ხსოვნის აღსანიშნად მისმა ღირსეულმა ძმებმა კვლავ შესწირეს სათავად-აზნაურო სკოლის დასამთავრებლად 50 ათასი მან. და „წერა-კითხვის საზოგადოებას“ კიდევ მისცეს 10 ათასი მან. ზუბალაშვილების სათნოს და ლმობიერ გულს არც თქვენი ამხანაგები დავიწყებია, ჩვენო პატარა მკითხველო: 100 ათასი მან. შესწირეს ქ. თფილისს სტეფანეს სახსოვარად. ამ ფულით უნდა გახსნან ბავშვთა საავადმყოფო,

---

*) „სახალხო სახლი“ ისეთი დაწესებულებაა, სადაც იმართება ღარიბებისათვის წარმოდგენები, ლექციები, ბიბლიოთეკა და საჩაე. აქ დასვენებს მუშაობისაგან დაქანცული ხალხი.

სადაც ღარიბს და საწყალს ავადმყოფ ბავშვებს უფასოდ მიიღებენ და უწამლებენ.

ასე დაუვიწყარ ქმნეს, ისედაც მარად სახსენებელი სახელი სტეფანე ზუბალაშვილისა მისმა გულუხვმა ძმებმა.

ი. ალ.

სტეფანე კოტ.-ძე ზუბალაშვილის ხსოვნას.

მოსწყდა ვარსკვალი წმინდა, ელვარე,
თან წაიტაცა ღმაკო სული:
კეთილი, წყნარი, ხალხის მოყვარე,
ვით ანგელოზთა დასთა დასული!

—

აქ მიგვატოვა ობლი ობლად;
ისედაც ჩაგრულთ მოგვიკლა გული;
და ბედშაობით გაუხარებლებს,
დაგვირთო მძიმე წყლულზედა წყული.

—

დიახ!.. უდროოთ მოგვტაცა ბედმა
ქველმოქმედებით ხალხის მშველელი,
და დღეის შემდეგ ვინ გვეყოლება
შენებრ სტეფანე... შენებრ მფარველი?!

—

შენ ღირსი იყავ დიდხანს გეცოცხლა,
კვალად გემუსრა ხალხისა ჭირი,
მაგრამ განგებმა ასე ისურვა...
ამასა ვგლოვობ, ამასა ვსტირი!!

—

და ჩემთან ერთად შენსა ცხედარსა
ცრემლებსა აფრქვევს ქართველი ერი,
მწუხარე გულით გესალმებიან
სამუდამოთა ყრმა და ხნიერი.

—

იტირეთ, მარად ბედით ჩაგრულნო,
რადგანაც დასცხრა აწ ქველი ხელი...
იტირეთ! თქვენთვის არვინ ყოფილა
მაგაზედ უფრო მეტად მზრუნველი.

—

მაგრამ სოფლისა ამაოებამ
დაუნდობელად დაგვრია ხელი;
გულში დაგვრჩება მარად და მარად
ქველო მოქმედო, შენი სახელი!!

დავით კაბრუაშვილი.

სტეფანე ზუბალაშვილის ხსოვნას.

სტირის ქართველი დღეს და ჰგლოვობს მამულის შვილსა,
ქველმოქმედისა კუბოს მორწყავს მდუღარე ცრემლით,
თანაუგრძნობდა ვინც სამშობლოს გულის ტკივილსა,
უკვე დაჰკარგა... ის განვიდა ამიერ სოფლით...
ჩვენი სამშობლოც, მისგან მეტად დავალებული,
ძაძით მოსილი ღირსეულს შვილს დასტირის თავსა...
მოულოდნელის დანაკლისით დანაღვლებული,
მთელის ძალღონით ზიზღით სწყევლის სიკვდილსა შავსა.—
ვინ იცის, ეგებ როს სამშობლოს განშორებული
წუთი სოფელსა სამუდამოდ ეთხოვებოდა,
საქართველოსკენ მოიწევდა იმისი გული,
მამულის ნახვა შომაკვდავსა ენატრებოდა..
ვინ იცის, ეგებ ნატრულობდა კიდევ სიცოცხლეს,—
მოძმისთვის ღვაწლი, მისთვის შველა კვალად სწყუროდა,—
წარმოიდგენდა რა სოფლისა თანაც სიმუხთლეს,
თავის უდროოთ სიკვდილისთვის ბედს ემდუროდა...
ვინ იცის, ეგებ სიკვდილის წინ ეევედრებოდა
ღმერთს თვის მამულის აყვავება—ბედნიერებას,—
თვის სამშობლოში მას დამარხვა ენატრებოდა,—

და ისურვებდა იქ განრლვევას და დამიწებას.
მოჰკვდა ის... მაგრამ ნათლით მოსილს იმისსა სახელს
უკვდავებისა სხივით მორთავს ერი ქართველი,
ქება-ქებათას არ მოაკლებს კეთილის მყოფელს
და საუკუნოდ ეხსომება სტეფანე ქველი.

ილ. ჩხ—ელი.

წვრილი ამბები გაზეთებიდამ.

ორშაბათს, 27 სეკტემბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში იყო წირვა და ანდერძის აგება განსვენებულის სტ. კონ. ძის ზუბალაშვილისა. მესსა დაიწყო თერთმეტის ნახევარზედ და დასრულდა 1 საათზედ. ეკკლესიაში გრძნობითა და აზრით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ბათუმის კათოლიკეთა მოძღვარმა მ. ანსელმო მღებრიშვილმა, რომელიც წინად გორში იყო მღვდლად. სიტყვა წარმოსთქვა აგრედვე ფრანგულად თბილისის ახალგაზდა მღვდელმა დომინიკ მუღაშვილმა, სულ ბოლოს სთქვა სიტყვა ტფილისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ქიქოძემ.

პირველს საათზედ სამგლოვიარო პროცესია გაემართა სოლოლაკის სასაფლაოსკენ. კუბო ხელით გამოასვენეს და ხელითვე მიასვენეს სასაფლაომდე განსვენებულის პატივისმცემლებმა. გვირგვინებით სამი ამფიონი იყო სავსე,

როგორც ეკკლესიასა და მის გალავანში, ისე განსვენებაზედ დიდ-ძალი ხალხი იყო. სასაფლაოს ალაყაფის კარი ბოლოს პოლიციელებმა დაჰკეტეს და ხალხს ალარ უშვებდნენ. სამარის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს ქართულად: აკაკიმ, ივ. როსტომაშვილმა, ქალაქის თავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა რუსულად და ვ. ყიფიანმა. ორ საათზედ მიაბარეს მიწას საგვარეულო სამარხში ჩვენი დაუვიწყარი მოამაგე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

კვირას, საღამოს 8 საათზედ, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ სტ. კონ. ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად. სოფლიდან ჩამოსულმა ღრმად მოხუცებულმა მღვდელმა ცნობილმა მამა იოანე გვარამაძემ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, აღნიშნა განსვენებულის ქველ-მომქმედება, ღვთის-მოყვარეობა, ეკკლესიათა შენება და საზოგადოდ მისი და მის სახლობის სამაგალითო ღვაწლი ქართველების სასარგებლოდ.

გუშინ, 7 ოკტომბერს, ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის გამგის, მასწავლებლებისა და შეგირდების თანადასწრებით, მეხუთე გაკვეთილის შემდეგ, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ სტეფანე ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.

დღეს, 26 სეკტემბერს, საღამოს 8 საათზედ, რომის კათოლიკეთა ქუჩაზედ, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსსხსენებლად. განსვენებულის გვამი გუშინ საღამოს უკვე მოასვენეს ტფილისში.

ქართლი. არბოსა და მერეთის საზოგადოება დიდს მწუხარებას უცხადებს განსვენებულის სტეფანე კონსტანტინეს ძის სახლობას,—ამ ჩვენის ქვეყნის დიდის ერთგულის და მზრუნველის დაკარგვის გამო. ყველანი იმედოვნებენ რომ მახლობელნი განსვენებულისა, არ დასტოვებენ იმ გზას, რომელსაც ადგა განსვენებული და მასთან მისი მახლობელნიც.

ტფილისის ქალაქის საბჭომ გუშინ, საღამოს სხდომაზე, მოისმინა წერილი ი. კ. ზუბალაშვილისა 100,000 მან. შეწირვის შესახებ და დაადგინა, დაავალოს გამგეობას, მადლობა გამოუცხადოს ძმათა ზუბალაშვილებს უხვ შემოწირულებისათვის. საბჭომ ამავე სხდომაზე დაადგინა დაევალოს ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე მზრუნველ კომისიას შეიმუშაოს ბავშთა სამკურნალოს პროექტი.

შემდეგ კრებაზე ქალაქის გამგეობაში კვალად მოხდა ამ შეწირულების შესახებ საუბარი. მთელმა საზოგადოებამ იაკ. კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის მოხსენება დიდის პატივის ცემით მიიღეს. ტაშის კვრა დაიწყეს და შემდეგ მის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ხსენებას ფეხზედ ადგომით აგეს პატივი.

ეს ამბები დაბეჭდილი იყო იმ დროის თფილისის ყველა გაზეთებში.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს „საზოგადოების“ წევრთ, რომ დღეს, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზედ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი „საზოგადოების“ საპატიო წევრის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.

„ივერიის“ რედაქცია ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, 30 სექტემბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება მესსა (წირვა) და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად და სთხოვს მის ხსოვნის პატივის-მცემელთ დაესწრონ ღვთის მსახურებას.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს «საზოგადოების» წევრთ, რომ დღეს, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება მესსა (წირვა) და პანაშვიდი „საზოგადოების“ საპატიო წევრის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.

დღეს, 30 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში დანიშნულია მესსა (წირვა) და პანაშვიდი საზოგადოების საპატიო წევრის სტეფანე კონ-

სტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად, რასაც ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, აგრედვე განსვენებულის ნათესავებს, მეგობრებს და მისს სახსენებლის პატივის მცემელთ

ცნობები და განცხადებანი

14 სექტემბერს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პარიჟში, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. რასაც გულითადის მწუხარებით აუწყენ ნათესავთა და ნაცნობთა ძმები: ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს-ძენი და დები—იულია კონსტანტინეს ასული კნეინა თუმანიშვილისა, ანნა კონსტასტინეს ასული ბეზირგანოვისა და მარიამ კონსტანტინეს ასული ზუბალაშვილისა. მიცვალებულის გვამს ტფილისში მოასვენებენ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. „ივერია“.

მეტად სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველებს: პარიზში 14 სექტემბერს გარდაიცვალა ჩვენში ცნობილი ქველმოქმედი და დიდის შეძლების პატრონი სტეფანე კონსატინიეს ძე ზუბალაშვილი. განსვენეაული პარიჟს გაემგსავრა აქედან ივნისის 1-ლ რიცხვში და მაშინადვე ავად იყო—კუჭს იტკივებდა. სულ მხოლოდ რამდენიმე თვეა მის შემდეგ, რაც განსვენებულმა 10,000 მ. შესწირა წერა-კითხვის სამართველოს. ტფილისში სახალხო სახლის ასაგებად განსვენებულმა თავის ძმებით შეწირა 17,0000 მ. სათავად აზნაურო სკოლის შენობის აღსაგებად 50 ათასი მ. თავისი ხარჯით ააგო ბათუმში კათოლიკეთ ეკლესია, რომელიც დაუჯდა 240 ათასი მ. მის საკუთრებულად რუსეთიდან მოიწვია კათოლიკეთ ეპისკოპოსა ბარონ როოპი, შეაკეთა ტფილისსა და ბაქოს კათოლიკეთ

ეკლესიები თავის ხარჯითა და სხვანი. წყეულმა წრევანდელმა წელიწადმა სწორედ ჩვენზედ მოიცალა! რამდენი სიცოცხლით ვსე საზოგადო მოღვაწე გამოგვაცალა ხელიდან სულ ამსა ხუთი თვის განმავლობაში!... განსვენებული დიდი მოყვარული იყო სამშობლო ლიტერატურის და ყველას უხვად ეხმარებოდა ქონებრივად წიგნების გამოსაცემლად, („ივერია“ 17 სექტ.)

ორშაბათს, 27 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, რომის კათოლიკეთა ეკლესიაში, კათოლიკეთა ქუჩაზედ; ანდერძს აუგებენ ახლად გარდაცვლებულის სტეფანე კონსტანტანეს ძე ზუბალაშვილს. გვამს ხვალ, კვირას, 27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, ამავ ეკლეესიაში გარდაიხდიან პანაშვიდს განსვენებულის მოსახსენებლად. დასაფლავება მოხდება კათოლიკეთა ძველს სასაფლაოზე. („ივერია“).

„მშაკიდან“.

14 სექტემ. პარისში, გარდაცვლილა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალოვი. კათოლიკე. რომელიც ქველ მოქმედებით ქართველებში კარგად იყო ცნობილი მანვე ბევრი რამ შესწირა თფილისის და ბაქოს საზოგადო საქმეთა სასარგებლოდ. იყო სამაგალითოს თვისების და კაცთ მოყვარეობით სავსე. შეუძლო ხალხთა დახმარებაც დიდად იცოდა.

---

27 სექტ. თფილისში, კათოლიკეთა ეკლესიაში, წირვა გადუხადეს გარდაცვალებულს სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალოვის გვამს და ამავე დღეს იგი დაასაფლავეს სოლოლაკის კათოლიკეთა ეკლესიაში. თფილისის საზოგადოებამ დიდი პატივი სცა, გვირგვინები იყო მრავლად სამი ამფოვანი სავსე იყო და ბევრი მათში შესანიშნავი გვირგვინიც იყო. საერთოო დიდის მწუხარებით დაასაფლავეს ეს პატიოსანი ადამიანი. ქალაქის ხალხი მის სიკეთეს არ დაივიწყებს.

„ახალ-მომიხილვის“ 6189 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დასაფლავებაზედ. წერილში მოთვლილია დასაფლავების ამბები და ცერემონია, ამას გარდა საერთო პატივი და თანაგრძნობა განსვენებულის პიროვნების და ადამიანობის შესახებ.

ასეთივე ცნობები იყო მოთავსებული იმ დროის „თფილისის ფურცელში“ აქაც შესაფერის პატივისცემით მოიხსენეს განსვენებულის სახელი და ცნობა.

ასევე სხვა და სხვა ცნობები იქმნა დასტამბული ბაქოს რუსულს გაზეთებში. ბაქოზ გაზეთების ყოველი ცნობაც ნათლად ღალადებდა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვლის ადამიანურს ღირსებასა და მნიშვნელობაზედ. სწერდენ, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძე სამაგალითოს თვისების იყო და მეტად გულუხვ დამხმარე საწყალის ხალხისაო. მისგან დანათეს სიკეთის ჩვენი გაჭირებული ხალხი დიდხანს ვერ დაივიწყებს, რადგანაც მდიდრებთ შორის საწყლებთა დამხმარეთა შორის სტეფანე კონსტანტინეს ძე პირველი იყოვო, მის მსგავსნი ჩვენში ერთობ ცოტანი არიანო, ზემო ხსენებული გაზეთების საუბრის დედა ჰაზრები ეს გახლდათ განსვნებულის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ განსვენესულის სტეფანე კოსტანტინის ძის ზუბალაშვილის შესახებ სხვა და სხვა რუსულს გაზეთებშიც იყო ცნობები დაბეჭდილნი, ხოლო იგინი ჩვენ აქ არ მოგვყავ, რადგანაც ცნობების მხრით დიდათ არ განსხვავდებიან და განირჩევიან ზემოდ მოყვანილ ცნობებთაგან. განსვენებულის შესახებ სწერეს ოვით რუსეთის საკანონო გაზეთებშიც. საფრანგეთშიაც დაუწერიათ ამის გარდაცვალებაზდ ცნობები და პოლონურს ენაზედაც ვარშავის გაზეთეფში.

ბაქოდამ ხმები: ბაქოში შეიტყეს თუ არ სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის გარდაცვალება, მაშინათვე ყველანი შესწუხდენ: ქართველი, სომეხი, თათარი და რუსი. ერთის სიტყვით ყველანი, რადგანაც სტეფანე კონსტანტინეს ძე მათ ყველას განურჩევლად ეხმარებოდა და პატივს სცემდა. საყურადღებოა აქ ის გარემოებაც რომ სტეფანე ზუბალაშვილს მეტის სიყვარულით და თავაზით ეპყრობოდენ თათრები და ლეკებიც, ესეც ერთობ კაი მაგალითია, რომ მუსლიმანებს ქრისტიანი კაცი ასე ჰყვარებოდათ, მუსულმანთა სამაგალითოდ ესეც კმარა სტეფანე ზუბალაშვილისაგან. ეცი მათ პატივი და მათგანაც პატივი გექნება. იგინი არავის შეიძლებენ თუ რამ განსაკუთრებული მიზეზები და მტრობა არ გახდა ხელმძღვანელათაო. ასე ამბობდენ მაშინ ყველან. მუსულმნობას რომ სტეფანე ზუბალაშვილი დიდათ უყვარდათ ეს დაამტკიცა მათმა თათრულმა გაზეთმაც. სადაც ცნობაც იყო ამის შესახებ დაბეჭდილი. მთელი ბაქოს თათრობაც ასეთის ჰაზრით იყო მასზედ შეპყრობილი.

სოფ. მერეთიდამ (გორის მაზ). ჩვენის მწერალ მოღვაწე ანტონ ფურცელაძისაგან შემდეგი წერილი დაიბეჭდა „ივერია“ში: „მერეთში მცხოვრებ ქართველთ ღრმად შეგვაწუხა ჩვენის ქვეყნის მამულის შვილის და ქველ მოქმედის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის გარდაცვალებამ. ვაცხადებთ ჩვენი ღრმა მწუხარებას ასე უდროვოდ სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დაკარგვაზედ“ „ივერია“

ცხინვალიდამ მიღებულ იქმნა ბ. სულხანოვისაგან. მთელის გორის მაზრის თავად-აზნაურთა პირით: დიდს მწუხარებას ვაცხადებთ ჩვენის ქველმოქმედის და საყვარელის მამულიშვილის სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის ასე უდროვოდ დაკარგვაზედ.

„ივერია“—გორის თავად-აზნაურობა.

„ღრმად ვსწუხვართ იშვიათ კაცთ მოყვარის დაქველ მოქმედის სტეფან კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დაკარგვაზედ, რომელიც დიდს დახმარებას უწევდა ბაქოში მცხოვრებ ლარიბ მუშა ხელოსნებს განურჩევლად სჯულის და ეროვნების“.

ბაქოს რუსის მუშები.

„დიდათ ვსწუხვართ ჩვენის იშვიათის ქველ მოქმედის და მამულის შვილის სტეფან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის დაკარგვაზედ. ჩვენს მწარე ცრემლებს ურთებთ ჭირის უფალთა მწუხარებას და ვგლობთ ჩვენს მფარველს სტეფანეს“.

თბილისის ქართველი ქალები.

„დიდათ სწუხს და გლოვობს მთელი ბათუმის ქართველობა თავის საყვარელი თანამემამულის და ქველმოქმედის მამულის შვილის სტეფან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის დაკარგვაზედ. ვინატრებთ რომ მისი გვამი მისგანვე აღშენებულს ბათუმის ტაძარში იქმნეს დაკრძალული“. ბათუმის ქართველობა.

ამავე ჰაზრის გახლდათ ჩვენი მოღვაწე მწერალი ბ. იასე რაჭველი. ამ პატივცემულის მოღვაწის ერთი წერილი რომელიც „ივერია“-ში დაიბეჭდა იმავ დროს, ნატვრით აღნიშნავდა ამავე გარემოებას და ითხოვდა, რომ ს. კ. ზუბალაშვილი ბათუმის ტაძარში დაესაფლავებინათ.

„ღრმად ვსწუხვართ ჩვენის ქვეყნის სამაგალითო მამულის შვილის სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დაკარგვაზედ. მოიმედენი ვართ, რომ ეს კაცთ მოყვარე და ქველ მოქმედი ადამიანი სამაგალითოდ დაშთება სხვა შეძლებულთა წინაშე“

თბილისის ქართველი მუშები.

წერილი ბათუმიდგან.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის გარდაცვალებამ ბათუმში დიდი მწუხარება გამოიწვია. 26-ს სექტ. ბათუმის ქართველთ კათოლიკეთა ეკკლესიაში, წირვა და პანაშვიდი გადიხადა პატრმა ანსელმო მღებრიშვილმა. ეკკლესია, რომლიც აღშენებულია სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის ფულით, მორთული იყო შავის სამგლოვიაროს ნიშნებით. თვით პატრი ანსელმო მღებრიშვილიც სამგლოვიაროს ძაძებით იყო მოსილი.

წირვას დაესწრა დიდი ძალი საზოგადოება და მასთან იტალიის კონსოლი, ავსტორიისა საფრანგეთისა და სხვათაც. ადგილობრივ მოხელენი და მეუფროსენი. წირვა იქმნა შესრულებული დიდის პატივცემით და სინანულით, პანაშვიდის დროს ყველა სწუხდა სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის ასე უდროოდ დაკარკვაზედ.

ხიზაბავრიდამ: დიდის მწუხარებით და ნაღვლით ავსილთა ჩვენს საყდარში გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარის და აწ გარდაცვალებულის სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.

ახალციხიდამ: საერთოს დიდის პატივის ცემით და სიყვარულით გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი სტეეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო. ღმერთმა განუსვენოს და ჩვენთ შორის საუკუნოდ იყოს ხსენება მისი. ყველა სწუხს და გლოვობს სტეფანეს ასე უდროვოთ დაკარგვაზედ.

ს. უდიდამ: სოფ. უდის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარის და აწ გარდაცვალებულის საუკეთესო ქველ მოქმედ მამულისშვი-

ლის სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.

გორიდამ: გორის საზოგადოება დიდათ სწუხს თავის თანამემამულის და თანა მექვეყნის შთამამავლის ქველ მოქმედ ქართველ მამულიშვილის სტეფანე კონსტანტინის ძე ზუბალაშვილის დაკარგვას.

ქუთაისიდამ: ქუთაისის ქართველი საზოგადოება დიდათ სწუხს და ჰგლოვობს თავის ქვეყნის უძვირფასეს ქველ მომქმედ მამულის შვილის სტეფანეს დაკარგვას. ღმერთმა ქმნას რომ ჩვენს საზოგადოებას სტეფანესთანა ქველ მომქმედ მამულისშვილნი ხშირად და მრავლად მოვლენოდენ.

ბაქოდამ: ბაქოს ქართველი საზოგადოება დიდათ სწუხს და გლოვობს თავის მეჭირნახულე სტეფანე კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დაკარგვას. ღმერთმა განუსვენოს და ხსენება და საქმენი მისნი საუკუნოდ ჰყოს ქართველთ საზოგადოების წინაშე.

ასეთი შინარსის ტელეგრამები სხვა ტომთაგანც იქმნა მრავლად გამოგზავნილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ანათემა ათას-ცხრაას-მეოთხესა წელსა, რომელმაც ჩვენი ერის საერთოდ საგონებელი ხარკი მოითხოვა... წყევა, შეჩვენება ჩვენ მიერ წლევანდელს წელიწადს, რომელმაც შემოგვისია სიკვდილი და ერთი მეორეზე მიყოლებით რამდენიმე საუგეშო, ნაყოფის მომცემი მამულის შვილნი გამოგვაცალა ხელიდამ... საერთო მჭმუნვარება საგრძნობის დასაკლისის გამო ჯერ კიდევ არ გაგვნელებია გულში, რომ ახალმა თავ-ზარდამცემმა უბედურებამ დაგვირეკა კიდევ ჩვენი საერთო ოჯახის კარზე. შეჩვენებულმა სიკვდილმა წაგვართვა კიდევ ერთი საიმედო ქველ-მომქმედი მამულის შვილი. სტეფანე კონსტანტი-

ნეს ძის ზუბალაშვილის გარდაცვალება ადვილად მოსაქარვებელი დასაკლისი როდია ჩვენი საეროვნო ოჯახის შეგნებულ შვილთათვის... ღმერთო ჩემო! ნუ თუ ზეციურ გამგებელის ძალთა ძალიც ჩვენდა გასანადგურებლად აღიჭურვა!.. გულის დამალონებელ მწუხარებით გარემოცულ, მანძილით შორს მყოფი, ხოლო სულით და გულით კი მათ შორის მყოფი, ვუცხადებ ჩემ გულითადს მწუხარებას და წრფელს თანაგრძნობას გარდაცვალებულის, ჭეშმარიტად მადლით მოსილის ქველმოქმედის, თანშობილებსა და ნათესავთ, და ვუერთებ ჩემს გლოვა-მწუხარებას ჩვენის ერის მოწინავე, მოწადმართე კრებულის გლოვა-მჭმუნვარებას.

დარჩეს სამარადისოდ ჩვენ შორის კეთილ-მოსახსენებლად და მისაბაძავად სახელი და საქმენი ჩვენთვის კეთილის მყოფელის სტეფანე ზუბალაშვილისა!

ქაიხოსრო კელოვანი.

მნიშვნელობა და საჭიროება.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მოხსენების გამო.

„მეცნიერებათა შორის, ყველა მეცნიერებაზედ უმაღლეს სწავლა განათლებას და საჭიროებას კაცისთვის მკურნალობა შეადგენს. სამკურნალო სწავლა-მეცნიერება კაცს ასწავლის ცოდნას, თუ მან როგორ უნდა დაიფაროს თავის სიცოცხლე საშიშ სნეულების და გაჭირების დროს“.

დრეპერი.

I.

ვისაც კი ჩვენის დაბალი ხალხის ცხოვრებისათვის თვალყური უდევნებია, ის ცხადათ დარწმუნდება დრეპერის სიტყვებზედ. მართლაცა და ხალხის ცხოვრებაში საჭირო სახმარ სამეცნიერო სწავლა-განათლებათ მკურნალობას მიიღებს. ყველამ ვიცით კარგად, რომ კაცობრიობის ცხოვრების და სიცოცხლის მალამოთ ისე ერაფერია საჭირო, როგორც მკურ-

ნალობა. მკურნალობა რომ ძვირფასი მასალა და ძალა არის ხალხის გამრავლება და ბედნიერ ცხოვრებაში, ამას ცხადათ ასაბუთებენ ევროპის მსწავლულნი და მათ შორის ბოკლიც აღნიშნავს ცივილიზაციის ისტორიაში. ფოხტსაც აქვს თავის ლექციებში და მრავალთაც სხვებს, ნამეტურ საექიმო შედარებითი სტატისტიკოსებს. მკურნალობის დიდი მნიშვნელობა ჩვენ ძველ წინაპრებმაც კარგად იცოდენ, მათაც კი აქვსთ ეს ჰაზრები თვის მიერ შედგენილს „კარაბადიმებში“. ძველად, მართალია საქართველოში მკურნალობა მაინცა და მაინც არ იყო ყველგან მეცნიერულად გავრცელებული, მაგრამ სამაგიეროდ მაშინ ჰაერი იყო სუფთა და საჭელ-სასმელიც იაფი, უხვი, ამიტომ შეუძლო ხალხი სნეულებისაგან არ იყო დიდათ შეპყრობილი, არ იყო დღევანდელივით დასჯილი.

დღეს კი დრო შეიცვალა, გარემოება გადასხვაფერდა, ძველი ხანა თავისთვის გაფრინდა, მისი მკურნალობაც შემცირდა, დღეს ჩვენში აღარც ძველი ბებიები და დოსტაქარ-მკურნალები არიან, აღარც წამლობა არის. ამასთან სანოვაგეც გაძვირდა, მისი სისუფთავე და სისაღე მთლად დაიკარგა. ჰაერიც კი გამოიცვალა. ყოველივე ეს კი სასტიკ ტვირთათ ევლინება საწყალ ხალხს, ნამეტურ მათ, ვინც დიდრონ ქალაქებში სცხოვრობენ. სოფლათ კიდევ არაუშავთ-რა, მაგრამ საქმე ქალაქია და მისი ოღრო ჩოღრო ვიწრო ქუჩები, სადაც აუარებელი ქოხმახებია, ძველის ძველნი ძველთაგან უბრალოთ ნაკეთი და სადაც ჰაერის მოძრაობა დახშულია და ყოველთვის კაცის მომწამვლელი ბუღი ტრიალებს. იგი სასტიკათ ვნებს ყველას და ნამეტურ ბავშვებს.

აქამდე ჩვენი მოხუცებულნი ხშირათ იტყოდენ ხოლმე, რომ ჩვენ ისე დავბერდით, ფრჩხილიც არ აგვტკიებია. ყმაწვილი დაიბადებოდა ჯან-საღი-საღი, მის მერე იგი იზრდებოდა და ძნელათ, რომ მოხუცებამდის გარდაცვალებულიყოსო. ეს ერთობ იშვიათი იყოვო; ეს მართალი შენიშვნა გახლავსთ. ასე იყო ადრე მიტომ, რომ მაშინ თბილისში ხალხიც ცოტა ცხოვრობდა, მოძრაობაც მცირე იყო, ჰაერი სუფთა, ხო-

რაგიც იაფი და მასთან საღი, ყველას გული მხიარული იყო. მშიერი არავინ დადიოდა. დღეკანდელ ბოსიაკების მსგავსნი ჩვენში სულ არ იყო. გაჭირვებულთ და ხელ-მოკლეთა რიცხვი ყოველთვის იყო, მაგრამ დღიურ მშიერთა რიცხვი კი არას დროს არ ყოფილა, რადგანაც კოდი პური ორ აბაზათ იყო, თუნგი ღვინო ორ შაურად, ხორცი ლიტრა ორი შაური, თევზი, ყველი და სხვა ხორაგიც ერთობ იაფი.

მოხუცებულ-თაგან სადღეისოთ მკურნალების სამდურავიც ისმის და არ ქონვა, საწყალთათვის არ ყოლვა. მგონია, რომ ყველა ჩვენთაგანისთვის ცხადი უნდა იყოს, რადგანაც ქალაქ ადგილებში და ნამეტურ თბილისში აშკარად სჩანს შეუძლო ხალხის უბედური მდგომარეობა, მათი დაწვრილმანება, ცხოვრების უსახსრობა და მის მეოხებით ათას ნაირს გასაჭირში ჩავარდნა. ასეთი გარემოება თბილისის მცხოვრებთა ადგილობრივ პრესამ, ანუ მწერლობამ ადრიდგანვე შეიგნო. თვით დაბალ ხალხშიაც განისმის ხმა მკურნალობს საჭიროებისა. დაიხსნა საავათმყოფოები, გამრავლდენ ექიმები, ყოველ თვე გამოდის საექიმო პროტოკოლი, იბეჭდება მრავალ ნაირი სამკურნალო და საჭირო საჰიგიენიო წიგნები, რუსულს, სომხურს და თათრულს ენაზედაც. ქართულად დაიბეჭდა მ. ღამბაშიძისაგან შედგენილი „ქართული კარაბადინი“, ბ. სუსულაქველიძის „სიმრთელის კიდობანი“. მე დავბეჭდე: კომბის „ბავშვების მოვლა“, მასეს წიგნი და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვებმა, მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ყველა ესენი წვეთია ზღვაში. ასი და ათასი არ კმარა. ნამეტურ ბავშვების მოვლა აღზრდის და მკურნალობის შესახებ.

მე კარკგად ვიცნობ თბილისის დაბალ შეუძლო ხალხთა ოჯახებს და მათის ცხოვრების ვითარებას. მათში ვარ დაბადებულ-აღზრდილი, ვიცი მათი ავი და კარგი, უნდა მოგახსენოთ, რომ მათ ცხოვრებას ბევრი რამეს ნაკლი ემჩნევა: უსაშვალობა, უტანისამოსობა. არა აქვსთ კარგი სახლები, საჭმელებისაგან ყველას კუჭი აქვს მოშლილი, ყველას ცხადათ ემჩნევა დიდი ნაკლი. ყველაზედ მეტი უბედურება კი მათში

პატარა ბავშვების მდგომარეობა გახლავსთ. მცირე წლოვან და ძუძუ მწოვარ ბავშთა სნეულების და ცხოვრების საქმე ამათში სწორეთ რომ უბედურეა არის და ამას სხვა არაფერი გასაჭირი აღარ შეედრება. ყველაზედ მეტი გულ-საწვავი და მნიშვნელოვანი საჭიროება არის ბავშვების სამკურნალო: უწამლობა, უექიმოება ყველას ემჩევნა. ჩვენი ერთი უბედურება ისიც არის, რომ ჩვენში ნამეტურ ქართველებსა და სომხებში ბავშვების ექიმობა დიდ საჭიროთ არ მიაჩნიად, წამლობა ბავშვებს არ უნდაო. ზოგიერთ ოჯახებში იმ აზრის არიან, რომ ბავშვის წამალი ღმერთია, ხატებში ტარება, წითელ და თეთრების ჩაცმა, შანები, ცხვარი, საღმრთო საწირავი და ყმაწვილიც კარგათ გახდებაო.

ჩვენებური მკითხავებიც ამას ჰქადაგობენ და საწყალ უმეცარ ხალხს თავიანთის ოსტატობით უფრო აუმეცრებენ. ამის უმეცრება ისე არავის ეტყობა, როგორც თბილისის ქართველებს და სომხებს. რუსები და თათრები მაღლა სდგანან ასეთი ცრუ-მორწმუნოებაზე ჩვენსა და სომხებზე, ამას მათი სამღვდელოებაც ეწინააღმდეგება, ნამეტურ კათოლიკის და ლუტერისანი.

ყველამ კარგათ ვიცით, რომ თბილისის ქალაქი თავის მცხოვრებლეითბ გამრავლდა დიდათ, მის მცხოვრებთა რიცხვში ერთი ათად მატულობს საწყალი ხალხი, უმეტეს ნაწილი შეუძლონი და უქონელნი, ნამეტურ, სოფლის უქონელი, უმიწაწყლო გლეხკაცობა მოაწვა ცოლ-შვილით საყოველთაოდ თბილისში ეძლევიან ცხოვრებას, ასეთ ღარიბ გლეხ მუშა და ხელოსანთაგან გაივსო თბილისი, მათგან აქა-იქ გაჭირვების გამო ქოხმახებიც კი შენდება, მრავლად გაშენდენ: ნაძალადევში (ნახალოვკა), ჰავლაბარ'ში, ნამეტურ ქალაქის განაპირა, ვერაზედ, საბურთალოს, ვაკის თავამდე და ლისის ტბამდე ავიდენ. შუა ქალაქის ძველს ქოხმახებშიაც ერთობ მჭიდროდ სცხოვრებს გაჭირებულის შეუძლო და მუშა ხელოსანთა რიცხვი ასეთ საწყალთ რიცხვში რამდენადაც მრავლად უცოლშვილონი არიან, იმაზედ მეტე ცოლ-შვილიანებიც. როგორც

ვთქვით, ცოლ-შვილიანთა ცხოვრება და მათი ბავშვების აღ-ზრდის საქმე დამხობილია სრულიად.

ლრიელ ხშირათ და თითქმის ყველა ოჯახში ნახავთ ავათმყოფ ბავშვს, ენიანს კიდევ ჰკითხავს რამეს, გაიგებთ მის სნეულებას და წამალსაც მისცემთ, მაგრამ საქმე უენო ბავშ-ვია, რომელსაც, თუ არ მცოდნე კაცი, ისე ვერავინ რას გაუგებს. ასეთი ბავშვები მშობლების ხელში დიდათ იტან-ჯებიან. მთელს კვირას და ოვეებს ავათ მყოფი ბავშვი ავათ არის, იტანჯება საწყალი, პატრონს ხელში უდნება, უკანასკნელ ხელიდამაც ეცლება და ყველა ამას არც შველი აქვს, არც მოსაზრება, არც ძალა. საბრალოთ, უბედურათ ესალმება პატარა ბავშვი სინათლეს. ასეთ უბედურებას ჩვენ არამც თუ ერთსა და ორს ოჯახში ვნახავთ, არამედ ღარიბ ლატაკთ სახლში, თბილისის ყველა კუთხეში განუწყვეტლივ ყველა მხარეს და ყველა დროს.

მიზეზები ასეთის უძლურებისა რასაკვირველია ხალხის სიღარიბეა, ყვაწვილი უენოა, პატრონსმაც არა იცის რა. სად წავიდეს, რა ქნას, გინდ რომ წასვლა მოახერხოს მერე ვის, რომელ ღვთისნიერ ექიმს მიადგეს კარებზედა, რომელს დაუ-რაკუნოს კარი, რომელს დაურეკოს ზარი ცარიელის ჯიბით. გინდ რომ ექიმის ხარჯი შესძლოს და 1 მ. ან მეტ ნაკლები გადიხადოს. იგი წამლის ყიდვას ველარ მოახერხებს. ცხოვრე-ბა, დღიური საზრდო და სახლის ქირა ისე უჭირებს საქმეს, რომ იგი ბავშვის საექიმოთ 2-3 მ. ვერ გაიმეტებს, რადგანაც მას ამის შეძლება არა აქვს. ასე და ამ გვარათ ჩვენს ლატაკი ოჯახებში დიდ ძალი ბავშვების იხოცება, ამათი სიკვდილის სიმრავლის რიცხვი ცნობილია თვით კავკასიის საექიმო გამგე-ობისაგან , თვით პოლიციების სტატისტიკაც ამას გვიჩვენებს და ჩვენი სამღვდელოთა მოწმობანიც. ყველა ესენი ცხადათ დაასაბუთებენ რომ თბილისში დიდი რიცხვი იხოცება მცირე წლოვან ბანშვებისა. ყველაზედ შესაბრალისი პატარა ბავშვე-ბი არიან. ეს უბედურება საწყალ ხალხში, წარმოიდგინეთ ისეა გახშირებული, რომ პატრონთ სიტატაკის და მოვლის

ძალის არ ქონვის გამო ყმაწვილების აინუშიაც ალარ მოსდით და ამბობენ ასე:— მადლი იქნა, რომ ასე პატარა, ახალ გაზრდა მოკვდა და მორჩა მოისვენა ტანტგისაგან და თავის მშობლებიც მოასვენა ხარჯს და წვალება-ტანჯვასო.

მაგრამ ვაი მათ მოშორებას, ბავშვი დაებადა მშობლებს, ამაზედ რასაკვირველია ხარჯი აქვსთ, მერე ბავშვის მოაათვლა, მერე აღზრდა და შემდეგ ამის ავათმყოფობა და მერე სიკვდილი, რაც ერთიც, მეორეც და მესამეც ისეც დაცემულს ოჯახს უფრო სცემს ძირს და ღუნავს კისერში, დაიბადს იცოცხლა და უდროვოთ მოკვდა, მხოლოთ უწამლობის და უექიმობის გამო, რითაც ისეც ღმტაკი, საწყალნი უარეს გარემოებაში ჩაგდო, მერე ისიც რომ იცოდეთ, თუ საწყლებს ხშირათ თვით მონათვლაც ვერ მოუხერხებიათ, ნათლიათ არავინ მისდევს სიღარიბის გამო, ყველა ერიდება, ღვდელიც კი ჩხუბს უწყებს, რომ მოსანათლს ცოტას მაძლევთო. მერე სიკვდილი, კუბო, მღვდელი, საფლავის ფასი და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვანი, ხშირათ და მეტათ ხშირათ ვნახავთ, რომ საწყლები თავიანთ მიცვალებულს ფაიტონით და მღვდლით მიაქროლებენ სასაფლაოზედ დასამარხათ. ასეთ სურათებს, ასეთ მაგალითებს ჩვენ ყოველ დღე ვნახავთ. ასეთ საბრალო ოჯახებში სწორეთ ცოდვის ლული ღვრება. ყოველთვის სიღატაკის მსხვერპლი ტრიალებს.

ვინ იცის რამდენი საწყალი კაცი არ ჩავარდებოდა სიღატაკეში, რამდენს არ მოსწყდებოდა წელი, რამდენს დედას არ დაეთუთქებოდა გული შვილის სიკვდილით, რომ მათ საიდამ რამე საექიმო შველა ჰქონიყოსთ. რომელ ერთი იტირონ საწყლებმა, შვილის ულვთოთ, უდროვოთ დაკარგვა, თუ მასზედ აღებული ვალი და დანახარჯი. რასაკვირველია ორივე-ორივე ეს უბედურება დიდი, წარმოუდგენი ჭირია ღარიბ-შეუძლოთათვის, ნამეტურ უმიწაწყლო და უსახლკარო, კარ-დაკარ მოსიარულე მოქირავნე ხალხთათვის. წარმოიდგინეთ, რომ ასეთ უბედურებას ხშირათ ყმაწვილების გამო სახლსაც კი არ აქირავებენ: ყმაწვილები გყავთო, ავათ იქნებიან, აიკ-

ლებენ აქაურობასაო. რამდენ ალაგას მომხდარა, რომ ლატაკთ ცოლ-ქმართ ჯერეთ სახლი დაუჭერიათ, ბარგი გადაუზიდავთ და ყმაწვილები კი მიუყვანიათ თითო თითო, ან ოროლი. აი ესე იტანჯებიან ბავშვებისათვის საწყალი მშობლები და უკანასკნელ მაინც შრომა არ უჯილდოვდებათ და უდროვოთ სიკვდილისაგანაც უწყალოთ ისჯებიან, შვილებიც აკლდებათ და მათზედ დანახარჯიც.

ვინ იცის, ასეთ უდროვოთ დახოცილ ბავშვებში, რამდენი დიდად ნიჭიერი ბავშვია მოყოლებული, რამდენი გენიოსი, რამდენი ძვირფასი შვილი, თავის მშობლებისთვის გამოსადეგი, საზოგადოების წინაშეც სასარგებლო. ყველა ამ უბედურების ერთ მთავარ ნაკლს ისიც შეადგენს, რომ თბილისში, საბავშო არც საავათმყოფოა დანიშნული, არც სპეციალურად მომზადებული მკურნალები არიან; ყველა ეს კი ჩვენის შეუძლო ხალხის შვილთათვის დიდი უბედურება არის. დიდი, წარმოუდგენელი, ზარალი ტ ვაება მშობლებისა. აი ასეთია დღევანდელი სურათი ჩვენის ქალაქის მოზარდ ბავშვების მდგომარეობისა. იგი იშხამება დაბადებიდგანვე ცუდის ჰაერით, ცუდის საჭმელით, ცუდის რძით და ბოლოს კვდება უდროვოთ შეუძლოთა წინაშე. ჩვენში რომ ბავშვები და მეტოგინე ქალები მრავლათ იხოცებიან, ვინემც ევროპის ერთა შორის შედარებითი სტატისტიკითაც დასაბუთდება. ამის შესახებს თვით მეც კი მიწერია ქართულ გაზეთებში.

აი სწორეთ ამ დროს, ასეთ გარემოებაში მყოფთ მცხოვრებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ ბატონთ: ლევანს, პეტრეს და ამათს ძმას იაკობ კონსტანტინეს-ძეს ზუბალაშვილებს, ამათ შეუგნიათ ამ გარემოების უძლურება და შეუძლოთა მსხვერპლად შემწირველობა. კეთილ ადამიანთ განუძრახავთ თავიანთის შეძლებით ბავშვთა საავადმყოფოს დაარსება ქალაქ თბილისში და მით ბევრი ლატაკთ კაცთა დახსნა, როგორც უდროვო სიკვდილისაგან, ისევე სხვა და სხვა ხარჯებისაგან. ამ საქმის გამო იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა თბილი-

სის გამგეობას: „მე და ჩემმა ძმებმა, ღიევან და პეტრე ზუბალაშვილმა, გადავსწყვიტეთ შევსწიროთ 100 ათასი მანეთი თბილისის გამგეობას, რათა ამ ფულით თბილისში გაკეთებულ იქმნეს ბავშთა საავათმყოფო ჩენის ძმის აწ გარდაცვალებულის სტეფანეს სახელზედაო“.

ეს ძვირფასი წერილი და მოხსენება თბილისის გამგეობამ და ადგილობრივ მწერლობამ დიდის პატივისცემით მიიღო. მალე განიხილეს გამგეობის კრებაზედ და იაკობ კონსტანტინეს ძის მოხსენება ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ამ მოხსენების ყოველივე მუხლი შეიწყნარეს და დადგინეს შემდეგი: ზუბალაშვილებს თბილისის გამგეობისაგან გაეგზავნოთ საგანგებო დეპუტაცია და გამოეცხადოს დიდი მადლობა, მასთანვე ეცნობოს, რომ ბავშთა საავათმყოფოს დაერქმევა სტეფანეს სახელი, საავათმყოფოს დარბაზში ჩამოკიდულ იქნება განსვენებულის სურათი და იმ ქუჩასაც ზუბალაშვილის სახელი ეწოდებაო.

ძვირფას სტეფანეს სახელი იაკობმა და მისმა ძმებმა ასე აღბეჭდეს, ასე დააგვირგვინეს მისი ხსენება თბილისის საწყალ ხალხის გულში თვით გარდაცვალების შემდეგაც, ასე მორთეს და მოკაზმეს სტეფანეს ხსენება. ჩვენგან ამისთვის ქება, დიდება არ არის საქირო, თვით საქმენი მოუთხრობენ მათ პატივცემას და დიდებას მათი სიყვარული და პატივისცემა, უნდა ითქვას, რომ დღეს თბილისში ყველას გულში არის დამკვიდრებული. ძველად რომ ჩვენში, შეძლებულ პირთ საწყალი ხალხის გულში დაემკვიდროთ იმ სახით ისეთი სიყვარული, როგორც ამათ დაიმკვიდრეს საერთოდ, როგორც ქართველებში, ისევე სხვებშიაც. მათ პატივს აგებს ყველა ტომის და სჯულის კაცნი და ქალნი: რუსი, სომეხი, თათარი და უცხოელნიც.

დასასრულ, იაკობ კონსტანტინეს ძის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: იაკობ კონსტანტინეს ძე ჩინებულად განათლებული ყმაწვილი კაცია, კაი დედ-მამის შვილი და ღირსი მოსადევარიც. ამ საქმეთა მეთაურობა მას უნდა ეკუთვნოდეს, კარგად სჩანს, რომ მის გულში საწყალთა და უქონელთა სი-

ყვარული მეტად სუფთა იდეალად უნდა იყოს გამხდარი. ეტ-ყობა, რომ ჩვენს ცხოვრებაზედ ღრმა დაკვირვება აქვს შედ-გენილი და ყოველი მისი დაკვირვება შემოსილია მაღალის მოქალაქურის ჰუმანიურის მხარეებით. ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც მათგან მოსაზრებული შეწირულობა ცხადათ გვაუწ-ყებს მისს დიადს ადამიანურს ღირსებას. ასეთის სანატრი შვი-ლის ყოლით მთელი ქართველობა ყოველთვის იმედიურებს. ქალაქის მცხოვრებნიც განურჩევლად სარწმუნოებისა და ტო-მისა საერთო სიყვარულს და სალამს მიუძღვნიან, რათა მისის მაგალითით სომეხმა, რუსმა, თათარმა და ქართველებმაც იქო-ნიონ ერთმანეთის სიყვარული. ამის მაგალითია და სხვა შე-ძლებულთა წამხალისებელი ძალაც ჩვენ მიერ მოწონებულ და სტეფანეს მაგიერ დასახელებულ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. ჩვენის მოკლე წერილიდამ მკითხველი კარგათ მიხვდება, თუ ამ შეწირულებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის შეუძლო ხალხთა შვილების ჯანმრთელობის წინა-შე, რომელთა ბედიც სწორედ რომ სატირელ მდგომარეო-ბაშია მოთავსებული. ზ. ჯ.

ს ი ტ ყ ვ ა

თქმული თფილისის ქალაქის თავის მოადგილის თავადის ვას. ნი-კოლოზის ძის ჩერქეზიშვილისა, 27 სექტ. თქმული.

თავ. ვასილი ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი თავის სიტ-ყვით კარგად შეეხო განსვენებულის სტეფანე კონსტანტი-ნეს ძის ზუბალაშვილის მნიშვნელობას და პიროვნებას. მისია ადამიანობის წყალობით ბევრი სამაგალითო საქმეები გაკეთდაო. ალიარა ის დიადი კაცთ მოყვარეობა და ურთიერთ გატანა რითაც სტეფანე კონსტანტინეს ძე იყო დაჯილდოებული. მისგან დაწყობილი საქმენი უკვდავი იქმნება ქალაქ თფილის-შია, მის დავალებას განურჩევლად ნაკის არავინ დაივიწ-ყებსო. ასეთი კაცები სამაგალითონი არიან ჩვენს დროში და მრავალთაგან მისაბაძნიკო.

ეს სიტყვა რუსულად იქმნა წარმოთქმული. ამიტომ მო-გვყავს აქ თვით ეს სიტყვაც რუსულად.

Памяти С. К. Зубалова.

27-го сентября хоронятъ въ Тифлисѣ скончавшагося въ Парижѣ Ст. Конст. Зубалова.

Имя его хорошо извѣстно не только въ нефтяномъ мірѣ.

Много людей знало его, какъ человѣка съ хорошимъ, добрымъ сердцемъ, активно относящагося къ чужому горю. Необычайно скромный, ненавидящій рекламы, незамѣтно для широкой публики, онъ шелъ навстрѣчу всякой нуждѣ. Постоянно оборачивался онъ вокругъ себя и внимательнымъ взглядомъ окидывалъ тѣхъ, кто нуждался въ помощи.

Онъ зналъ, что не всякій бѣднякъ, терпя даже крайнюю нужду, рѣшится постучать въ тяжелыя парадныя двери богача, что самолюбіе и гордость не позволяютъ ему громко взывать къ сильнымъ міра. И къ такимъ шелъ С. К. со своей щедрой помощью, поступая по-евангельски, чтобы „лѣвая рука не знала, что творитъ правая“.

И какое бывало счастье на этомъ хорошемъ открытомъ лицѣ, когда онъ зналъ, что деньги отправлены во-время и праздники настали для бѣдняка съ неожиданными радостями!

Вотъ человѣкъ, обремененный семьей, потерялъ мѣсто. Прежде получалъ хорошо, но что такое „хорошо“, внося домой 200 руб. при бакинской дороговизнѣ. Но все-таки семья не голодала. А теперь все 6 человѣкъ дѣтей, мужъ, жена—хоть по міру ходи! По пословицѣ, бѣда одна не приходитъ: глава семьи сталъ болѣть.

Узнаетъ обо всемъ этомъ С. К. и спѣшитъ со своей помощью: за всѣ 2 года, что человѣкъ потерялъ мѣсто, онъ ежемѣсячно получаетъ двѣсти руб.

Юноша остался за бортомъ, нѣтъ денегъ, чтобы продолжать образованіе.

Ст. К. вноситъ за него, обезпечиваетъ студенчество. Юноша пробилъ себѣ дорогу.

И такихъ юношей много, очень много, которыхъ покойный своей любящей рукой вырвалъ изъ когтей нищеты. Фельетонистъ, потрясенный какой-нибудь общественной нуждой, взываетъ къ богачамъ-обывателямъ, пытается разбудить ихъ, но никто, кромѣ С. К., не шевелится: онъ одинъ спѣшитъ, посылаетъ деньги, да еще съ просьбой: „Объ этомъ, пожалуйста, не пишите".

Щедрой рукой онъ поддержалъ народный домъ, дворянскую школу и много другихъ учрежденій.

А сколько еще было плановъ въ этомъ человѣкѣ, если бы не такъ рано прерванная жизнь!

Вѣдь ему не было и 42 лѣтъ!

Богатый нефтепромышленникъ мѣряется не одними филантропическими дѣлами!

Вѣдь у Ст. Константиновича были промыслы, люди, работающіе тамъ.

И посмотрите, какъ они обставлены! Пройдитесь по казармамъ: чисто, тепло, свѣтло!

Какіе роскошные столы со всевозможными яствами раскидывались подъ Новый годъ, подъ Пасху, подъ Рождество!

Рабочіе и служащіе, благословляя своего любимаго хозяина, не разставались съ промыслами: развѣ смерть или оставленіе Баку послѣ долголѣтней службы. Они имѣли не только все необходимое, но имѣли

и солидныя сбереженія, оставляемыя въ промысловыхъ доходахъ, гдѣ наростали капиталы.

Самолично помогалъ имъ С. К., ибо зналъ своимъ хорошимъ сердцемъ, что они—тоже люди!

Они главные сотрудники его!

Посмотрите на нихъ въ эти дни!

Подавленныя, скорбныя лица!

Точно что-то ярко горѣвшее и весело озарявшее ихъ погасло.

М.

Замѣтки хроникера.

Памяти хорошаго человѣка.—Разговоры о мирѣ.

На прошлой недѣлѣ хоронили С. К. Зубалова. Его выдающаяся роль, какъ благотворителя, такъ быстро промелькнула предъ нашими глазами, что общество не успѣло присмотрѣться къ нему и составить себѣ ясное понятіе о немъ.

Фирма К. Я. Зубалова, отца только что скончавшагося С. К., долго переживала черные дни. Его нѣкогда зажиточной семьѣ приходилось переживать много трудныхъ минутъ въ теченіе долгаго нефтяного кризиса. Приходилось все закладывать, перезакладывать и многое продавать. Людямъ, нѣкогда вполнѣ обезпеченнымъ приходилось стучаться въ двери всѣхъ банковъ тифлисскихъ и бакинскихъ. Невесело жилось въ Баку и молодому С. К. Зубалову. Нѣжно воспитанный своей любимою матерью, юноша вынужденъ былъ проводить лучшіе годы въ мрачной мазутной атмосферѣ. Нефть, кризисъ—вотъ все, что должно было его занимать. Но подъ конецъ жизни старика Зубалова наступили и ясные дни. Онъ сразу сталъ милліонеромъ и

однимъ изъ крупнѣйшихъ нефтепромышленниковъ. Однако, старикъ, видимо мало вѣрилъ въ прочность вдругъ нахлынувшаго счастья и мало перемѣнилъ свой образъ жизни. Спустя 3 года послѣ этого переворота въ его судьбѣ онъ умираетъ и оставляетъ крупное наслѣдство своимъ сыновьямъ. Это было всего три года назадъ, но и этого короткаго срока было достаточно, чтобы любвеобильное сердце С. К. Зубалова сумѣло сдѣлать много добра для общества и народа. Сейчасъ послѣ смерти отца онъ вмѣстѣ съ братьями жертвуетъ до 150 тыс. р. на сооруженіе народнаго дома имени отца въ Тифлисѣ. Постройка этого дома теперь доканчивается и будетъ лучшимъ памятникомъ добрыхъ дѣлъ бр. Зубаловыхъ. Послѣ этого посыпались крупныя пожертвованія и на другія учрежденія. Общая сумма ихъ достигаетъ почти $^1/_2$ милл. руб. Небывалая у насъ, въ Тифлисѣ, цифра послѣ крупнаго пожертвованія другого Зубалова, Ник. Ег., завѣщавшаго гор. Тифлису крупный капиталъ на учрежденіе пріюта для бѣдныхъ.

Все, что появилось въ газетахъ о короткой но плодотворной жизни только что скончавшагося С. К. слишкомъ бѣдно и блѣдно, чтобы могло характеризовать послѣдняго.

Вотъ почему я съ особеннымъ интересомъ прочелъ только что выпущенную брошюру З. Чичинадзе на грузинскомъ яз. „Примѣрный человѣкъ. Ст. Конст. Зубаловъ“. Брошюра эта въ 74 стр. даетъ немногое для характеристики покойнаго. Она наполовину состоитъ изъ общихъ разсужденій, изъ жалобъ на скупость нашихъ туземныхъ богачей, на неумѣніе ихъ творить добро и пр.

Но и тотъ скудный біографическій матеріалъ, ко-

торый даетъ г. Чичинадзе, очень интересенъ, интересенъ, впрочемъ, не столько для характеристики самого С. К. Зубалова, сколько современнаго общества.

Не успѣлъ С. К. вмѣстѣ съ братьями пожертвовать капиталъ на постройку народнаго дома, какъ на покойнаго уже налетѣли, какъ коршуны, люди, только именующіе себя общественными дѣятелями, въ дѣйствительности же самые злобные человѣконенавистники.

Эти господа стали упрекать С. К., что онъ жертвуетъ свое состояніе на предметъ роскоши—театръ. Подробно этихъ упрековъ біографъ не приводитъ. Но видно, что ими сильно надоѣдали покойному благотворителю. Въ біографіи приведены тѣ азбучныя истины, которыя вынужденъ былъ С. К. развивать передъ своими обвинителями. „Народный театръ,—говорилъ онъ,—тоже, что школа и храмъ... Въ народномъ домѣ будетъ не только театръ, но и библіотека, и безплатная чайная“.

Покойный, впрочемъ, никогда и не забывалъ жертвовать также на школы и церкви. Онъ не мало далъ тифл. дворянской школѣ, музыкальному училищу и грузинскому обществу грамотности. Около 200 тыс. р. онъ пожертвовалъ на постройку католической церкви

Нашлись добрые ходатаи за народныя школы для ахалцихскихъ католиковъ. Но эти ходатаи, какъ видно изъ біографіи, не просто хлопотали за бѣдныхъ католиковъ, а всячески упрекали С. К. за то, что онъ *такъ много удѣлилъ Тифлису* (70 стр.).

Благотворителю пришлось защищаться „Въ городѣ (въ Тифлисѣ),—говорилъ онъ,—тоже много бѣдняковъ, безпріютныхъ стариковъ и старухъ, безнадежно больныхъ. И ихъ жаль, и имъ нужно помочь“.

Когда зашла рѣчь объ армяно-грузинскихъ отношеніяхъ, С. К. сказалъ своему собесѣднику:

„Прошу Васъ прекратить, не распространять вражду и зависть между этими народностями. Какъ это возможно, враждовать между собой грузинамъ и армянамъ; они изстари вмѣстѣ жили, сроднились между собой, такъ похожи другъ на друга. Мы всегда уважали армянъ, тоже было и при нашемъ отцѣ, дѣдѣ и вообще во всемъ нашемъ родѣ. Прошу въ книгѣ о грузинскихъ католикахъ ничего дурного не писать объ армянахъ. Нѣтъ ничего лучше взаимной любви и уваженія“, и пр., и пр , все въ этомъ духѣ.

Если въ другихъ случаяхъ богачи нуждаются въ такой проповѣди человѣколюбія, то въ данномъ случаѣ какъ будто роли перемѣнились. Богатый С. К. Зубаловъ вынужденъ былъ учить гуманности тѣхъ лицъ, которыя желали на его счетъ благотворить. Это очень характерно для нашего малокультурнаго общества.

Новое Обозрѣніе.

Слово, сказанное Кн. Вас. Николаевичемъ Черкезовымъ.

Широкая благотворительная дѣятельность покойнаго Степана Константиновича, какъ общественная, такъ и частная, всѣмъ намъ хорошо извѣстная, была сегодня отмѣчена говорившими до меня лицами. Велика заслуга покойнаго, что, имѣя богаство, онъ не держалъ его подъ спудомъ, а щедрою рукою помогалъ ближнимъ, понимая это слово въ широкомъ его зна-

ченіи. Степанъ Константиновичъ жертвовалъ крупныя суммы на общественныя дѣла, какъ въ Тифлисѣ, такъ и въ другихъ городахъ нашего края—Баку, Батумѣ, Кутаисѣ и проч. Особенное значеніе имѣетъ дѣятельность покойнаго на поприщѣ общественной благотворительности для Тифлиса.

Въ то время какъ въ другихъ русскихъ городахъ жертвуются громадныя суммы на постройку больницъ, школъ и т. п., у насъ такія пожертвованія крайне рѣдки. Первый починъ въ дѣлѣ крупныхъ пожертвованій былъ сдѣланъ у насъ родственникомъ и однофамильцемъ покойнаго, тоже покойнымъ Николаемъ Егоровичемъ Зубаловымъ, оставившимъ по духовному завѣщанію городу большую сумму на постройку и содержаніе дома для неимущихъ. Второе такое пожертвованіе принадлежитъ Степану Константиновичу съ братьями строющими великолѣпное и дорого стоющее зданіе народнаго дома.

Это учрежденіе имѣетъ громадное значеніе для бѣднаго люда, который будетъ имѣть возможность найти отдыхъ и получить развлеченіе послѣ тяжелаго трудового дня. Имъ будутъ пользоваться представители всѣхъ сословій, народностей и вѣроисповѣданій. Такимъ образомъ, принадлежа къ грузинской націи и будучи вѣрующимъ католикомъ, онъ заботился о меньшей братіи и другихъ національностей и религій, слѣдуя завѣту Христа: „люби ближняго своего какъ самого себя“, не спрашивая—кто этотъ ближній. Я не буду говорить о другихъ многочисленныхъ добрыхъ дѣлахъ покойнаго: многія изъ нихъ всѣмъ хорошо извѣстны, а о другихъ знаютъ только тѣ, кому оказывалъ помощь, покойный всегда отзывчивый къ чужому горю.

947.922
ф 551

Степанъ Константиновичъ умеръ еще молодымъ человѣкомъ, и сколько бы онъ сдѣлалъ еще добра, если бы неумолимая смерть не похитила его такъ рано! У него были широкіе планы и предположенія, но—увы! —имъ не суждено было осуществиться во всей полнотѣ! Мы можемъ утѣшать себя тѣмъ, что дѣло Степана Константиновича будутъ продолжать его братья, вполнѣ раздѣляющіе, насколько намъ извѣстно, его взгляды и убѣжденія.

Сейчасъ эта зіяющая могила навѣки закроетъ отъ насъ симпатичный образъ Степана Константиновича, но память о немъ навѣки сохранится въ сердцахъ нашихъ и нашего потомства, для пользы и облегченія страданій котораго онъ такъ много сдѣлалъ, создавъ себя этимъ нерукотворный памятникъ. Хотя съ тяжелымъ чувствомъ, но отъ чистой души каждый изъ насъ скажетъ: „вѣчная ему память!“.

947.922
ქ 551

ზ. ჭიჭინაძე

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 30 №.

ფასი 20 კაპ.